# ივერია

1885

**№ XI**, ნოემბერი.

თბილისი.
ექვთიმე ხელაძის სტამბა.
**1885**

# შინაარსი:

I. მოძღვარი, მოთხრობა ა. მოჩხუბარიძისა. (შემდეგი) . . . . . . . . . . . . . . 3

II. სახალხო ლექსები (ხევში შეკრებილი ა. მ—საგან) 49

III. ნაამბობი არტემ არარატელისა საქართველოს მდგომარეობაზედ მე XVIII საუკ. დამლევს. (მასალა ისტორიისათვის) (დასასრული) თარ. ზ. არჯევანიძისა. . . . . . . . . . . . 53

IV. სახალხო ლექსები (შეკრებილი ზემო ქართლში ა. ნათაძისაგან) . . . . . . . . . . . 70

V. თეატრის მსახური, კოპპეს მოთხრობა (ფრანცუზულიდამ), თარგ. ან. თუმანიშვილისა. . . . . 72

VI. *** (ლექსი) ცახელისა. . . . . . . . . . 85

VII. წინასიტყვაობა «ქართლის-ცხოვრების» მეორე ტომისა მ. ჯანაშვილისა . . . . . . . . 87

VIII. პედაგოგიური მოსაზრებანი საიდგან და როგორ უნდა დაიწყოს მასწავლებელმა წერა-კითხვის სწავლება დედა-ენაზედ. . . . . . . . . . . . 107

IX. განცხადებანი გაზეთების გამოცემაზედ 1886 წელს.

და განსაკუთრებული დამატება: თბილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობის ბანკის განცხადებანი მამულების შესახებ.

# ივერია

## საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი

---

წელიწადი მეცხრე

**№ XI**

თბილისი

ექ. ხელაძის სტამბა, საპიორის ქუჩაზე თავის საკ. სახლში

1885

Дозволено цензурою, Тифлисъ 16 Ноября 1885 г.

# მოძღვარი. *)

— ბვძყოივის. მოკლედ მიუგო მოძღვარმა და განაგრძო:— ამით თუნდა დუნიას უწამლებ. ქალი წამოდგა და სხვა ბალიში მიუტანა.

მოხუცი ისევ თავის საქმეს შეუდგა და ქალი კი «სატო-ლეუ» *) ქსელს ჩაუჯდა და ქსოვა დაუწყო. ჩამოვარდა ისევ სი-ჩუმე. რადგანაც სახლში ყველანი გაჩუმდნენ და გარედაც თით-ქოს ბუნებაც მოღალულიყო და მიესვენა.

ერთბაშად ზოროტად დასწივლა ქარმა, იელა და ყველა-ფერი გაანათა, თითქოს ჭაერს ცეცხლი წაეკიდაო და მოისმა გამედგრებული გრგვინვა; წამოვიდა შხაპუნა, მოუსვენარი, კო-კებრივი წვიმა და მას მოჰყვა გადმონგრეულის მთის გრიალი. გაქანდა თავ-ქვე ხეობაში და საერთო დაყრუებულს ხმაურში ხან გამოშვებით მეტის სიძლიერით ისმოდა ფრიალოზედ გა-დავარდნილის ლოდის დაცემა.

ქალი შეკრთა, პირჯვარი გადაიწერა და წარმოსთქვა:

— ტიალი, რა ღამეა?!

— ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთი! წარმოსთქვა მოძღვარმა, და დაუმატა:— ბეჯითად უბედურებას რასმე მოახდენს.

— დაიხსენ, მეუფეო, ყოველი სული გაჭირვებისაგან! სთქვა ქალმა.

— ამინ. დაუმატა ონოფრემ და ისევ საქმეს შეუდგა.

ავდარი არა სწყნარდებოდა და ქარიშხალი ზუზუნს უმა-ტებდა, თითქოს ხალხი უნდა დაერწმუნებინა, რომ არ მოღა-ლულაიყო და ძალა კიდევ ჰქონდა.

— ცა გასკდა, თუ რაი მოუვიდა? გაწყვიტა სიჩუმე მოძ-ღვარმა.

— გონჯა გაავდარდა, მიუგო ქალმა და განაგრძო:— წყლები ადიდდების და შენ კი წასვლა გინდა.

---

* «ივერია» № 10, 1885 წ.

*) ტოლის მატყლისაგან გაკეთებულს საჩოხე შალს ეძახიან.

— რაი უყოთ?.. სულ უფლის ნებაა. დამშვიდებით წარმოსთქვა ღვთიურმა.—ავდარი ვერ დამაღნობს და დაჭრილებს კი შველა უნდა.

— თუ კი შენ მოჰკვდები, დაიწყო ქალმა, მაგრამ მოძღვარმა გააწყვეტინა.

— ჯერ სხვა და მერე შენი თავი... იზრუნე სხვისთვის, რათა სხვანიც შენთვის მზრუნველნი იქმნენ... ღმერთი დიდია და გულ-ღმობიერი, რწმუნებით სთქვა მოხუცმა და ბალახს სრესა დაუწყო.

— ამაღამ წახვალ? ჰკითხა მცირე სიჩუმის შემდეგ მაყვალამ.

— ამაღამ... რაი გინდოდა?

— არც რა... მაგრამ... შაფერხდა ქალი.

— მაგრამ რაიღა?

— გათენებამდის მოგეცადნა?

— რაისთვი?

— იმისთვი რო... აღარ გაათავა ქალმა.

— სთქვი და, რაღა. მცირე მოლოდინის შემდეგ უთხრა მოძღვარმა.

—ბნელა და გზას ვერ გაიგნებ... ავდარი გზას დახრამამდა, ხევებში წყალი ღორღს ჩაიტანდა და მთიდგანაც ქვა გორავს.

— ბნელია, მაგრამ უნდა წავიდე... ჩემის მიზეზით რო დაჭრილი ვინმე მოკვდეს, უფალს რაი-ღა პასუხი მივცე?

— აბა რაი გითხრა, ღვთის პირით ლაპარაკობ... სხვა ვეღარა მოახერხა-რა მაყვალამ და მხოლოდ ესღა დაუმატა:— უფალმა ხელი მოგიმართოს!

— შვიდია მაყვალაუ დაჭრილი... შვიდი კაცი მიმელის, ისე როგორც სულის ცხონებას... იქნება შვიდივეს ცოდვით და-

ტვირთული სული მოძღვარს-და მიელის. შემიძლიან დარჩენა?

— არა, არა, ღვთის მადლმა!... წადი, წადი ნუღარ იგვიანებ... მე თავადაც რო შემეძლოს, გამოგყვებოდი!

მოხუცმა გაბრწყინვებული სახით შეხედა და თვალებზედ სიხარულის ნათელი დაადგა. მივიდა ქალთან და თავზედ ხელი დაადო.

— მეუფეო! წარმოსთქვა იმან.— ღირს არს მუშაკი სასყიდლისა. მოხედენ!

შემდეგ მივიდა ჯვართან, რამდენჯერმე მუხლი მოუყარა, გადიწერა პირჯვარი და წასასვლელად მზადება დაიწყო.

სანამ მოხუცი სამგზავრო ტანისამოსს იცვამდა, მაყვალა ტყავის პატარა ჩანთაში ულაგებდა წამლებს და ჭრილობისთვის საჭირო იარაღს.

— აბა, ქალაუ! მორჩი, თორემ მიგვიანდების.

— აი, მზადაა. უპასუხა ქალმა და ჩანთა ქამარზედ ჩამოჰკიდა.

შემდეგ გაუშვირა ხელები, დახარა თავი და მოძღვარს ლოცვა-კურთხევა სთხოვა.

— შვილო, ილოცე ცოდვილთა და მწუხარეთათვის... ზრუნვა ხალხისთვის, უბედურს შვებას მისცემს. უთხრა მოხუცმადა პირჯვარი გადასწერა.

ქალი ემთხვია ხელზედ, კარებამდის მიაცილა ონოფრე და უკანასკნელის გამოსალმების შემდეგ წყნარად და გრძნობით წარმოსთქვა:

— ღმერთო, შენ მოხედე დაჭრილებს, ღმერთო, ხელი მოუმართე მათთვის მზრუნველთა, ღმერთო, მშვიდობით მიჩვენე ჩემი მოძღვარი.

ქალმა გადიწერა პირჯვარი და ოთახს ლაგება დაუწყო. მალე მოასურნელა იქაურობა და საკმაოდ მოღალულმა ძილის მოახლოვება იგრძნო. შესხვია ცეცხლი, გაიხადა ტანთ და ის იყო ხელი აიღო, პირჯვარი უნდოდა გადაეწერა, როდესაც გაუნძრევლად გაშეშებული დარჩა.

მას მოესმა, თითქოს კარს ვიღაცა მოაწვაო, მაგრამ მაშინვე ქარის წივილი გაისმა და დაწყნარებით წარმოსთქვა:

— ტიალი, რა ღამეა?! ღმერთმა ქნას, რო მშვიდობიანად გაიაროს!

გადიწერა პირჯვარი და თვალები მოხუჭა. მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ ძილი ერთბაშად გაუკრთა და ათასმა საგონებელმა წაიღო.

ქალი ვერ მიმხვდარიყო, რა მიზეზით არ ეძინებოდა, რადგანაც ამ წუთის წინეთ კინაღამ ზეზეურ წაიქცა, იქამდის დაღალვასა და მოსვენების საჭიროებასა ჰგრძნობდა.

ეს არ იყო შიში მარტოობისაგან აღძრული, რადგანაც მაყვალა მარტოობაში ერთხელ არ ყოფილიყო და არა ერთხელ პირისპირ შეხვედროდა განსაცდელს.

ეს არ იყო, არც მეტისმეტად დასუსტებულის ადამიანის ძალის გაკრთობა, რომელიც ძარღვებს უდუნებს და სასარგებლო განსვენების საშუალობას უსპობს. მაშ რა უნდა ყოფილიყო?

ამას თითონ მაყვალაც ვერ გეტყოდათ. ისა გრძნობდა მხოლოდ, რომ ძილი უნდოდა და ვერ დაეძინა; დამშვიდება უნდოდა და გული რაღაცა გამოურკვეველს ცახცახში იყო. მოელოდა რაღაცას, მაგრამ რას?

მაყვალა დიდი ხანია ქვეყნისთვის მკვდარი იყო, განშორებოდა სოფლის ვნებას და, თუმცა ქვეყნად დადიოდა, მაგრამ ქვეყნის ფუფუნებისთვის აღარ ეცალა.

ამ ქალს მოეკლა, ჩაემარხა ყოველისფერი, რაც კი ხორცს სიტკბოების ნეტარებას აძლევს, უარ-ეყო კაცის უტკბილესი მოთხოვნილებანი და ხორცის მომკვლელი—სულის ამაღლებას და დიდებას შესდგომოდა.

მაშ რაღა უნდოდა?...

არ იცოდა, მაგრამ მოლოდინი კი ჰქონდა რაღასიცა და ეს მოლოდინი არ იყო გულის ნაზად მრხეველი, მისი დამყვავებელი და ნეტარების მქადნელი.

ის ელოდა რაღაცას, რომელიც გულსა ლევდა, უსიამოვნობას აღუძრავდა და გამოურკვევლობაში ჩავარდნილს, რაღაცა უბედურება თითქოს ყურთან ბოროტად დასჩხაოდა.

მაყვალა უძლური შექნილიყო სულით; მაგრამ კიდევ მოისმა კარების მოწოლის ხმა. გაჩუმდა... არავის არის... ამოისუნთქა მაგრად და მაღლად გამოიწვია ის, ვინც ისე გაშორებოდა.

წუთს შემდეგ ქალი დაწყნარებით სუნთქავდა, რადგანაც დამშვიდებულს განსვენებას მისცემოდა.

დაწყნარდა ყოველისფერი და გაჩუმდა, მხოლოდ ქარი არ ისვენებდა და მაღლად ამართულს ასის წლის ხეებს თავს ახრევინებდა. ხანდისხან მთებს შეწყვეტებული წამოტრიალდებოდა და გამედგრებული ამოქვაბულის კარს მიაწყდებოდა. ქუხილი აღარ ისმოდა, მაგრამ მოშმუხვნილს ცაზედ ჯერ კიდევ ელავდა და ანათებდა წარსულის ავდრით მოოხრებულს მიდამოს. თვით პირუტყვებიც კი თავ-თავიანთ სოროში მიმალულიყვნენ და გზაზედ გამოხედვა ჯერ ვერ გაებედნათ.

ერთბაშად იელა კიდევ და ქოხის კარი გაშუქდა. გამოჩნდა მოჩვენებად ცოცხალი კაცი, რომელიც ნაბადში გახვეულიყო და იქავ კლდეს მიჰკუნჭოდა. მობრუნდა, მოტრიალდა ქარიშხალი

და ისევ ქოხის კარს მიუარდა. მის ძალას, თუ სხვა რომელსამე შემთხვევას ველარ გაუძლო კარებმა, გაელო და აქამდის შეუმჩნეველი ნაბდიანი განქრა. მიწა გაუსკდა და თან ჩაიტანა, თუ ფრთოვანს მავნეთ გადაქცეული ქარს გაჰყვა, კაცი ვერ იტყოდა.

ჩაბნელდა და ჩაიხურა. ბუნებამ ისევ გამძვინვარებით ღრიალი დაიწყო, ცას ცრემლი ნაკადულად გადმოსცვივდა და ქარმა გლოვიარის გოდება და ზუზუნი დაიწყო... მცირე ხანიც და მას შეუერთდა კივილი ღონე-მიხდილის ქალისა... ხმა ქარმა გაიტაცა ყღრიალით და ვინ იცის, საით გადაქმანჯა. კიდევ ხმა კივილისა და ზედ მოჰყვა დამაყრუებელი დაჭექება. იფეთქა ელვამ და ქვეყანა უფსკრულში გაეხვია...

## XV

მეორე დღეს დილით, ყველაფერი დამშვიდებული იყო და შეუბრალებელს გამძვინვარებულს ბუნებას გული მოებრუნებინა. მოწმენდილი ცა გაკრიალებულიყო და მზის სხივი მთის წვერებს შესთამაშებდა. მართალია, მოოხრებული და განადგურებული დედა-მიწა მწუხრად გამოიყურებოდა, მაგრამ მზე მხიარულად ამოდიოდა და თითქოს ნუგეშის მისაცემად დასძახოდა:

— ნუ სწუხარ! კიდევ შევიძლებ შენს გაობობას, შენს გამშვენიერებას. მთის სურნელოვან ყეგლუცთ, მოსრესილთ წარსულის ღამის შეუწყალებლობით მისწდომოდა ეს ხმა და იმედით გაბრწყინებულთ ნაზი თავები წამოეყოთ, გახარებული სახე გამოეჩინათ. ქოხის ქვევით ფერდოზედ გამოჩნდა რამდე-

ნიმე კაცი, რომელიც გამოქვაბულისკენ მოდიოდა... მათ შორის იცნობდით მოძღვარსაც თავის გათეთრებულის წვერით და თმითა, რომელთაც მზის სხივი ვერცხლის ფრად აბჭყვრიალებდა.

ყველამ მოაღწია ქოხთან მახლობლად მდგარს ხესა, რომლისთვისაც ქარიშხალს თავისი ნიშანი დაედო და იქ დასხდენ.

ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა იმ საედემო ადგილას, რადგანაც სევდა მომცველის ღამის შემდეგ, გაკაშკაშებულს დღეს ფასი უორკეცდებოდა. მართალია, ბუნება წუხელ მკაცრად მოჰქცეოდა ყველას, შეუბრალებლად დაეჩაგრა ყველაფერი, მაგრამ წყრომა დღეს მოწყალებად გადაექცია, მობუზულ-დაღვრემილი მიწა კეკლუც პატარძლად მოერთო.

ყველანი ლაყლანდარობდენ, ხუმრობდენ და კეკლუცად გაღიმებულს ბუნებას სიამოვნებით შესცინოდენ. მათ შორის მხოლოდ მოხუცი დაღონებულიყო, დაფიქრებულიყო და რაღაცა უგუნებლობაში ჩავარდნილიყო.

— თუ არ დაიღალე? მიუბრუნდა ერთი მთიელთაგანი, რომელმაც მოწყენა შეამჩნია.

— არ ვიცი, ღვთის მადლმა და უგუნებოთ კი რასმე ვარ-უპასუხა მოძღვარმა.

— ავად-მყოფებთან როდის-ღა წასვალ? ჰკითხა ვიღაცამ.

— ამაღამ არა უნდათ-რა და ხვალ, თქვენ რო დაბრუნდებით, ერთად წავიდეთ. სთქვა მოძღვარმა, შესდგა მცირე ხანს და განაგრძო: — მაინც შორი გზა გაქვსთ და აქ კი «მალუმწყარო» არის, — მაი, ცოტა შენაყრდით, თორემ გზაში მოგშივდებათ.

— არა, შენი გვნესა მე, არ გვინდა... სულ მუდამ ჩვენი პატივის-მცემელი ხარ. უპასუხეს თანამგზავრებმა.

— რაი პატივისცემა?... პატივ-ცემული მე ვარ თქვენგანა, რო თქვენის წყალობით ვცხოვრობ.

— ეგ კი არა, შენ რო პირი დაგვებანა და წყალიც ბატარაი დაგველია, ღვთის მადლმა, გულს გიპოვიდა, ურჩია ერთმა.

— უზმოზე, რაიღა წყლისაა. წარმოსთქვა მეორემ.

— დალევით კი არ დავლევ და პირს კი დავიბან. სთქვა მოხუცმა და მივიდა წყაროსთან, რომელიც იქავ მხიარულად გადმოჩუხჩუხებდა.

მოძღვარს სახე უხურდა და ცივის წყლის მიკარებამ რაოდენიმე სიამოვნება აგრძნობინა, მაგრამ გული მაინც ვერ გაუხსნა.

— ღვთის მადლსა, ერთად შევჭამოთ რამე... თქვენთან მეც გულს გადავაყოლებ, თორემ გონჯად რასმე ვარ.

— შენ იცი, შენა. ხათრი ვეღარ გაუტეხეს ონოფრეს, რომელმაც სიამოვნებით წამოიძახა:

— აი, ესლა კარგად შევიქნები! და გასწია შინისკენ.

მოხუცმა შეაღო გამოქვაბულის კარი და გაუკვირდა, რომ მაყვალა არ მიეგება. იფიქრა, რომ მეორე ოთახში იქნებაო და იქით გასწია. შეიხედა და დაინახა, რომ ქალი თავის საგებელში იწვა და ნაბადი თავზედა ჰქონდა წახურული.

— მაყვალაუ! წყნარად წამოიძახა მოხუცმა.— მაყვალაუ, გძინავს?

მოძღვარი დაეცქერდა, რადგანაც ქალი არ ინძრეოდა და შებრალებით წარმოსთქვა.

— ბეჩავს, უთუოდ წუხელის არ ეძინა... იყოს, არ გავაღვიძებ.

ამ სიტყვებით, წყნარად და სიფრთხილით გავიდა ისევ პირველს ოთახში და საუზმის მზადებას თავად დაიწყო და წუთს შემდეგ შინაური არაყი, პური, ყველი და მოხარშული ღორი მიჰქონდა სტუმრებისკენ.

ხალხმა იცოდა, რომ მოძღვარს ვიღაცა უბედური ქალი ჰყავანდა შეფარებული, მაგრამ მისი ვინაობის გამოკვლევას ვერავინა ჰბედავდა.

— აჰ, ერთი ქალაი მყავს, უპატრონო ბეჩავი და თავი ჩემს ქოხს შემოაფარა. მისვლის უმალ დაიწყო ონოფრემ.— წუხელის ავდარმა თუ არ მოასვენა.—მარტოკაი იყო და ეხლა კი დასძინებია.

— ბეჩავი, უპასუხეს სხვებმა, ჩამოართვეს ხორაგით სავსე ხონჩა და მინდორზედ დადგეს.

— მეტად ხშირი ეძინა, და ვეღარ გამოვაღვიძე, დაიწყო ისევ მოძღვარმა.—თორემ, ღვთის მადლმა, უკეთ დაგიხვდებოდით.

— ღვთის მოწყალება მრავალია, შენი კვნესამე, შენს შეწუხებას ღირსნი არა ვართ... რაი გვინდა ამაზედ მეტი? ერთხმად უპასუხეს სტუმრებმა და ყველანი ხონჩას გარს შემოუსხდნენ. დაიწყეს პურის ჭამა და რამდენჯერმე მოიარა ყანწმაცა. არყით სავსე ჭურჭელი საკმაოდ მოზრდილი იყო, «შინაური» საკმაოდ მაგარი და გამამხიარულებელი სასმელი გამოდგა, მოძღვარი გულით ქართველი და მაშასადამე წესიერად მომლხენი; ყველა შეწითლდა, შეზარხოშდა და სახე გაუღიმდა.

პირველს ჭურჭელს მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე დ გაიმართა

«სმურები» კ. ი. ლექსებად სიტყვის წარმოთქმა, რომელიც ისე ალაზათიანებს მთიელთ სუფრას და სიცოცხლეს აძლევს.

საუზმე სადილათ გადაიქცა, სადილი სამხრათ და როდესაც აიშალნენ, მზე საკმაოდ გადახრილიყო.

გუდამაყრელები მთაში მიდიოდენ; სასოფლო საბალახე უნდა აეღოთ და, რაკი იქიდგან ხვალ უნდა დაბრუნებულიყვნენ, მოძღვარმა პირობა მისცა, რომ დაუცდიდა და უიმათოდ სოფელში არ წავიდოდა.

სტუმრები გამოესალმნენ მასპინძელს და თავის გზას გაუდგნენ; მასპინძელმა კი აალაგა ჭურჭელი და სახლისკენ გასწია.

ონოფრეც, ცოტა არ იყოს, შეზარხოშებულიყო და ამისათვის წყნარად ღიღინებდა, როდესაც გამოქვაბულში ფეხი შედგა.

— აჰუ, მაყვალაუ! კარებიდგანვე დაიძახა იმან, რადგანაც წელანდელსავით ქალი ეხლაც არ მოეგება და ეგონა, რომ ემინა.—ამდენი ძილიც გაგონილა?.. ბეჩაუ! მზე გადიწვერა.

რადგანაც ქალმა კიდევ პასუხი არ მისცა, მოძღვარი შევიდა იმ ოთახში, სადაც წელან მწოლარე ქალი ნახა და შესვლის უმალვე შესდგა და ყურება დაუწყო.

მაყვალა ისევ ისე გაუნძრევლად იწვა, რომ ამას იტყოდით ერთის გვერდიდგან მეორეზედაც კი არ გადაბრუნებულაო, ხელიც კი არ გაუქნევიაო:

— ქალაუ, რაი მოგივიდა?... ავათ თუ არა ხარ? სცადა გამოლაპარაკება მოძღვარმა.

პასუხად ისევ სამარის მსგავსი სიჩუმე ჩამოვარდა. ქალი არ შეინძრა.

— მაყვალაუ.... მაყვალაუ! გაფითრდა მოხუცი და ცივმა

ოფლმა დაასხა.—მაყვალაუ! გაიმეორა იმან და რაღაც აღშფოთება იგრძნო.

გაოცებული და რამდენადმე შეშინებული მოხუცი მიუახლოვდა საგებელს და ნაბადი მოუთმენლად გადახადა და უკან მოწყვეტებულს მუხლები ჩაეკეცა. გაფითრდა, გაყრყოლდა და პირისახეზედ ხელები დაიფარა. მთელს მის არსებას დაეტყო წარმოუთქმელი მწუხარება.

მოხუცმა დაინახა სისხლი, რომელიც მაყვალას მკერდზედ და პერანგზედ შეშრობოდა და შეამჩნია გულს ახლოს საკმაო ღრმა და განიერი იარა.

მოხუცს სასმენიც კი სწრაფად გამონელდა, იქამდის ძლიერი იყო ზარი, რომელიც მას დასცემოდა. გონება დაკარგულს, ტვინი ენთებოდა, თვალთ უბნელდებოდა, გული ელეოდა, ეწურებოდა და ღონე ვეღარ მოეკრიბა.

გონება-დაკარგული, თავ-დავიწყებული, ისა ჰგრძნობდა, რომ საშინელი უბედურება ეწვია, მაგრამ კარგა ხანს ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის, რაში მდგომარეობდა ეს უბედურება. შემდეგ, როდესაც მცირე ოდნად გამოფხიზლდა, შესძლო ხელ-ასლად დაენახა გულის გამგლეჯი სურათი, მის შესახებ მოაზრება დაიწყო.

იმის წინ იდო გვამი მით უფრო თანაგრძნობის ღირსისა, რომ უბედურს უკვე მგრძნო დანაშაული, ცოდვა მოენანებინა და ბოროტ გზას მოშორებულს გზა-მართალთა ამოერჩია.

მოძღვარი ჩასცქეროდა შეწუხებული და გულ-მოკლული მაყვალას პირისახეს, რომელსაც თვალები ღია დარჩენოდა და დამცინველი ღიმილი ტუჩებზედ დასთამაშებდა, თითქოს მით საყვედურსეუბნებოდა ხალხსა მათის უსამართლობისათვის.

მოხუცს თმა ტურმშალით აღმა აეშალა და მწუხარე, სევდა-მოცულის თვალებიდგან ცრემლი ნაკადულათ გადმოუდინა. აშკარად დაინახა, რომ ვიღაცის უწმინდურს ხელს მაყვალასთვას სიცოცხლე მოუსპო, მზე დაუბნელებინა!... მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ის უღმრთო, შეუბრალებელი მტარვალი, რომელმაც ასეთი უკაცური სისასტიკე გამოიჩინა?

მოძღვარმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალაც და შეიქნა ისევ ის, რაც ყოველთვის იყო ხოლმე. მის გულს ახალი სევდა მისწვდა, რადგანაც ერთის ნაზოგნის მოკვლით მწყემსი ჰკარგავდა მეორე ცხოვარსა, რომელიც ონოფრეს გულისთვის მაყვალასთანავე საყვარელი და საზრუნველი უნდა ყოფილიყო.

ონოფრემ აღაპყრო ხელები და ცრემლით დალორთხალი თვალები მიაქცია ჯვარცმას და, წყნარად, მაგრამ გრძნობით, წარმოსთქვა:

— მეუფეო, სასუფეველსა შინა, წმიდათა შორის მიიღე მხევალი შენი მაყვალა!... მიუტევე შეცოდებანი ცოდვილთაცა, რამეთუ არა იციან, რასა იქმონენ!

წარმოსთქვა ეს სიტყვები მღელვარებით, გრძნობით და პირველად, მხოლოდ პირველად გაურბინა თავში აზრმა, ჰქონდა მას უფლება მაყვალას მომკვლელისათვის უზენაესის წინაშე ეშუამდგომლა თუ არა და გაჩუმდა.

დიდ ხანს არ აშორებდა თვალებს მაცხოვრის ხატს, რომელიც იქვე კედელზედ ეკიდა, დიდ ხანს შესცქეროდა მოწყალების გამომთხოვნელის თვალებით და ამღელვარებულის სულის კვეთება სახეს ათას გვარად უცვლიდა.

ბოლოს გადიწერა პირჯვარი და რაოდენადმე იმედ მიცემული წამოდგა და მტკიცედ წარმოსთქვა:

— არა არს შეცოდება, რომელიც ცრემლით არ იყოს გან-

ბანილ და მონანებით განწმენდილ.

ონოფრემ გახადა ცხედარს, განბანა და მოასუფრნელა; გამოიტანა მეორე ოთახში, დაასვენა სკამზედ, აუნთო წმინდა სანთლები და დაჩოქილმა ისევ ლოცვა დაიწყო.

ლოცულობდა ამ დედა-კაცის სულისთვის, ლოცულობდა მის მომკვლელისთვის, ლოცულობდა იმ ხალხისთვისაც, რომელთა მკაცრმა გადაწყვეტილებამ სუსტი ქმნილება ამ მდგომარეობაში ჩააგდო, იმ ხალხისთვისაც, ვისაც სახალხო წესთა და დებულებათათვის ხელი შაეხო.

ამ წუთში მოძღვარი მტრებს არა ხედავდა, მის თვალწინ იდგნენ ვნებით მოცულნი, სულით დავრდომილნი ავადმყოფნი, რომელთათვისაც მოძღვარი ისე გულ-მხურვალედ განთავისუფლებას, გონების განათლებას ითხოვდა.

ონოფრე ლოცულობდა მხურვალედ და მიტევებაში წარმოუთქმელს სულ-გრძელობას გამოიჩენდა; განშორებული ცოდვილს მიწას და მის მცხოვრებთ, შაერთებოდა ზეციერს მამას და ამაღლებულს სულით კაცთა ვნებანი აღარ მიჰკარებოდა.

გაიარა კარგა ხანმა, სადილობა გადავიდა, შემოღამდა კიდეც, მაგრამ მოხუცი ისევ იმ ვედრებაში იყო, ისევ იმ ლოცვაში და ხორც დავიწყებული სულს ასაზრდოებდა.

ერთბაშად გარედგან ძახილი შემოესმა, მოძღვარი შეკრთა და ხმაზედ მთაში საბალახის ასალებად წასული მწყემსები იცნო. გადიწერა პირჯვარი, გადასწერა ცხედარსაც და წყნარად გავიდა.

მოძღვრის დანახვის უმალ მთიელები მხიარულად მოეგებნენ და მშვიდობასა ჰკითხავდენ. მოხუცმა შეხედა სევდამოცულის თვალებით და წყნარად წარმოსთქვა:

— ხალხო, სიცილის დღე აღარ მაქვს.:. გული სევდამ

დასითვრთვილა და დაადურალა.

—რაი ანბოვია, რაი ანბოვი?! მისცვივდენ გულდამაურელები თანაგრძნობით.

—ქოხში მკვდარი მისვენია. მოკლედ წარმოსთქვა მოხუცმა და თვალებში ცრემლები მოერია.

—მკვდარი? გაოცდენ მთიელები და წუთის სიჩუმის შემდეგ ერთმანეთს კითხვას აღარ აცლიდენ:—ვინაა, სადაურია, რამ მოკლა?

—იქ ასვენია, ჩემო ძმანო! საბრალო მსხვერპლი ვიღაცა გზა-დაკარგულის ბოროტ-მოქმედებისა... ჩვილის და უღონო ქმნილებისათვის, რომელსაც თავის დაცვა ვერ შესძლებია, სამარცხვინო ხელს სიცოცხლე მოუსპია.... მოკლული—დედა-კაცია...

—დედა-კაცი! მომეტებულად გაჰკვირდენ მოსულები, რადგანაც დედა-კაცის მოკვლაზედ უმეტესი დამცირება დამნაშავისა არ ესმოდათ.

ჩამოვარდა სიჩუმე, რადგანაც ამ გვარმა შემთხვევამ ხალხი მეტის მეტად გააბრაზა. ყველა იქ მყოფი ავაზაკის მოქმედებას ისე უყურებდა, როგორც პირადს თავის შეურაცხყოფას და გულით ისურვებდა დამნაშავისთვის გადაეხადნა.

—მოგიკვდეს ჩემი თავი! წამოიძახა ერთმა,—მოგიკვდეს, რომ იმ დროს ვერ შევხვდი!

—აი, ბედნიერაი შეხვდებოდა! ნატვრით დაუმატა მეორემ და პირის სახეზედ ყველას ისეთი აღშფოთების ბეჭედი დაეტყო, რომ კაცს შესახედათ შეზარდებოდა.

—მამაო, გვითხარ, ვინ მოჰკლა? გვითხარ! ერთ-ხმად წამოიძახეს მთიელთა და ხანჯლებს ხელი გაივლეს.

—არ ვიცი, შვილო!... ცოდო მორეულს უბედურს ვერ

მოვასწარი.

— არა, არა, მოძღვარო... შენა მალამ, იფარამ... მომკვლელმა ჩვენ მოგვაყენა სირცხვილი... სათემოდ ჩვენ მოგვეხვია თავზედ და დამნაშავე უნდა გამოვნახოთ..., ქალის სისხლი გადას დევიანებას ითხოვს, თემის შერცხვენა თავის გამართლებას... მო გვეც ჩვენი შემრცხვენი, რომ ვალი გადავიხადოთ.

— მამაო!... არა სისასტიკეთა, სისხლითა და ხმლითა მოიქცევიან ცოდვილნი, არამედ შთაგონებითა შეინანებენ ცოდვათა თვისთა.

— მღვდელო!... ღვთის კაცი ხარ და ღვთის სიტყვით დაპარაკობ... მაგრამ მაგ საქმის დამალვა არ იქნების! ცოდო ბრალი მოხდა და მომსწრენი კი არა ჩანს... ყველას გული წაგვ ისდების ერთურთზედ... ერთმანერთზედ ეჭვი გვექნების... ნდობა დაიკარგების და მეზობლობა დაირღვევის... გვითხარ, ვინ მოჰკლა?

— არ ვიცი.

— შემოგვფიცე.

— მე არ ვფიცულობ, რამეთუ ჩემი ჰო-ჰო არის და არა-არა. უპასუხა მოხუცმა, გაიმართა წელში და ისეთის ღირსებით და ძლევა-მოსილებით შეხედა, რომ მთიელებმა თავი დახარეს და კითხვის გამეორება ვეღარ გაბედეს.

დარწმუნდენ, რომ მოძღვარი მართალს ეუბნებოდა, მათ წინ გაემალა და იმდენი სიგულადე შერჩენოდა, მომკვლელის სახელი უგლი რო სცოდნოდა კიდეც პირდაპირ ეტყოდა: «მე ვიცი მომკვლელის სახელი, მაგრამ არ გეტყვით, არ გეტყვით, რამეთუ არა კაცია მსაჯული ცოდვილთა, არამედ მეუფე მჯდომარე მარჯვენასა მამისა თვისისასა.»

— ქალი, ვიღა არის? ჰკითხა ბოლოს ისევ იმ მთიელმა,

რომელიც დანარჩენებზედ მოხუცებული იყო და მასთან მყოფებზედ უფროსობდა.

— დაურდლომილი, განწირული სოფლისაგან, რომელმაც თავშესაფარებელი და სულის დასამშვიდებელი ბინა ჩვენს ქოხში იპოვა... ის იყო ცოდვილი, მაგრამ დიდ-სულოვანი... ხანგრძლივის შენანებით მან დაიმსახურა სასუფეველი... ვილოცოთ განსვენებულის სულისთვის, რამეთუ დაკარგული სულახლად იპოვა იესომ. მოძღვარმა დაიჩოქა და მის მაგალითის დანარჩენებიც მიჰყვნენ.

ყველამ მოიხადა ქუდი, გაკმინდა ხმა, გაჩუმდა და გაჩქურდა; რა ჩიტყვებით მიემართათ ღმერთისადმი არ ისმოდა, მხოლოდ მათ სახეს რაღაც დიდებულების ბეჭედი დასტყობოდა და თვალებში საიმედო ძალის მომცემი რწმუნება გამოხატვოდათ.

კარგა ხანი იდგნენ ამ სიჩუმეში; განძრევითაც კი არავინ განძრეულა, როდესაც მოძღვარი წამოდგა და წყნარად წარმოსთქვა:

— ძმანო, განქრა ერთი სანთელი, რომელმაც სიცოცხლითვე მოასწრო ქრისტიანობის ლამპარი სარწმუნოებით გაეშუქებანა... გარდაიცვალა ქრისტიანე და მიშველეთ — ქრისტიანობის უკანასკნელი წესი შევუსრულოთ.

— გვიბძანე, შენი გვნესამე, გვი!

— მიწისგან გაჩენილი, — მიწასვე მივაბაროთ.

რამდენიმე საათის შემდეგ, ვიწრო და ღრმა სამარე, ნოტიო, შავის მიწისა მზად იყო.

გამოასვენეს წყნარად და მოკრძალებით. ოდესმე სიცოცხლით სავსე მაყვალას გვამი და ერთის წუთით დაასვენეს სამარის პირს, რომ მოძღვარს უკანასკნელი სალამი ეთქვა, მო-

ძმენი უკანასკნელად გამომშვიდობებოდნენ და ჩაასვენეს საუკუნო სამფლობელოში....

— მიწა ხარ და მიწად იქეც! მოისმა უკანასკნელი სიტყვები და საფლავი მალე გაივსო, გაიჭედა მიწით, რომელმაც მაყვალა სამზეოს საუკუნოდ გამოასალმა...

ამ დღიდგან, თითქმის ყოველ დღე მზის ჩასვლისას ნახავდით საფლავის პირს ქუდ-მოხდილს, დაჩოქილს მოძღვარს, რომელიც უზენაესს ევედრებოდა განსვენებულის სულისთვის და შესთხოვდა, რომ მისი მამკვლელი მოებრუნებინა და მიეცა ძალა მაყგნო, მოენანია შეცოდება თვისი.

# XVIII

მაყვალას მოკვლა მეტის-მეტად შესაძრწუნებელი შემთხვევა იყო, რომ ამაზედ ხმა მთელს მეზობელ თემობას სწრაფად არ მოჰფებოდა და საზრუნველ-სალაპარაკოდ არ გახდომოდა.

ქალის მკვლელობა გუდამაყრის ხეობის თემის მაზრაში მოხდა და მთის კაცისათვის ასეთი წარმოუდგენელი შერცხვენა ამ ხალხს საჯაროდ დაედო.

ხალხი ჰგრძნობდა თავის მდგომარეობას, ცდილობდა დამნაშავე აღმოეჩინა და სირცხვილი თავიდგან მოეშორებინა. თუნდა ესეც არა ყოფილიყო, იმ ხანში თავიანთ საქმეებს ჯერ კიდევ ხალხი თითონ განაგებდა და მაშასადამე მოვალე იყო დამნაშავე აღმოეჩინა და ღირსეული სასჯელი მიეყენებინა.

იმ ხანში თემობას ჯერ კიდევ ხელში ეჭირა ხალხის მართვა, რადგანაც ახლად შემოღებულს წესებს ჯერ კიდევ ფეს-

გები ვერ გაუდგა, ვერ გამაგრებულიყო და თავის სურვილისავე წინააღმდეგ ხელს ყველგან ვერ აწვდენდა. ის ჩაერეოდა ხოლმე მხოლოდ იმ საქმეებში, რომელიც გარეშე პირთა მეოხებით მათ ყურს მასწვდებოდა ხოლმე.

მაყველას მოკვლის საქმე მხოლოდ ხალხში დარჩა და მისი გამორკვევა და გარჩევაც მას მოუხვდა თავზედ. მაგრამ არც გულ-მოდგინე მეცადინეობა, არც გონივრული განკარგულება მათ არა შველოდა; დამნაშავე არსად სჩნდებოდა, თითქოს ან მიწას ექნა მისთვის პირი, ან წყალს ჩაეყლაპა და ყველასთვის საუკუნო საიდუმლოებათ დაეფარულიყო.

ჰქონდათ მცირედი ეჭვი გელაზედ, ონისეზედ, მაგრამ ამ გვარს საქმეში კაცზედ ბრალის მიტანა მხოლოდ მცირედის ეჭვით მეტად ძნელი იყო და საბუთი კი არა ჩნდებოდა-რა.

ხანი მიდიოდა წყნარ-წყნარად, ხალხი მოწყენით ითხოვდა ავაზაკის პოვნას და გადასახლებინებას, მაგრამ საქმე იოტისოდნადაც წინ არ მიდიოდა.

ერთს დროს თემობამ გელა და ონისეც კი დაიბარა, რომ მათთვის ეკითხნათ ამ საქმის შესახებ, მაგრამ გაგზავნილი კაცები უკან ხელ-ცარიელნი დაბრუნდნენ, რადგანაც ვერც ონისე და ვერც გელა ვერ ეპოვნათ.

ეჭვი დარჩა ეჭვად, ხანმა და დრომ კი შესაძრწუნებელი შემთხვევა წყნარ-წყნარად გადაავიწყა.

ცხოვრებამ ჩვეულებრივი მდინარეობა მიიღო, რომლისაც ერთს ზაფხულის სადამოს მოძღვარი ონოფრე თავის ქოხის კარებზედ გამოსულიყო და დალონებულის სახით გუდამაყრის სოფლებს გასცქეროდა.

საქონელი, რომელიც მწყემსებს მთაში მიჰყვანდათ, უცხოდ შეფენილიყო ზურმუხტოვანს ფერდობებზედ და მზის შუქზედ

ოქროსად ზიზინებდა. ცვარი მიეზიდა ნოყიერს, სურნელოვან ბალახს და გაწამებულიყო. აქა-იქ ფერდობების თავზედ მოჩანდენ ნაბად-წამოსხმული და ქუდ გვერდზედ მოგდებული მოდარაჯე მწყემსნი, რომელნიც ხან-გამოშვებით ქვას დასწვდებოდენ და გმზავად გადაქცეულს თხას, მუდამ გლეჯებისგან მიმზრმოლეგს, მოსაბრუნებლად ესროდენ. დასჭყივლებდენ და ჭიუხელის შემდეგ მაღლად, ზარისავით უზალო წკრიალას ხმით შემოღერდენ:

«მარტო ვარ, მარტო ვაძღერი,
არავინა მყავს მობანე:
მაისის წვიმავ, წამოდი
გული სევდისგან გაბანე.
ნისლო, წყნარად დაჰქროლე.
ფოთოლს ტაშ დააკვრევინე:
სწორის არ-გამტანს, უფალო,
ცხვარი სალმ წააკვრევინე'»

მას ხმას მოსცემდა მეორე, მეორეს მესამე და ერთმანეთს შელაღებულნი შაირით ბანს გამართავდენ, ლექსით გამოთქმით გაჯიბრებულნი აღარ ისვენებდენ. მათგან ყველამ იცოდა, რომ იქაც მეზობლად ქალებიც იყვნენ და ამისთვის უწმაწურს სიტყვებს ყველა ერიდებოდა. *)

---

*) უნდა ვსთქვათ, საზოგადოთ მთის ხალხის სასახელოდ, რომ მათ შორის უწმაწური ლაპარკი და ლექსი ძალიან იშვიათია. ათასში ერთხელ, ისიც დამთვრალს თუ წამოსცდება უმართებული სიტყვა. თვით ჩხუბშიაც კი არ იციან უშვერი გინება და ერთმანეთს მხოლოდ ლაჩრობას, ტოლ-სწორის გაუტანლობას და მთხრობლობას აყვედრიან. რომელსამე მარცხს მასხარად აუგდებელს არ გაუშვებენ, მაგრამ სამასხაროდ გამოთქმულს ლექსში საგინებელი სიტყვები ძნელად არის ჩართული.

ავტ.

ონოფრე გასცქეროდა ამ მხიარულს, სიცოცხლით და მოაზრებით სავსე ხალხსა, რომელთა გულის ლაღობა ვერც მთის ბუნების სიმწნელეს დაუნაგრა, ვერც რომელსამე სხვა გარეშე ვითარებასა.

შესცქეროდა მოხუცი და თავისი სიყმაწვილე აგონდებოდა.

ონოფრეს სიცოცხლის გაზაფხული გამოევლო, ენახა აღშფოთებული, მჩქეფარე წუთები, გამოეცადა გულისა და სულის მღელვარება, სიტყვით ის მოთრთოლვარე მდგომარეობა, როდესაც სისხლი სდუღს და გადმოდის, როდესაც თვით სიცოცხლეც კი განსაცდელს სიამოვნებით ეძლევა. განქრა მოთრთოლვარე ყმაწვილობის ცეცხლი; მის მაგივრად, გული გამოცდილებას მოეცა, დაენახა სოფლის ამაოება და განშორებული ყველას შესდგომოდა იმის სახელს, რომელიც საწყალთ მოსარჩლის სინონიმად გადაქცეულიყო. თავის პირადობის უარ-მყოფელი, ჯმუხი მოხუცი დაჰკვირვებოდა ქვეყნის ცხოვრებას, მის ვნებათა და ამაოებათა. მოაგონდა ის წუთებიც, როდესაც პირველად გაუბრწყინდა სხივი დიდებულის აზრებისა და პირადი განცხრომა, ქვეყნის ბედნიერებისთვის ზრუნვას შესწირა.

ამ ფიქრებით მოცული გაჰყურებდა მეცხვარეებს და მათის სიხარულით თითონაცა ხარობდა, მაგრამ ხალხის მხიარულებით ვერა კმაყოფილდებოდა, მათთვის უმეტესს ბედნიერებას და დიდებას ითხოვდა.

მას ჰქონდა წარმოდგენილი ხალხის კეთილ-დღეობის იდეალი და გულის კვნესით ხედავდა, რომ მისი სამწყსო სხვა და სხვა მიზეზების გამო მეტად დაშორებოდა სასურველს მდგომარეობას; ეკლიანს, ხლართულად მის მიმავლობას. ათასი შემთხვევა წინ გადასდგომოდა და ცხოვრების კანონიერს მდინარეობას ხელს უშლიდა.

სანამ ფიქრი მოხუცისა ამ წმიდა საგანს ეხებოდა, ქვე-მძრომის, თვით თვალთ-უხილველის ფერფლის ვნებაც კი არ განიზრახებოდა მისგან, მაგრამ როდესაც გონება მის მამარ-თულების ხელის შემშლელთ მიუბრუნდებოდა, წინამ-ძართ წმიდა მამათა მაგალითებით გამხნევებული მებრძოლად გადაიქცეოდა; ჯვარითა და ცეცხლით ვნებას წინაღუდგებოდა, სამართლიანე-ბისთვის თავი დასდებოდა, რათა ხალხისთვის თავ-განწირუ-ლების დიდებულება დაენახვებინა. რამდენადაც მის გულში მთის შვილები თანასაგრძნობელს ღირსებას იჩენდენ, რამდენა-დაც სიცოცხლის ძალა და ხასიათის სიმტკიცე მეტად ეტყო-ბოდათ, იმდენად მოძღვარსაც მეტის ძალით მოსწყურდებოდა მათთვის გზა გაეკვლია, გაეწმინდა ძეძვისა და ეკლისაგან.

მზე გადიწვერა და მწყემსებმა ღამის სადგურებს მიმართეს; ხმაურობა თან და თან სუსტდებოდა და ღამის უფსკრული მი-დამოს ქურდულად ეპარებოდა. შესწყდა მოძრაობა; მთვარე ღრუბელს მოეფარებოდა; ბნელით მოცულს მთის ფერდოებზედ მწყემსებს ცეცხლები გაეჩაღებინათ უცნაურად დაკლაკნილს ად-გილებს შუქი მისწვდომოდა და სამაცდუროდ განათებულიყო. ათასში ერთხელ ძაღლის გამუდმებული ყეფა ბანს მისცემდა ხოლმე მგლის ყმუილს; წყნარი ნიავი იტაცებდა ხმაურობას, აწვდენდა მთის ხვეულებს და ატრიალებდა. შორის ტყიდგან დათვის ბურდღუნი მოისმოდა.

მოხუცი ჩაფიქრებული, თავ ჩაკიდებული ისევ წელან-დელს ადგილას იჯდა, ზრუნვა-მოცულს თვალებში თი-თქოს ღამის სურათი გადმოისახოდა და გაჩირაღდნებუ-ლს გოლიათთ გასცქეროდა ფიქრი ზღვად გადაქცეოდა ტალ-ღებსავით მიქან-მოქანავდა. სხვა და სხვა სურათები გემსა-ვით, რიგ-რიგად მოცურავდა და ერთს მეორე შესცვლი-და გუნებაში იძახდა: «რატომ არ ძალ-გიძს ყველა გაკაბედნიე-

რო, ფეედას განსაცდელი ავაცდინო?!

მოძღვარი მთლად თავის ფიქრებს მისცემოდა, როდესაც ერთბაშად რაღაცა მოუსვენრობა იგრძნო და თვალები ცას მიაპყრა. სწორედ იმ დროს, როდესაც თავი აიღო, შეამჩნია, რომ ერთი ვარსკვლავი სხვებზედ მეტად გაბრწყინვებულიყო, ციმციმებდა და თითქოს მოძრაობაში მოდიოდა; ვარსკვლავმა ერთბაშად იელვა, გაშუქდა და ციდგან მოწყვეტილი, სწრაფად თვალწინ წამოვიდა; მოძღვარი წამოხტა, გადიწერა პირჯვარი და წყნარმდ წარმოსთქვა:

— უფალო დაიხსენ სული ცოდვილისა და მიიღე მფარველობასა შინა შენისასა. *) ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც მოისმა თოფის ხმა და მის ახლო-მახლოდ თითქოს რაღაცა დაეცა.

მოხუცი შეკრთა, გაფაითრდა და გასწია იქითკენ, საიდგანაც თოფის სროლის ხმა მოსწვდა.

ღამე იყო ბნელი და მოხუცს გზის გარჩევა უჭირდებოდა, მაგრამ ადგილს შეჩვეული მაინც მტკიცედ მიაბიჯებდა. ერთბაშად მოესმა კვნესა და შესდგა, კისერი გაიძაბა, ყურთან ხელი მიიფარა და სმენად გადაიქცა. მოხუცს კიდევ მოსწვდა კვნესის ხმა და აშკარად გაიგონა:

— ტიალო! გულს მაინც მომხვედროდი!

ონოფრე გაბრუნდა იქითკენ, საიდგანაც ლაპარაკი მიესმა და, ცოტა სიარულის შემდეგ, ცის ტატნობზედ ვიღაცა კაცი გაარჩია.

ის წამომჯდარიყო, გაეხადა მარცხენა მხარე ტარავლისა

---

*) ხალხში რწმუნებაა, რომ ყოველ კაცს თავის ვარსკვლავი ჰყავს და მის სიკვდილთან ერთად ვარსკვლავიც უნდა განქრეს.

და როგორც ეტყობოდა, დაზიანებულს მკლავს იხვევდა.

ერთბაშად მთის წვერს მოხვეული შავი ღრუბელი განშორდა და მთვარე ტყვეობიდგან განთავისუფლებული გამოსხლტა და შუქი პირდაპირ დაჭრილს მიაყარა. მოხუცმა შეხედა მას და შესდგა! იქამდის შესაზარებლად ეჩვენა დაჭრილის სახე, რომ სიტყვა გაუწყდა.

უცნობს წვერი და თმა გაჰბურძგნოდა, ტანისამოსი შემოსძარცოდა და ნაფლეთებადღა ეკიდა, გამხდარი სახე უცნობისა გაფითრებულიყო და შავი, პატარა თვალები სადღაც ჯურღმულში ჩაჭყვარტოდა და არა ჩვეულებრივად ნაღვერდალსავით ულაპლაპებდა.

რა ნახა უცნობმა მიახლოვებულს მოძღვარს თვალი შეჰკრა, ფეხზედ წამოიჭრა, დაავლო თოფს ხელი და გასაქცევად მოემზადა.

— შესდექი უბედურო! მბრძანებლის კილოთი შესძახა მოძღვარმა და კაცი იმ ადგილზედვე გაშეშდა, გაჩერდა და ისე დარჩა.

ონოფრე მიუახლოვდა და მზრუნველიანად, ჰკითხა:

— დაჭრილი ხარ?

— არა, არა,—თოფი გავარდა და ტყვიამ გამკენწლა...

ღვდელმა წადგა ფეხი, რადგანაც იარის გასინჯვა და შეკვრა უნდოდა, მაგრამ უცნობმა შეჰკივლა და ისევ გასაქცევად მოემზადა.

— არ მომეკარო, არ მომეკარო, ხმა-მაღლად დაიძახა უცნობმა და შემდეგ უფრო დაწყნარებით დაუმატა;—ღირსი არა ვარ.

ღვდელი შესდგა, შეხედა და ჩააკვირდა: დაჭრილმა ვეღარ გაუძლო მის თვალების ძალას, დახარა თავი და წნორის

ფურცელსავით ცახცახა დაიწყო; სცადა გასცლოდა, მოერიდებოდა მოძღვრის თვალებს, რომელიც შეუბრალებელს ტყვიაზედ მეტად აშინებდა და აწუხებდა, მაგრამ მუხლები აუცახცახდა, ჩაეკეცა და მიწაზედ დასცა.

მოძღვარი მივიდა და დაჭრილს საშველად ხელი მოჰკიდა იარა საშიში არ იყო, მაგრამ ბევრის სისხლის დენას დაესუსტებინა. მოხუცი შეუდგა თავის საქმეს და მალე შეუხვია ჭრილობა.

— შენდობა მამაო, წყნარად, თითქმის ჩურჩულით წარმოსთქვა დაჭრილმა.

ღვდელი მიუახლოვდა, ამოიღო უბიდგან პატარა ჯვარი, რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა და ტუჩებთან მიუახლოვა.

— არა ჩემის სახელით, არამედ ცოდვათა მოტევებისთვის ჯვარცმულის სახელით, შენდობილმც იქმნები, შვილო!

— არა, ეგრე არა! წარმოსთქვა უცნობმა და აღშფოთებულმა, ჯვარს თავი მოარიდა.

მოძღვარმა შეხედა და აშკარად დაინახა, რომ უბედურისთვის რაღაცა გრძნობას სახე უწყალოდ დაეპრანჭა და, თუ მტკნარ გიჟს არ დამსგავსებოდა, სულით ავად-მყოფი მაინც უეჭველად უნდა ყოფილიყო.

— მაშ რა გინდა, რა მოგდის, შვილო?... იქნება ჭრილობა გაწუხებს?

— არა, არა! მოუსვენრად, ცრემლ-მორეულის ხმით წარმოსთქვა ავად-მყოფმა.

— მაშ რა გაწუხებს?... მითხარ.

— მაზიარე.

— ზიარებას მომზადება უნდა, შვილო.

— მაშ მომამზადე, მომამზადე .. ჩქარა. მოუსვენრად წარმოსთქვა დაჭრილმა და დასუსტებულმა მიილუშა.

— ღმერთი დიდია, შვილო! მითხარ, რა მოგსვლია? რა გამძიმებს. — აჩქარდა მოძღვარიც, რადგანაც ავად-მყოფი მეტად სუსტდებოდა და ეშინოდა ბევრის სისხლის დენას მთიელის მორჩენა შეუძლებელი არ გახდა და უზიარებლად ქრისტიანის სიკვდილი კი მომაკვდინებელს ცოდვად მიაჩნდა.

დაჭრილი წვალობდა, რადგანაც ლაპარაკი უნდოდა დაეწყო, მაგრამ სიცხისგან გამშრალი პირი ვერ გაეღო და ყავარყავარ დახეთქილს ენას ვეღარ იმორჩილებდა. ონოფრემ შეამჩნია გაჭირვება და იქავ ახლოდგან, მათარით წყალი მოუტანა: გაუღო პირი რქის კოვზით და რამდენიმე წვეთი ჩააყლაპა.

რაკი ავად-მყოფმა გამცოცხლებელის სისველის მიკარება იგრძნო, პირი მალე გაულბა და თითქოს ძალაც მოემატა. ამასთანავე იგრძნო წარმოუთქმელი წყურვილი, მაგრამ მოხუცმა უპასუხა:

— მოითმინე, შვილო! მაგ ყოფაში მყოფს წყალი გაწყენს.

— ვიწვი, ვიხთები, გულ-მუცელი მეხრაკება! უნუგეშოდ წარმოსთქვა დაჭრილმა და ხვეწნით დაუმატა; — წვეთი მხოლოდ ერთი წვეთი!

— კარგი, შვილო! კარგი. ოღონდაც დამშვიდდი. უპასუხა მოძღვარმა და მათარიდგან კოვზით ამოიღო წყალი.

მოიხსნა ქამარზედ მობმული ქისათ გაკეთებული ბატის ფრთა, საიდგანაც წამოყარა დაფქვილებული გამხმარი კოწახური და წყალს აურია. შემდეგ მიუტანა ავად-მყოფს პირთან და უთხრა:

— აი დალიე და მეტს კი ნუღარ ითხოვ.

— უცნობს თვალები გაუბრწყინდა და მსუნაგად ჩაყლაპა რამდენიმე წვეთი სიმჟავისა.

— ოჰ! სიამოვნებით წარმოსთქვა ამან, მოლულა თვალები და მიეძინა.

მოძღვარი თავს ადგა და ელოდა სანამ ავად-მყოფი ძალას კიდევ მოიკრებდა და ლაპარაკს შეიძლებდა, მაგრამ თავდაწყნარებაში ჩავარდნილი დაშლილი განსვენებას ეძლეოდა.

ერთბაშად მას სახე დაემანჭა, შუბლი შეეჭმუხნა და მწარედ დაიგმინა; გაიძაბა და წუთის შემდეგ ცახცახი დააწყებინა. ონოფრე მიხვდა: რომ ეს შედეგი იყო ჭრილობისა და საიმედო ნიშანს წარმოადგენდა; ამას გარდა მოიხსნა ნაბადი, დახურა უცნობს და იქვე გვერდით ხმა-გაკმენდილი მოუცადა.

კარგა ხანს გასტანა ამ მდგომარეობამ, მაგრამ არც ავად-მყოფი მოდიოდა გონსა და არც მოძღვარს მოსწყინდა მზრუნველობით ყურება. ონოფრე იჯდა დაფიქრებული და მდუმარებით სავსე თვალებით ჩასცქეროდა მწოლიარის სახეს; ხანდისხან წყნარად მიიტანდა ავად-მყოფის გახურებულს შუბლთან ხელს და მშობლიურის მზრუნველობით წარმოსთქვამდა:

— მადლობა ღმერთს!.,. ციებამ გაუარა და სიცხე კი ძალიან ძლიერი არა აქვს...

ცოტა ხანს შემდეგ ავად-მყოფმა მოუსვენებლობა დაიწყო და მოძღვარმა საჩქაროდ შუბლზედ ხელი დაადო; სახე რაოდენადმე შეეჭმუხნა, აღშფოთება დაეტყო და წყნარად წარმოსთქვა:

— სიცხემ მოუმატა, მაგრამ არა უშავს-რა, ოფლი მოუვიდა. ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა იმან და ჩვირთქლიად გადმონადენი ჭირის ნაკადული გადასწმინდა.

ავად-მყოფს, უეჭველია, რაღაცა აწუხებდა, ელანდებოდა

რადგანაც სახის გამომეტყველება განუწყვეტლივ ეცვლებოდა და ტუჩებს ხან სიამოვნების ღიმილი, ხან წარმოუთქმელის ტანჯვის გრძნობა დასთამაშებდა. ბოლოს რაოდენადმე გაალო პირი, ტუჩები, აუთამაშდა და მოძრაობა დაიწყო, თითქოს ლაპარაკს აპირებსო. მოისმა ჩურჩული. რაღაცა გაუგებარის სიტყვებისა და სმენად გადაქცეულმა მოხუცმა ყური ავად-მყოფის ტუჩებს მიუახლოვა.

გამეორდა ჩურჩული და მოხუცი შეკრთა, თუმცა ვერც ყურის მოშორება მოახერხა და ვერც წამოდგა.

— მაყვალა, მაყვალა! აშკარად გაარჩია მოხუცმა.

ონოფრე გველის ნაკბენსავით წამოვარდა, გაფითრდა და ისე გაშეშებული დარჩა.

ამ სახელის გაგონებამ მწარე ფიქრები აღუძრა თავში და მეტის-მეტად შხამიანი მახვილი შაესო მის გულს.

უცხო კაცი, ამ დგომარეობაში მყოფი, ახსენებდა მაყვალას სახელს! იმ მაყვალას სახელს, რომელმაც ისე ბეჩავად, შეუწყნარებლად დალია სული! ვინ იყო ეს კაცი? რა იყო საერთო უბედურის და უცნობის სახელში კავშირი,—ამის გადაწყვეტა მოძღვრისთვის ადვილი არ იყო, მაგრამ გული კი მოუსვენრად უცემდა და თითქოს რაღაცა წარმოუდგენელის უბედურების გაგონებას ელოდა.

— იქნება ეს არის?! ერთბაშად გაუელვა მოხუცს თავში, დაეცა მუხლებზედ და მთლად სმენად გადაქცეული ავად-მყოფს დააკვდა; მაგრამ დაჭრილი დამშვიდებულიყო, გაჩუმებულიყო და თანასწორის სუნთქვით განსვენებას ეძლეოდა. ერთი სიტყვა, ერთი ამოოხვრა არ გაუგონია ონოფრეს, რომელსაც ეჭვის ან გამართლება, ან გამტყუნება შესძლებოდა და ისე კი სწყუროდა მისი გაგება!

ბოლოს ინანა ამ გვარი მძიმე ეჭვის მიტანა იმ კაცზედ, რომლის გასამტყუვნებლადაც არა ვითარი საბუთი არა ჰქონდა და უბედურის შესახებ აზრი მხოლოდ სიცხე მორეულის ავად-მყოფის ბოდვაზედ დაეფუძნებინა.

შეინანა, მხოლოდ ფიქრიც კი მიუტევებელს ცოდვა ჩა-სთვალა. დაიჩოქა, აღაპყრო ხელები ცისკენ და გრძნობით წარმოსთქვა:

— მეუფეო, შემინდევ, რამეთუ კაცი ვარ.

## XVI

ღამის წყვდიადისთვის განთიადს ნისკარტი ეკრა და ფერი მცვლევინებინა; წყნარი, დამშვიდებული სიო, წინამორბე-დი განთიადისა, წყნარად არხევდა და აღვიძებდა მინდვრის კეკლუცთ; ტკბილად ჩასჩურჩულებდა და ამზადებდა დღის და-მამშვენებელის დასახვედრად. ცა მტრედის ფრად მოქცეულიყო და მიდამოს ნაზის შუქით გადმოჰფენოდა. ფრინველნი ჯერ კიდევ ძილით მოცულნი, დღის მოლოდინით ჰკრთებოდნენ, სიო ნაგრძნობნი შეარყოლდებოდენ, იბერტყებოდენ და დრო გამოშვებით სტვენით შეჰყეფდენ შემოქმედს.

მოძღვარი იქვე იმ ადგილს, თავ-მიშველი და თმა-გაწე-წილი იდგა, ისევ ღმერთს ევედრებოდა, რომ მოეტევებინა მის-თვის მიზეზ-მიუცემლად იმ მაღალის ღირსების შეხება, რომე-ლიც კაცის პირადობას ეკუთვნის. მოძღვარი თავის თავს დამ-ნაშავედ ჰგრძნობდა და სამზღვარი არ ჰქონდა მის მოცადი-ნეობას, რომ შეცდომა გამოესყიდა. ავად-მყოფი, რომელიც

ისევ იმ ადგილს იწვა, სადაც მოძღვარმა ნაბადი დასხურა, ერთ-ბაშად შეინძრა და თვალი გაახილა.

— სადა ვარ? წარმოსთქვა იმან და იქაურობა მოათვა-ლიერა.

— აქა ხარ, შვილო! აქა. მიაშურა მოძღვარმა და დაუმატა: —ჩემთან, შენს სულიერს მამასთან, რომელიც გვერდით გყავს და ზრუნავს შენთვის.

— მღვდელი! წარმოსთქვა იმან და ისევ თვალები დახუჭა.

— მღვდელი კი არა, შვილო! ძმა და მამა, რომელსაც თა-ვი შენთვის და შენის სამსახურისთვის მიუცია.

დაჭრილმა ისევ გაახილა თვალები და მადლობით ყურება დაუწყო.

— ჰო, ჰო! წარმოსთქვა მთიელმა.—მახსოვს, მახსოვს!... მართალია, „ძმა ხარ, მამა და გული მიყუჩდების შენს ხმაზედ... იმედი მეძლევის.

— როგორა ხარ, შვილო?

— გონჯად. ბეჩავად წარმოსთქვა დაჭრილმა.

— რადა, რადა?... უკეთობა გეტყობა!

— განჯადაც იმადა ვარ, რომ უკეთობა მეტყობა!... რაი სასიცოცხლე ვიყავ, ღვთის მადლსა?

— რათ ამბობ მაგას, რათა, შვილო?... მაგ სიტყვებით ხომ ღმერთს აწყენინებ.

— სიცოცხლით რადას ვაამებ?

— თუ ესლა არა, შემდეგში შეგიძლიან აამო?

— შემდეგში? იკითხა იმან და მწარედ ჩაიცინა.—შემდეგში. ეჰ, ჰე, ჰე, ჰე!

დაჭრილი გაჩუმდა და მოძღვარსაც აღარა უთქვამს-რა. ორივე თითქოს ერთმანეთს ელოდენ, რომ ლაპარაკი დაეწყო,

თუმცა ორთავეს გული სავსე ჰქონდა ლაპარაკის დაწყების წადილით.

— გუშინა. გუშინ დამპირდი... გაჭირვებით და ქშენით დაიწყო უცნობმა, მაგრამ ვეღარ გაათავა და გაჩუმდა.

აშკარად ეტყობოდა მთიელს, რომ სურვილის წარმოთქმა უძნელდებოდა და გაუბედაობა კი პირში სიტყვას აწყვეტინებდა.

— რას დაგპირდი, შვილო!... მითხარ, ნუ მერიდები. დამყვავებელის და ტკბილის ხმით გაამხნევა მოძღვარმა.

— დამპირდი, რომ... შესდგა მთიელი, მაგრამ მაშინვე, თუმცა ჩუმად, მაგრამ მტკიცედ და მკაფიოდ დაუმატა: — დამპირდი, რომ მაზიარებდი.

— მართალი ხარ, შვილო! დაგპირდი... მე მინდოდა გუშინვე აღმესრულებინა შენი სურვილი, რადგანაც საშიშს მდგომარეობაში იყავი, მაგრამ მეტის-მეტმა დასუსტებამ ძილი მოგგვარა და ჩემი განზრახვა აუსრულებელი დარჩა...

— დღესა, დღესა მამაო? აჩქარდა ავად-მყოფი. გაუბრწყინდა თვალები და აჩქარებულმა ქშენამ მოუთმენლობა დაატყო.

— დღეს გაზიარებ, შვილო!.. ღმერთმა უკეთ განსაჯა, რომ დღემდის დაგვაცდევინა.

— როგორ?

— დასუსტებულს მოგცა განსვენება, სული დაგიმშვიდა და ღონე მოიკრიბე... დღეს აღსარებასაც მეტყვი.

— აღსარებას? ერთბაშად წამოიძახა ონისემ, გაფითრდა და სახეზედ ხელი დაიფარა.

— რა ერის, შვილო, რა მოგივიდა?

— უნდა ყველაფერი გითხრა, უნდა ჩემის პირით გაიგო?

— მე კი არ უნდა მითხრა, ზეციერ მამას უნდა გაუხსნა

შენი გული, შვილო!... მე მხოლოდ მოწამე ვარ და შუამდგომელი.

— არ შემიძლიან! მწარის ამოქშენით ძლივს წარმოსთქვა ავად-მყოფმა და სულიერმა ბრძოლამ სახე დაუპრანჭა.

— მომკალ; გული გადასხვრე და ჯერ ვიტყვი!.. კარგა სიჩუმის შემდეგ დაუმატა იმან.

— შვილო! ცოდო გამჟღავნებული სჯობს. უთხრა მოძღვარმა და დაუმატა:—ან რასა მალავ მის წინაშე, ვინც ყველას გულის მხილველია...

— არ შემიძლია, არა! პირზედ ხელის დაფარებით გაიმეორა უცნობმა და ხმაში ცრემლების მორევა დაეტყო.—მოგონებაც კი სულსა მხდის, ღვთის მადლმა, და ლაპარაკი რაიღა იქნების.

— შვილო! არა არის საიდუმლო, რომელი არა გამოცხადდეს!... შენს წინა დგას მოძღვარი, მზრუნველი შენის სულისთვის... რა უწამლოს ექიმმა, თუ მიზეზი სნეულებისა არ უწყის?...

— მართალია, მაგრამ რაი ვქნა, რო მიძნელდების!?

მოძღვარი დააცქერდა და სახე გაბრწყინვებულს, თვალებმა ლაპლაპი დაუწყო; მას რაღაცა ცვლილება დაეტყო და რწმუნებით აღტაცებულმა დიდებულებამ ძლევა-მოსილად გახადა. თვით ხმაც კი შეეცვალა: მოურბილდა და მიმზიდველ-სანდო გაუხდა. ნაზი, წყნარი და მომხიბლავი კილო მოძღვრისა, იმავე დროს იყო ხმა დიდებულისა, ძლევა-მოსილისა, რომელიც იმორჩილებს ქვეყანას, თავს ადრეკინებს დიდსა თუ პატარას და დამთრგუნველი უსამართლობისა, მაღალის რწმუნების ლამპარს გულში აღუგზნებს.

— შვილო! წარმოსთქვა მოძღვარმა და რაოდენსამე ხანს გაჩუმდა.

მომაკვდავს დამსგავსებული, დაღრომილი, ძალას და ღონეს მოკლებული ავად-მყოფი შეკრთა. მან გაიგონა ხმა, რომელმაც ყურს მშობლიურად უალერსა, გულს საიმედო რწმუნება აგრძნობინა და დაიმორჩილა. ის ჩავარდა იმ გამოურკვევს მდგომარეობაში, როდესაც კაცი უანგაროდ ეძლევა რომელსამე გრძნობას და ანგარიშ მიუცემლად ემორჩილება ხმის ძალას, მის ღვთაებრივობას... ავად-მყოფმა იგრძნო, რომ ამ ერთს, ერთად-ერთს სიტყვას, წარმოთქმულს გულის სიწრფელით და ძლევა-მოსილებით, მის არსებაზედ გავლენა ჰქონდა, გავლენა განუსაზღვრელის ძლიერებისა.

— შვილო! განიმეორა მოძღვარმა და განაგრძო:—გაუხსენ გული ძმასა და მამას, რომელიც შენს ტკივილში ჰგრძნობს თავის ტკივილს და შენს მწუხარებაში ხედავს თავის მწუხარებას! გაუხსენ, შვილო, გული, გაუხსენ მას, რომელიც შენ-განშორების დროსაც შენთან არის და შენთან ერთად ჰგრძნობს სატანჯველს, გმინვას გულისას და გოდებას შეწუხებულის სულისას... ირწმუნენ! შვილნო და ძმანო!.. ირწმუნენ ფარისევლნო და ურწმუნონო, რომ ვისიც გული ერთხელ იგრძნობს მოძმეთ სიყვარულის დიდებულებას, მისი გული საუკუნოდ გადაებმის ხალხის გულს, გადაებმის და მას შემდეგ ყოველი დაკვნესება მათი სახმილის ცეცხლად გაისმის მათთან დაკავშირებულის გულში, ყოველი ტკივილი თვითეულისა მძაფრად მოუდება მათთვის თავ-გადადებულს... ირწმუნე შენცა, შვილო! და გამიხსენ გული, რამეთუ შენთან ერთად მეცა ვგრძნობ განუქრობელს ცეცხლს, მეც ვიტანჯები და სული მიშფოთავს!... გამიხსენ გული, შვილო!... რამეთუ, შენს წინაშე დღეს მე

გარ უზენაესის მაგიერ; მიყვარხარ მისგან მოძღვრებულის სიყვარულით, და მისის სახელით შემიძლიან სულს მივცე შვება და გულს — მოსვენება... ირწმუნე, რამეთუ შეიწყალებს უფალს და მით დაგიხსნოვდი!

— მღვდელო, მღვდელო! კარგა ხანს სხვა ვეღარას მოახერხა რა დაჭრილმა, რომელსაც მდუღარება გადმოსდიოდა. რაი გიყო, რითი გადგისადო ბენავმა მაგ სიტყვისათვის?!... ბენავს ონისეს ერთი სიცოცხლე-და შერჩენია და შენამც მტრედ დაგედევნის!..

— ონისე!? შეკრთა მოძღვარი და გონება ერთს წუთში ათას მოგონებას შეახო. — ონისე... მაყვალა... გადუბმელად წარმოსთქვა მოძღვარმა და ღრმა საგონებელში წავიდა.

მას მოაგონდა უცნობის წუხანდელი ბოდვა, რომელსაც მან მაყვალას სახელი ახსენა; მოაგონდა ისევე სურათი ამ ქალის მოკვლისა, მოაგონდა მთელი ჯოჯოხეთი, რომელიც გამოიარა ამ შემთხვევის დროს და გულმა ისევე კვნესა დაუწყო. შემდეგ გაახსენდა წუხანდელი ეჭვი, რომლისთვისაც თავი გაიკიცხა და მთელი ღამე მოსანანიებელს ლოცვაში გაატარა; მოაგონდა და ამ აზრმა დღესაც ისევე გონებაში გაურბინა, ისევე მოუსვენარი ეჭვი გულს შემოეხვია და უწყალოდ ღრღნა დაუწყო.

კარგა სიჩუმის შემდეგ, მოძღვრის მოძრავი სახე, რომელიც ამ დუმილის დროს წამ და უწუმ იცვლებოდა, დამშვიდდა. მოხუცმა ამოიოხრა, რამდენჯერმე გადისვა შუბლზედ ხელი, გადაიწმინდა ხვითქლად გადმოდენილი ჭირის ნაკადული და მივიდა ონისესთან, რომელიც უცრემლოდ ქვითინებდა და წარმოუდგენს მწუხარებაში იყო. მოძღვარმა მოჰკიდა ხელი, აუღო თავი და წყნარად უთხრა:

— შვილო, მე გავიგონე შენი სახელი და, როგორც გაცს, მეშინიან შენი ამბის შეტყობისა... მაგრამ, ვინ მისწვდება ზეციერის მამის ლმობიერებას!... სთქვი, სთქვი შენი აღსარება.

ონისე შეკრთა, აღელდა და მცირე სიჩუმის შემდეგ საჩქაროდ და წარმოუთქმელის აღშფოთებით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო.

ჩამოვარდა სიჩუმე. იქაურობას მოიცვა იდუმალებამ. ონისეს თავი დაეხარა და მთლად თავის საგონებელს მისცემოდა. მოხუცის სახე არა ჩანდა, რადგანაც მის წინ მყოფს ქვაზედ დაედო თავი და ისე მოისმენდა უბედურის გულის პასუხს. აშკარად სჩანდა, რომ აქ რაღაცა განსაკუთრებით დიდებული, განსაკუთრებითი ძლიერი ხდებოდა და მის სიძლიერის წინაშე ყველა განქურებულიყო, ყველას თავი მოეხარა... თვით დილის ნიავიც კი შემდგარიყო, რომ საიდუმლოების იდუმალება არ შაერყია, უნებლიედ მოტაცებული სიტყვა უსაბედად მთასთან, ხესთან, ყვავილთანაც არის არ მიეტანა და მით არ დაერღვია აღსარების საიდუმლოების დიდებულება,

ამ სახით მოძღვარი ისმენდა ონისეს მოქმედების ამბავს და როგორც მოძღვარს, ესმოდა მხოლოდ მისთვის, რომ ერთად ერთს უზენაესისთვის გადასაცემად სსომებოდა. ამ წუთებში ონოფრე ჩვეულებრივი მომაკვდავი არ იყო აქ და მისგან მოსმენილი კაცთათვის გამჟღავნებული ვერ შეიქმნებოდა.

ყოველი სიტყვა, ყოველი ხმის ამოღება ონისესი ეტყობოდა, რომ მოძღვრის გულს გახურებულს მანთად ეხებოდა; სწვავდა, სდაგავდა და წარმოუდგენელს ტკივილს აგრძნობინებდა, ხანდისხან მოხუცს ისე ძლიერად მოხვდებოდა ონისესგან წარმოთქმული სიტყვა, რომ შემკრთალი ცახცახს დაიწყებდა.

კარგა ხანი იყო, რაც გაათავა მთიელმა თავისი საიდუმ-

ლო, კარგა ხანი ელოდა დამამშვიდებელს მოძღვრის ხმას, მაგრამ მოხუცი ისევ ისე იდგა გაუნძრევლად თითქოს ქვიდგან გამოჭრილი სურათი არისო.

ბოლოს ოანოფრემ აილო თავი და პირის სახე გამოუჩნდა? მდუღარე ცრემლს დაულორთოხა, მწუხარებით და ზრუნვით დაღარული ღაწვები და გაოფითრებულს სახეს განუსაზღვრელის ტანჯვის ბეჭედი დასდებოდა.

რა უთხრა ოანისემ, რა შეატყობინა მოძღვარს, ეს ყველასთვის საიდუმლოდ დარჩა, მხოლოდ საქმის სიმძიმის მიზეზით მოძღვარი პირველად დააფიქრა ამ კითხვამ: ჰქონდა მას შენდობის უფლება თუ არა?

— საბრალოვ, რა ჰქენ? პირველად მიეცა მოძღვარი თავდავიწყებას, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა და გადაიქცა იმად, რადაც უნდა ყოფილიყო. ოანისეს წინ იდგა მზრუნველი დავრდომილთათვის და გულ-შემატკივარი მლოცველი უბედურთათვის. ის აღსრულებდა უწმიდესს წესს ქრისტიანობისას და აგონებდა, ჯვარცმულს, რომელმაც დაანთხია სისხლი და განუტევა სული ტანჯულთა და შეწუხებულთათვის.

როდესაც მოძღვარმა ჩვეულებრივი წესი წმინდა საიდუმლოს მიღებისა გაათავა, გაბრწყინებულის სახით მივიდა ოანისესთან და გულითადის თანაგრძნობით, ცხოვრებისთვის ახალის გზის ამორჩევა მიულოცა.

— შვილო! გახსოვდეს დღევანდელი დღე. უთხრა იმან დამრიგებელის ხმით.—დღეს დაკარგული გპოვა ზეციერმა მამამ და მისი გული ხარობს, რომ დაუბრუნდი განბანილი ცრემლით და განწმენდილი შენანებით,.. ეცადე დღეიდგან არ დაივიწყო შენი მეუფე, რომელიც ზრუნავს შენთვის და ძალას მოგცემს, რომ კაცად გაჩენილმა კაცის მოვალეობა შეასრულო

მომავალში... დღეის შემდეგ აჰყვავდეს ხე და გამოსცეს ნაყოფი ჭეშმარიტებისა...

— მამაო, მამაო! წარმოსთქვა ონისემ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო და დასვენება ეჭირვებოდა. — კარგი ხარ, კარგს მეუბნები, ღვთის მადლმა, და ონისე მოკვდების შენთვის.

რამდენადაც მოხუცი ტკბილად, დაწყნარებით და სიყვარულ-ალერსიანად ელაპარაკებოდა, იმდენად ონისეს გული ჩვილდებოდა და მორჩილი ხდებოდა; მაგრამ მასთანვე ერთად წარმოუდგენელს აღშფოთებას და ტკივილსა ჰგრძნობდა. მთელის აზრით, თავის დანაშაულისათვის ყოველ-გვარის გადახდევინების ღირსი იყო, ჰფიქრობდა, რომ ყოველ კაცს მასთან მიკარება უნდა ეზიზღებოდა და დღეს კი მის წინ იდგა ფრიად პატივსაცემი მოხუცი, გაბრწყინვებული ციურის სხივით, დიდებულის და ძლევა-მოსილის გამომეტყველებით, რომელიც მშობლიურად მქცეოდა, კაცად სთვლიდა და განუსაზღვრელს სიყვარულს უცხადებდა.

რითი დაიმსახურა ამ გვარი მოპყრობა ყოვლად ღვთიურის კაცისა, კარგად ვერ შეეგნო ონისეს და სწორედ ამისთვის მოძღვრის მოქმედება ერთსა და იმავე დროს წარმოუთქმელს ნეტარებასაც აგრძნობინებდა და სულის შემტაცებელს ტკივილსაც.

იმ წუთებში ონისესთვის ბევრად უფრო ადვილი ასატანი იყო გაეგონა კიცხვა, ჯავრობა, გადახდევინების ქადილი, რადგანაც თვით მისი გული ჰკიცხავდა თავის საქციელს. ონისე ჩვეულებრივი კაცი იყო, ჩვეულებრივს პირობაში აღზრდილი და როგორც უმეტესობას, მასაც არ ესმოდა დიდებულება მიტევებისა, ნაყოფი მისგან გამოცემული.

— შვილო!... ახლა მოსვენება გაწირვება. უფალმა იზრუნა შენთვის და პირველს თავ-შესაფარებლად ჩემთან გაგიჩინა ბინა!... წავიდეთ, შვილო, ჩემს ქოხში.,. დაასვენე ხორცი და სული... ვიცხოვროთ ერთად, ერთადვე ვეცადნეთ აღძრულის გრძნობის შემაგრებას და ერთად ვილოცოთ სადმე... როდესაც მოგეთდები, ძალა და ღონე მოგეცემა, დაგილოცავ გზასა, შვილო, და წადი... წადი, სადაც გინდა, საითაც გული გაგებრძოლება... ქვეყანა დიდია და ადგილს ყველგან იშოვნი, მაგრამ ერთი გახსოვდეს... გახსოვდეს ყველგან და ყოველ ჟამს... სადაც უნდა იყო, როგორც უნდა იყო... უბრალო დღიური ლუკმის მუშად რო დარჩე, თუ შეიქნე მბრძანებელი ბრძანებულთა ზედა, ნუ დაივიწყებ, რომ კაცი ხარ და შენს გარს მყოფნიც შენისთანავე კაცები არიან!... შენსავით მათაც გული აქვთ, რომელიც შენს გულსავით მოძრაობს, შენს გულსავით ჰგრძნობს... დაიხსომე სიტყვა და განახორციელე იგი: «მოგვიტევენ ჩვენ თანა ნადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენცა მიუტევებთ თანანადებთა მათ ჩვენთა...»

ამ მოძღვრობის დროს, ვიდრე ენა-მჭევრის და ტკბილ-მოსაუბრის მოძღვრის სიტყვები ტკბილად, წყალსავით მოდინარებდა, ონისე ატლაცებით ყურს უგდებდა. ყველაფერი გადავიწყებოდა და საღმრთო კანონთა მესწავლას მისცემოდა, იმ სამღვთო კანონთა, რომელშიც იმდენი კაცობრიობა გამოითქმოდა. მაგრამ, როდესაც ონოფრე გაჩუმდა და მთიელი თავის ქოხისკენ მიიწვია, ონისეს მღელვარება დაეტყო, თავი დახარა და მთრთოლვარეს ხელებით ჩოხის კალთას მებნა დაუწყო.

— წავიდეთ, შვილო! გაუმეორა მოძღვარმა.

— ვერ წამოვალ. წყნარად წარმოსთქვა ონისემ და ისევ გაჩუმდა.

— რას ამბობ? გაუკვირდა მოხუცს.—რატომ ვერ წამოხვალ.

— არ ვიცი, არა, შენაი ჭირაიმე! მაგრამ, ღთის მადლმა, ვერ წამოვალ. მიუგო მთიელმა და ხმაში ისეთი მუდარა დაეტყო, რომ მოძღვარს შეებრალა.

— იქნება მე მერიდები?

— მოკვდეს ონისე, თუ შენ გერიდებოდეს! ისეთის გულის სიწრფელით წამოიძახა იმან, რომ ონოფრეს ეჭვი სრულიად მოუსპო.

— მაშ რატომ არ მოდიხარ? წუთის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ მოხუცმა.

— იმიტომ... შესდგა ონისე და მაშინვე ისევე აჩქარებით და ნაწყვეტ ნაწყვეტად დაიწყო:—არ შემიძლიან,.. არ იქნების, მარტოდ დარჩენა მინდის!

ონოფრე დააცქერდა და კარგა ხანს ასე უყურებდა. ონისეს თავი დახრილი ჰქონდა, თვალები დაშვებული და, თუმცა მოძღვარს ვერა ხედავდა, მაგრამ აშკარად კი ჰგრძნობდა მის ცქერას და თვალების ძალას.

— სად წახვალ? ბოლოს ჰკითხა ონოფრემ.

— აქავ, მთებში.

— რა გაცხოვრებს, ონისე, რა?

— ნადირი ბევრია... ვინადირებ და ვიცხოვრებ...

— იქამდის მაინც დარჩი, სანამ მოვკეთდები.

— რაი მიჭირს, შენაი ჭირაიმე!.. ბატარაი სისხლმა დამასუსტა და ორს დღეს კარგად შევიქნები...

— მაგ ორ დღეს მაინც დარჩი.

— შენაი ჭირაიმე! დაუჭირა ხელები მოძღვარს და ხვეწნით ლოშნა დაუწყო.—ნუ, ნუ მეტყვი... თუ კიდევ მითხარ, შენს სიტყვას ვერ წაუვალ... გული კი მელევის, სკდების და მეც ბეჩავი ვარ!... გამიშვი მთლად წავიდე... ბატარა ხანს მარტოდ ვიქნები... ვინადირებ... ჯიხვს მოვკლავ... გულს გადავაყოლებ... ღვთის მადლმა, შენთანაც ჩამოვალ ხოლმე... გული უშენობასაც ვეღარ გაძლებს... გამიშვი, გამიშვი, ნუ მიჭერ, აგრემც შენთვის ჩამოვდნები...

— შენ იცი! ოხვრით უპასუხა მოხუცმა და დაუმატა:—«საგძარი» მაინც წაიღე.

— არა მინდა-რა, ღთის მადლმა.

— არ შეიძლება, უნდა წაიღო, თუ ჩემი წყეინება არ გინდა.

— აუ!... შენი ნებაა.

მოხუცმა მთელი გუდა აუვსო საგძრით, აჰკიდა და უგანასვენლად უთხრა:

— წადი ონისე, წადი, არ გიჭერ, მაგრამ თუ ხშირად არა მნახე ხოლმე, იცოდე ძალიან, ძალიან მაწყენინებ... ეს გული შენია და ნუ დააჯავრებ.

— ონისე მოკვდეს, თუ კვირაში ორჯერ არ გნახო! უპასუხა მთიელმა და დაიჩოქა:—დამლოცე.

მოძღვარმა დაადო თავზედ ხელი და მტკიცედ წარმოსთქვა:

— მეუფეო, აჰა შენანებული და დაბრუნებული შენს წინაშე! ნუ არიდებ მოწყალე თვალსა... ნუ მოაკლებ შენს მფარველობასა... მიეც მეტი ძალა, რათა ადიდოს სახელი შენი და შეიძლოს ხალხსა და ქვეყანას ემსახუროს.

ონისე ემთხვია ხელზედ და წუნარის სიარულით განშორდა.

მოძღვარი კი კარგა ხანს უყურებდა მიმავალს და მხოლოდ მაშინ გამობრუნდა, როდესაც მთიელი ქედს გადაეფარა.

— ბეჩავი!.. მართლაც ძნელი იყო იმისთვის აქ ცხოვრება! წარმოსთქვა მოხუცმა და სახლისკენ გასწია.

## XVIII

ონისესთან განშორების შემდეგ, მოძღვარი ჩვეულებრივზედ მეტად დაფიქრდა, დაღონდა; აშკარად დაეტყო, რომ გონებას რაღაცა განსაკუთრებითი ღუმილი უმღელვარებდა. ისეც ხში-რად მლოცველმა, ეხლა კიდევ უფრო მოუმატა ღვთის ვედ-რებას და მთელი ღამეები ჯვარცმის წინ დაჩოქილი გულ-მხურ-ვალე ვედრებაში ატარებდა ხოლმე.

აშკარადა სჩანდა, რომ მაზედ ემოქმედნა ონისეს აღსა-რებას და მისგან აღიარებული ბევრს ზრუნვას, მოაზრებას და გამორკვევას ითხოვდა. უეჭველია, მთიელისგან ნათქვამი მეტად მძიმე და ძნელი რამ უნდა ყოფილიყო და მის მისა-ტევებლად მოხუცის გული ლოცვას და ძალის მოპოვებას სა-ჭიროებდა.

მოძღვარს კარგად ესმოდა, რომ ცოდვათა მისატევებლად, სულის დასამშვიდებლად და ხასიათის გასამაგრებლად, მხო-ლოდ აღსარების თქმა და წმინდა საიდუმლოს მიღება არა კმაროდა; გამოცდილი და ნიჭიერი მცოდნე კაცის გულისა მოწავეს მხოლოდ მაშინ ანებებდა თავსა და თავისუფალის ცხოვრების ნებას აძლევდა, როდესაც სრულიად დარწმუნდებო-და, რომ ერთხელ გრძნობას მოსულმა, არამც თუ გაიგონა მაღალი სწავლა და კაცის მოვალეობა, არამედ სრულიად შთა-

იგონა, რწმუნებად გადაექცა, და ძვალსა და რბილში გაუჯდა. უამისოდ მას არ ესმოდა მაღალი მნიშვნელობა არც ერთის საქრისტიანოს მაღალთა დებულებათა სარგებლობა და დარწმუნებული იყო, რომ ყოველი გვარი წესის აღსრულება უნაყოფოდ დარჩებოდა.

ის იყო ექიმი სულით დავრდომილთა და თავის ავადმყოფს დამშვიდებულად ჩასთვლიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულიად განკურნვილს ისილავდა, როდესაც სენ მორეულს მსხვერპლს სრულიად განთავისუფლებულს იხილავდა.

მოძღვარი ონისეს თუმცა გრძნობაზედ მოსულს ხედავდა, დარწმუნებული იყო, რომ ყოველი ამოსუნთქვა, ყოველი სიტყვა, ყოველი შენანება იყო ნაყოფი გულის სიწრფელისა, მაგრამ მასთანვე ისიც იცოდა, რომ მთიელს ბევრი სატანჯველი გამოევლო, გულის ტკივილი და მოუსვენრობა ენახა, ბრძოლასა და სინანულს მისი სული და სხეული მეტად დაეჩაგრა, დაესუსტებინა და ამ ყოფაში მყოფს კი ათასს შემთხვევასთან ბრძოლისთვის კარგა ხანს წამლობა ეჭირვებოდა.

ონოფრეს უნდოდა ავად-მყოფის სიახლოვე, რომ მისი ცხოვრებისთვის თვალი არ მოეშორებინა, მშობლიური მზრუნველობით და მოვლით გაემაგრებინა სხეული და მხოლოდ მაშინ დაენებებინა თავი, გაეშვა თავისუფლად, როდესაც ბრძოლისთვის სრულიად მომზადებული შეიქნებოდა, როდესაც შესძლებდა ცხოვრების შეუბრალებელს ტალღებს მტკიცედ დახვედროდა, მასთან ბრძოლა მოახერხებდა.

ონისემ არ იკისრა მოძღვართან ცხოვრება, უარ-ჰყო მისი წინადადება და ალბათ მიზეზიცა ჰქონდა რამე,—მაგრამ ამან აღაშფოთა უბედურთათვის მზრუნველი, მათს შეწუხებისათვის გულ-მტკივნეული.

ყოველთვის ამ გვარის ფიქრების შემდეგ მტკიცეს და ბეჯითის ონოფრეს, კაცს, რომელსაც ძალა ჰქონდა და გრძნობდა თავის სიძლიერეს, რწმუნება ისევ უბრუნდებოდა და იმედი ხელ-ახლად ეძლეოდა. ის ამბობდა: „არ ინებებს უფალი, რომ ერთხელ გრძნობაზედ მოსული, ხელახლად განიშოროს და განსაცდელში ჩააგდოს! ერთხელ გრძნობას მოსულს გზა ხელ-ახლად დააკარგვინოს და განსაცდელს მისცეს და იმედ-მოცემული გავიდოდა წყაროსთან, სადაც მოწაფეეს მოთმინებით ელოდა ხოლმე. ონისიმე არ მოატყუა მისი მოლოდინი; მთიელი ყოველს დანიშნულს დროს იქ დახვდებოდა და მოწიწებით სთხოვდა შენდობას და ლოცვა-კურთხევას.

მოხუცი ალერსებით უქადაგებდა, სიყვარულიანად ესაუბრებოდა და მოლაპარაკების შემდეგ დაყვავებულს დაითხოვდა.

როდესაც ისინი ერთად შეიყრებოდნენ, კაცი ვერ გაარჩევდა, რომელი იყო მათში უფროსი, რადგანაც აქ არც მბრძანებლის კილო ისმოდა და არც დამონებულის, შეშინებულის პასუხი. მოხუცი უამბობდა, მოჰყვანდა მაგალითები, უხსნიდა მთიელისთვის ძნელად გასაგებსა და ცხოვრების მოვლენათა სხვა და სხვა გვარის მოაზრებით ურკვევდა, მაგრამ იმას კი არასოდეს არა ცდილობდა, რომ რომელიმე აზრი, შეხედულება, მსმენელისთვის გაუგებრად, თავს მოეხვია; არამც თუ ამას მოძღვარი არა ცდილობდა, არამედ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა მოწაფეე სასაუბროდ გამოეწვია, გაეგო მისი შეხედულობა შესახებ იმ საგნისა, რომელზედაც ელაპარაკებოდა. და ყოველს საშუალებას ხმარობდა აზრი გამოერკვია, გასაგები გაეხადა და მისი მიღება სრულის გაგებით მოეხდინა. ისინი ლაპარაკის დროს გეჩვენებოდნენ მამად და შვილად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არც ერთი მათგანი მეორეზედ არავი-

თარს უფლებას არ იჩენდა და, თუ ერთი ჩაგონების მზრუნველ-ლობაში იყო. მეორე შეგნებას სრულის ყურადღებით მეცა-დინეობდა.

ონისე ყოველს ორს, სამს დღეში ერთხელ ჩამოდიოდა მოძღვართან და, როგორც კარგს მეთოფურს, ურიცხვი ნანა-დირევი ჩამოჰქონდა. ონოფრე სიამოვნებით მიიღებდა და რად-განაც ღორებს და ძეხვებს უმზადებდა ზამთრისაგან, ანუ სხვა რომელიმე შემთხვევით გაჭირებულ მგზავრებს, უხაროდა, რომ მთიელი, რაიც შეეძლო, ხალხს ემსახურებოდა და თავის ნა-შრომს შეწუხებულთ უზიარებდა.

მთიელსაც ერთხელ არ გაუტარებია გულში, რომ მოძ-ღვართან სასყიდელი მიჰქონდა; არამც თუ ამას არა ფიქრობ-და, არამედ გულითადს სიხარულს ეძლეოდა, რომ თუმცა მცირედით, მაგრამ მაინც თავის ოფლით ნაშოვნი გაჭირვებულთ შემსუბუქებას აძლევდა. მთიელის ცხოვრების შესახებ მოძღვრის შეხედულება საიდუმლო არ იყო, რადგანაც მოძღვარი პირ და პირ ეუბნებოდა, რომ იმისი მოქმედება ქვეყნის სამსახური იყო და ეს გარემოება ონისეს ძალას უმატებდა და ამხნევებდა.

რასაკვირველია, რომ ამ გვარის რწმუნების გაღვიძება იმედ-გადაწყვეტილის არსებისთვის მცირე სანუგეშოდ არ იყო, მცირე შემწეობას არ აძლევდა. დარწმუნებული იყო, რომ ქვეყანად ამაოდ არა გდია, მისი არსება უქმი და უნაყოფო არ არის და ერთხელ კეთილის ჩამდენს მომავლისთვის გული უხალისდებოდა.

სიტყვით, მოძღვრის შიში ონისეს მომავლის შესახებ თითქმის სრულიად გაიფანტა და მზრუნველი გული დაკმაყო-ფილდა ონისეს საქციელით.

ერთად ერთი შემთხვევა იყო, რომელიც მოხუცს ხანდის-ხან კიდევ აღაშფოთებდა ხოლმე, მაგრამ ჰფიქრობდა, რომ

დრო და ხანი მასაც სრულიად განაქარვებდა, გაანიავებდა და ჯერედ კიდევ მთიელის ჩვილს, თანდათან ბუნებას სრულიად აღადგენდა, გაამაგრებდა და წელში გამართავდა და მისი ცხოვრება ჩვეულებრივს მდინარეობას მიიღებდა; მაგრამ იმედი იმედათ რჩებოდა და ამ მხრივ უმჯობესობა თავს არ იჩენდა.

საქმე ის იყო, რომ ონისე, თუმცა დამშვიდდა, დაწყნარდა და უწინდელი ახირება აღარ ეტყობოდა, მაგრამ ყველა ეს გარეგა მყოფის კაცის თვისებას არ მიემსგავსებოდა და ყველაფერში გადაჭარბება ეტყობოდა. მუდამ დაფიქრებული და დაღვრემილი დადიოდა, მისგან გაღიმება არ შეიძლებოდა და, ხშირად კრთებოდა, თითქოს ვიღაცამ შეაშინაო. სახეზე ფერი არ მოსდიოდა და მუდამ გაცრეცილს, ხანდისხან თვალები აემღვრეოდა; ახოვანობის, სიცოცხლის გამომეტყველება დაეკარგებოდა.

მოძღვრის გამოცდილს თვალს არ გამოეპარა ეს შემთხვევა, შეამჩნია არა ჩვეულებრივი გაყუჩება და ხმა-ამოუღებელი დარდი, რომელიც გულს ბუღუსსავით გარს ეხვეოდა და მის გასაფანტველად წამალი ვერ ეპოვნა. აშკარა იყო, რომ მის სულსა და გულში ზადი რამ უნდა დარჩენილიყო, რომელიც სწამლავდა, ნაღვლავდა და აჭლექებდა ონისეს არსებას... მაგრამ რა უნდა ყოფილიყო მიზეზი? ეს არ იცოდა მოხუცმა და მის გამოცნობისთვის ცოტას არა ჰფიქრობდა.

ონოფრე ხედავდა, რომ ონისეს რაღაც საიდუმლო ჰქონდა, კიდევ რაღაცა დარჩენილიყო, რომელსაც მის ცხოვრებაზედ გავლენა ჰქონდა. თითონ მალავდა ამ საიდუმლოს და მოძღვარს კი პირდაპირ დალაპარაკება არ უნდოდა, რომ საქმე არ წაეხდინა, მაგრამ ასე თავის მინებებაც არ შეიძლებოდა.

მოხუცი მოელოდა, რომ დღეს თუ ხვალ ონისე უეჭვე-

ლად თითონ გაუხსნიდა გულსა და ყველაფერს შეატყობინებდა, მაგრამ ხანი მიდიოდა, მთიული თან და თან დნებოდა და მწუხარების მიზეზს კი არ ამბობდა.

ონოფრემ ნახა, რომ მისი მოწაფე მეტად ჩამოილია, თვალები ჩაუცვივდა, ხან-გამოშვებით ხან რაღაცა არა ჩვეულებრივის ცეცხლით გაუბრწყინდებოდა, ხან სრულიად ჩაუქრებოდა, აემღვრეოდა და სიცოცხლეს მოკლებული უსაგნოდ დააცქერდებოდა რასმე, ამის გარდა დასჩემებოდა უმიზეზოდ სიტყვების წამოსროლა, რომელიც მათ ლაპარაკს არ შეეხებოდა და, უთავ-ბოლოდ დარჩენილი, გაუგებარი ხდებოდა.

მოხუცმა შეხედა და იმ გადაწყვეტილებამდის მივიდა, რომ ამ კაცს თავის გულში თავისი საკუთარი ცხოვრება გაუჩენია, თავადაც მას ჩაბრუნებია და მას შთაუნთქამს მთელი მისი არსება.

ონისეს ეჭირვებოდა მშველელი ხელი, რადგანაც ის იდგა უფსკრულის ნაპირზედ და ერთი, მხოლოდ ერთი ნაბიჯი-ღა ეყოფოდა, რომ სამუდამოდ შთანთქმულიყო.

მოძღვარი და მოწაფე წყაროს ნაპირას ისხდნენ და ორნივ გაჩუმებულიყვნენ, რადგანაც ონოფრე მთიულის მდგომარეობის შესახებ ფიქრით იყო გართული და ონისე კი, როგორც სჩანდა, ცდილობდა თავისი მდგომარეობა მოძღვრისთვის არ შეემჩნევინებინა.

ონოფრეს შუბლი ხან იჭმუხნებოდა, ხან ისევ იშლებოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ გასაჭირს მდგომარეობაში იყო. მას გადაეწყვიტა, რომ პირდაპირ მთიულისთვის გამოეკითხა ამ დღეში ჩავარდნის მიზეზი, მაგრამ არ იცოდა, დაწყება საიდგან უფრო სახერხული იქნებოდა და არჩევდა.

— შვილო, ონისე! ბოლოს გაწყვიტა იმან სიჩუმე. — რათა

ხარ აგრე დაღონებული?... რად გახდი და რად დაკარგე ფე-რი?... შეუძლოდ ხომ არა ხარ?

— განა, მე? ერთბაშად წამოიძახა მთიულმა, მთლად გა-წითლდა და აღშფოთებული ქშენა დაიწყო.

— ჰო, შვილო, შენა... სწორე გითხრა, შენი მდგომა-რეობა მაწუხებს.

— მე კარგადა ვარ... მე არა მიჭირს-რა! ნაწყვეტ-ნაწყვე-ტად წარმოსთქვა იმან და ქშენას მოუმატა.

— არა, შვილო!.. შენ რაღაც გემიზეზება. რაღაცა გი-ღრღნის, გიკლავს გულსა და მოსვენებას არ გაძლევს... ხედავ გახდი, დაღონდი და ცოცხალის ადამიანის ფერი აღარა გაქვს... მითხარ, შვილო, რა მოგდის?

— რაი გითხრა?...

— მე იმედი მქონდა, რომ მშობლად მიგულებდი,—მგონა შენი ნდობა დავიმსახურე მეთქი, დარწმუნებული ვიყავ ყველა-ფერს მეტყოდი და...

— და რაი?.... მე კი დავიმალე განა? გადიხარხარა ონი-სემ.

მღვდელმა შეხედა და გაოცდა. მთიულს სახე დაჰპრანჭო-და, თვალები ამოსჯდომოდა და სისხლი მორეოდა, თვით სი-ცილიც არ იყო სიცილი გარდა მყოფის გაცისა.

— ონისევ, შვილო!... შენს გულს ზადი შეჰპარვია და მითხარ, მითხარ, თორემ ბოლოს ინანებ და გვიანღა იქნება... გადუხსენ შენს მშობელს გული, ჩაახედე შიგა, რომ მიზეზი იცნოს და გიშველოს...

— ჩემს გულში, ჩემს გულში! ბრაზიანად წამოიძახა მთიულ-მა და დაუმატა:—რაია ჩემს გულში, რაი... რაიც ვიცოდი, გითხარ... ახლა ტყუილს კი ვეღარ მოვიგონებ.

(შემდეგი იქნება)

# სახალხო ლექსები

(ხევში შეკრებილი ა. მ—საგან.)

ქალ, შენის მოლოდინითა
თოლს ძილი მოსდის აღარა,
თმა გამითეთრა და გული
ნაღველ-ტიალამ დაღარა.

—

ქალო, ლამაზად შეყრილო,
ალვის ხეს ჰგევხარ ტანადა;
ნეტამც მ გული ტიალი
თავს შემოივლო შანადა.

—

დედავ, რად მშობე, რა მიყავ,
რად გამათხოვე ძალადა?
გამწარდა ტკბილი სიცოცხლე
და აღარ მიღირს ჩალადა!

—

გოგოვ, ეგეთი ლამაზი
ვისთვის, რამ გაგაჩინა?
ნეტავი შენთან მარტოდა
მთად სადმე დამარჩინა.

—

არ ვარგა ქალი მეჭორე
სოფლად ვაჟ-კაცი მკვეხარი,
გაუჭირდება შესდგება,
როგორც უღელში მჭლე ხარი.

---

ქალი ქმრისა მწუნობელი
ბევრგან გააქანებს გულსა,
ბევრი ბიჭი მოატყუებს,
ბევრი დააცინებს გულსა.

---

ქალმა სთქვა: «გული ჩაბრუნდა,
დღე ღამედ გადამქცევია!
ალვის ხე, ცამდის ასული
ჭინჭველას წაუქცევია».

---

ბიჭაუ, რას ფურთხილობ? მშიშარა
მშობელი დედის მგმობია;
თავ-ლაფ დასხმულსა სიცოცხლეს
სიკვდილი არა სჯობია?

---

ბიჭო, რას სჩადი?.. აღარ გწამს,
არც თვისი, აღარც ტომია?
მგელსამც კი გაუსწყთქია
გვიცე, დედის წინ მხტომია.

---

ლურჯი ცა შავად მოიქცა
ყინულმაც მოუჭირაო;
მთად ბალახს, მინდვრად ყვავილსა
სიცოცხლე გაუჭირაო.

---

ქალაუ, მაგ შენმა მერდინმა
ჯავრში გაიფრიალა,
სახე გამოჩნდა, თოლებმა
ელვასვით გაიკრიალა;
ცხელმა ნიავმა დამქროლა
გზად შენკენ დამატრიალა,
გულს ცეცხლი შემოაყარა
და ჩალად ამაბრიალა.

—

ბრძოლად კაცს უნდა ფარ-ხმალი,
გული და გამოცდილება,
მოიცლის—ლამაზ გოგოსთან
შეყრა და დაქორწილება.

—

შემღერე, თუ რას შემღერებ,
თორემ ლამდება, ბნელდება;
სამწვადეც დროზედ დაურთე,
აგერ ცეცხლიცა ნელდება.

—

გონჯაის გული სიკდების
გეხნითა, ქადილითა;
გაუშორდების, გამორბის
დიაცის მანდილითა.

—

დალოცვილი ხარ მაყარო,
მარჯვედ სახმარო ხელშია,
მთიდგან მთად ტყვიის გამტყოცნო,
ვეფხვთა წამქცევო ლელშია;

მტერზედა ზარის დამცემო,
თვით დევსაც მოხრი წელშია,
დასცემ და დაიმორჩილებ,
ხრიალს დაიწყებს ყელშია.

---

გინდა ღალა სულ მოღოკო,
ჩემო კუკუნ, ცუცუნაო,
მაგრამ ცოტა გაუფრთხილდი
არ გაწყინოს ზუცუნაო...

# ნაამბობი არტემ არარატელისა

## საქართველოს მდგომარეობაზედ მე XVIII საუკ. დამდეგს.

(მასალა ისტორიისათვის.)

(დასასრული *)

საჭიროდ ვრაცხ ვსთქვა, რომ საქართველოში ბევრნი ორ კვირას უკან, შემდეგ ცოლის შერთვისა, დააგდებენ ყმაწვილს ცოლს უსაზრდოოდ, ყოვლად უბედურად და თვითონ მიდიან უცხო ქვეყნებში რიღასიც საძებნელად. მესუთე დღეზედ ჩემი თფილისში ყოფნისა ქურდების საზოგადოებაში, ჩემმა მფარველმა დედაკაცმა გამგზავნა კოკით წყალზედ. როდესაც მოვდიოდი წყლიდგან, მე დავინახე ხალხის გროვა, რომელიც მიჰბოდა თავითავადით კარებს გარეთ; მე ვსცანი იმ ქურდებთაგან-ნი მეგონნენ, რომელნიც ქალაქში სცარცვავდნენ სახლებსა. როდესაც ვკითხე მიზეზი ამ გამოქცევისა, მათ ძლივს მაცნობეს, რომ ყეენი ისევ დაბრუნებულა და სოღანლუღში შემოსულა. დარწმუნებით ვიცოდი, რომ ეს იმათგან იყო მოგონილი, რათა მომატყუებულად მოეგოთ დრო და გაეცარცვათ

*) «ივერია» № 10, 1885 წ.

სახლები უბედური მცხოვრებლებისა; ამიტომ არ ვუგდე ყური საეჭვო შიშსა და წავედი ნელ-ნელა ჩემს ბინაზედ, მაგრამ როდესაც მივედი სახლში, იქ აღარავინ დამხვდა. მე აღარა დამრჩენოდა რა იმის მეტი, რომ წავსულიყავი ისევ ანანურში. ჩემი მფარველების თავის შესაფარებელში მე ვიპოვნე ერთი შუათანა ტომარა, რომელშიაც დავკრიფე კომში ჩემი ანანურელი მასპინძლებისათვის საჩუქრად წასაღებად. წავედი თბილისიდამ უწინდელი გზით და ღამე დავდექი მდინარის პირას ერთს მაღალ სერზედ. შემდგომ ამისა, ერთი ღამე გავატარე მცხეთის მონასტერში, სადაც ამ დროს იყო მრავალი სხვა და სხვა ადგილიდამ მოსული ხალხი. კომშით სავსე ტომარა იმ ღამეს თავქვეშ ამოვიდე, მაგრამ როდესაც გავიღვიძე, ჩემდა სამწუხაროდ, აღარც ტომარა დამხვდა და აღარც კომში; ამაზე ისე ვიდარდე, თითქოს დიდი საუნჯე რამ დამეკარგა, რადგან ჩემი კეთილი მასპინძლების გულისათვის იმ სიცხეში წელი მოვიწყვიტე იმ სიმძიმე ტვირთვის ზიდვით და მინდოდა იმ მცირედი ძღვნით მეცა იმათთვის პატივი. ანანურში მისულს დამხვდნენ ვაჭარი და იმისი ცოლი, რომელნიც მოუთმენლად მიმელოდნენ. ვუამბე იმათ ყოველის ფერი, რაც ვნახე ნასახლარში და ისიც, თუ როგორ წამართვეს ყაზახებმა ცხენი. უგულო ვაჭარმა დამიწყო ლანძღვა და რამდენიმე სილაც გამარტყა ყბაში მხოლოდ იმისთვის, — რატომ ფულანი არ მამიტანეო, თითქო შემეძლო ძალადობით გამეწყო რამე რამდენსამე ას კაცთან. ჩემი მასპინძლები და სხვანიც მირჩევდნენ არ მომეთმინა ამისთანა ცუდი და უგვანო საქციელი და გარდამესხადა სიტყვისათვის სიტყვით და თვალებშიაც ჩამეფურთხებინა, მაგრამ იმედი მქონდა, რომ იმის შემწეობით რუსეთამდის მივიდოდი, ამისათვის განვიძრახე ყოვე-

ლისფერი მომეთმინა, (ანანურელებიც კი ამისთვის მოვატყუე— ღვდლად შევდგები მეთქი) და ვითომ თავმდაბლობით მოვახსენე იმათ რჩევაზედ, რომ ღვთის ბძანებით ყოვლისფერი უნდა მოითმინოს ადამიანმა მეთქი.

იმ დროს ანანურში ხალხი შეცოტავებულიყო, რადგანაც ჩემს ქალაქში ყოფნის დროს, ძრიელ ბევრნი გამგზავრებულიყვნენ კახეთისაკენ, საცა შეეძლოთ გაუჭირვებლად ეშოვნათ საზრდო.

მეორე თუ მესამე დღეს, ჩემი მოსვლის შემდეგ, ანანურზედ გაიარა სტეფან წმინდიდამ კახეთისაკენ მიმავალმა უგანათლებულესმა ერეკლეს მეუღლემ დარეჯანმა. აქ ხალხმა გააჩერა გზაში და ერთხმად გამოუცხადა საყვედური, როგორც ყოველის უბედურების მიზეზს. განძვინვებულმა ხალხმა იქამდის დაავიწყა მისი შესაფერი პატივის ცემა, რომ საშინელი უშვერის პირით ლანძღავდა; გარდა ამისა თითქმის იმისი სიცოცხლეც კი ბეწვზედ ეკიდა.

ოთხი დღის უკან, შემდგომ ამისა, აშკარად მატყუარა ქართველებმა დაჰყარეს ტყუილი ხმა, ვითომ ყეენი უკანვე შემობრუნებულ იყოს თბილისში. ამ მატყუარების განძრახვა მე ზემოდ აგიხსენით. რადგანაც ამისთანა საერთო არეულობა იყო თვით ანანურშიაც, ამის მიზეზით ექვსმა სომხის შეძლებულმა სახლობამ და მათ რიცხვში ჩემმა მასპინძელმაც განიზრახეს წასულიყვნენ ანანურიდამ და დროებით თავი შეეფარებინათ მთიულეთში, სოფელს ჩოხაში, სანამ თბილისში ისევ მშვიდობიანობა არ ჩამოვარდებოდა ჩოხა. იყო ანანურიდამ ერთის დღის სავალზე. ვაჭარიც თავისი სახლობით იმათ გაჰყვა. ჩვენ ჩამოვხდით ჩოხაში ნაცვალთან, რომელსაც ერქვა შარო. ჩოხაში მაშინ მხოლოდ სამი სახლი, ანუ კომლი იყო.

მთიულები საქართველოს ქვეშევრდომნი არიან და, მართალია ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებენ, მაგრამ სრულებით მხეცებს ემზგავსებიან. ანანური, დუშეთი და სხვა პატარა სოფლები მდებარებენ მთებში, მდინარე არაგვის გაღმა-გამოღმა. სრულიად ის ადგილები, რომელთაც ხევსურეთი ეწოდებათ, მეფის ერეკლის გაყოფით იყო მფლობელობასა ქვეშე ბატონის შვილის ვახტანგისა. მთიულეთის სოფლებში ერთი კომლიდამ დაწყობილი ხუთ კომლზედ მეტი მცხოვრები არ არის. სახლებს ფანჯრები და ბოლის ასავალი ერდო არა აქვსთ: სინათლე შემოდის მხოლოდ კარებიდამ და ამისთვის ისე ბნელა, რომ მთელი დღე მკვარი ან არყი უნთიათ. იმათ სახლებს აქვსთ ორი ბანი: ერთი მიწისა, რომელიც ისე მკვიდრია, რომ იმაზედ შეიძლება ცხენებით პურის ლეწვა, და მეორე ზემოთი, რომელიც მხოლოდ ჰფარავს სახლს წვიმისაგან. პურს აცხობენ ერთმანერთში არეულის ქერისა და ღომიოს ფქვილისაგან თიხის კეცებში; უკანასკნელებს დაამხობენ ერთი ერთმანერთზედ, შიგ ჩასდებენ გათხელებულს ცომსა და ჩაფლვენ ცხელს ნაცარში. ამ სახით გამოცხვარს პურს კეცის პურს უწოდებენ. თუ ხორცი იშოვნეს, იქამდის არ მოხარშვენ, ვიდრე სუნი არ მიეცემა, ანუ უკეთა ვსთქვათ, ვიდრე არ აყროლდება. თითქმის ყველანი ბინძურად ცხოვრობენ, ასე რომ თავიანთ სადგომ სახლში, კედელ გაუვლებელად, ჰყავთ კედელზე მიბმული საქონელი. რადგანაც ყველა საერთოდ გაჭირვებაში იყო, მეც უნდა მშიერი ვყოფილვიყავი, მაგრამ მე ვემსახურებოდი ყველას, ვისაც კი საჭიროება ჰქონდა, და ამ ნაირად ხან აქ, ხან იქ, ვშოულობდი საზრდოსა, თუმცა ყოველთვის მაინც არ ვიყავი ხოლმე სრულიად მაძღარი. სოფლის ჩოხაში იყო პატარა ეკლესია, მაგრამ უღვდლო.

თვითონ ეკლესიაშიაც არა იყო რა ერთის ტილოს ფარდის მეტი. ამ ეკლესიის გარეშემო იდგა პანტის ხეები, რომელთ ხილი არავის არ შეეძლო მოეკრიფა, როგორც ეკლესიის კუთვნილება და ამიტომ იყო საღმრთო და ხელ შეუხებელი. მეც აგრეთვე შემატყობინეს, რომ არ შევხებიყავ საყდრის გარეშემო მდგარის ხეების ნაყოფს, თორემ მთიულები მომკლავდნენ. ჩემი მისვლის პირველ დღეს, როცა ჯერ თითქმის იქაურს არავის ვიცნობდი და ვიყავი ძალიან მშიერი, გავბედე ამ აკრძალული ხილის ჭამა ღამით. ეს ხილი სიცივისაგან იყო დაძრული და ამასთან ისეთი მკვახე, რომ კბილი მოსჭრა და პირის ჭამა აღარ შემეძლო; მე მეშინოდა, ამის მიზეზით არ შემეტყოთ საეკლესიო ხილის მოპარვა. ბოლოს ვპოვე ღონის ძიება ჩემი კბილების მორჩენისა იმით, რომ ვღეჭდი ყვითელი სანთლის ნამწვსა, რომელიც ვიპოვნე ეკლესიაში. მე დავდიოდი ხოლმე თითქმის ყოველ საღამოს ერთს ოსმალეთიდამ გადმოსახლებულს თბილისელთან; ეს კაცი კარგა ხანში შესული იყო და სახელად ბალდასარ გალოენცი ერქვა; იდგა ჩვენ გვერდით მეორე ოთახში, სადაც მუდამ დავდიოდი და უკითხავდი საღამოს ლოცვასა. ამ კაცმა და მისმა მეუღლემ ძალიან შემიყვარეს და საკმაოდ დაამტკიცეს, რომ იყვნენ კეთილი ადამიანები. მათ მომცეს თითქმის ყველა საჭირო საზრდო. ჩემი მასპინძლებიც აგრეთვე, შეძლებისამებრ, ყურ უგდებელს არა მტოვებდენ, გარდა ვაჭრისა, რომლისაგანაც მე არაფერი არ მინახავს უპატიურობის და წყენის მეტი. ეს ბოროტი კაცი აქაც კი იყო მიზეზი ერთის ჩემის უბედურის შემთხვევისა, რომელიც სამწუხაროც იყო და სასაცილოც. ერთხელ ამ კაცმა გამგზავნა მეორე სოფელში, რომელიც მდებარებდა სოფელი ჩოხიდამ მაღლობზედ თავის ცხენისთვის ბზის სასყიდლად. და მასწავლეს

ქართულად ამ სახით მეკითხა: «ბზე არა გაქვთ გასასყიდი»? გზაში შეუწყვეტლად ვიმეორებდი ამ სიტყვებს. როდესაც მავედი სოფელში, ვათვალიერებდი—რომელ სახლში შევსულიყვიყავი და ამოვირჩიე ის სახლი, რომელიც ყველაზე დიდი იყო; ამ ფიქრში. ბზის მეტი, სხვა დანარჩენი სიტყვები დამავიწყდა. შევედი კომლით სავსე სახლში, სადაც სიბნელის გამო თითქმის არაფერი ჩანდა, სიფრთხილით გაუარე იქ დაბმულ საქონელს და მივედი ცეცხლა პირას. აქ დავინახე დედაკაცი, რომელიც პურს აცხობდა და უთხარი: «ბზე». იმან შემომხედა, გადიწერა პირჯვარი, ახსენა თავის ენაზედ სახელი იესო ქრისტესი და გავარდა სახლიდგან. ამაზედ მე ცუდს რას ვიფიქრებდი: მეგონა, ეს კეთილი დედაკაცი წავიდა ბზის მოსატანად და არც კი მითხრა როგორ ეღირებოდა ტომარა. მაგრამ რამდენსამე წამს შემდგომ, შემოვიდა მრთელი ხროვა ხალხისა კეტებით და ანთებული კვარით ხელში. მოვიდნენ თუ არა, იწერდნენ პარჯვარს და ახსენებდნენ იესო ქრისტესა. მე ვერ მომეფიქრა, რასა ნიშნავდა ეს ამბავი. ამ დროს მეძგერნენ ყველანი, წამაქციეს მიწაზე, მაგლიჯეს თმა, დამიწყეს კაბის კალთა და, რაც დარჩა, ზედ შემომაფხრიწეს, ერთის სიტყვით, კინაღამ არ დამახრჩეს. მე ხან ოსმალურად, ხან სპარსულად ვუყვაროდი, ქრისტიანი ვარ მეთქი, მაგრამ არაფერი არ შემისმინეს, გამომათრიეს გარედ და, ვიდრე საბელს მოიტანდნენ, ბარე ათს კაცს, ზოგს ჩემი თმა ჰქონდა დაბღუჯული, ზოგს ხელი და ზოგს ტანისსამოსი. ერთმა ქვემო ტუჩში წამავლო ხელი, შემდგომ მარყუჟად გამოკრული თოკი გადამაცვეს თავზედ,—ერთი წვერი ერთს მხარეს ეჭირათ და მეორე წვერი—მეორე მხარეს. ამ სახით წამიყვანეს იმ სოფელში, სადაც ჩვენ ვიდექით, ზემოხსენებულს მამასახლისს შაროსთან. უკან ცემა-

ტყეპით მომდევდნენ და კისაღამ არ გამსრისეს. მე კარგა გაგვებილი და მრავალ ადგილას დამწვარი ვიყავი, თმები და წარბ-წამწამი სულ შერუჯული მქონდა. სრულებით არ მე-სმოდა, რას მერჩოდნენ, რისთვის დამწვეს და დამდაგეს, ან რაზედ მიმცემს ამოდენა განსაცდელსა. როცა მთაზედ ამიყვანეს, ღვთის მადლით, ჩვენი სოფლიდგან დაინახეს ჩემი ასე დიდე-ბით მოგზაურობა. მამასახლისი ყველაზედ ადრე მოგეგება და ძლივს—ძლიობით დაარწმუნა ეს მხეცები, რომ გავენთავისუფ-ლებინეთ. ამ ამბის მიზეზი, როგორც შემდეგ ამიხსნეს, ის იყო, რომ იმ დედაკაცსა და აგრეთვე სხვა მცხოვრებლებსაც არას დროს არ ენახათ თავის სოფელში ერქვნულად გამოჭრილ ტანისამოსიანი კაცი. გარდა ამისა, ის დედაკაცი ჩემი უცბად მისვლით შეშინდა: მაჯლაჯუნა ვეგონე და სხვანიც ყველანი დაარწმუნა, რომ მართლა მაჯლაჯუნა ვიყავი. იმათ თურმე სჯერათ, რომ მაჯლაჯუნას (ალს), თუ თმები არ დააგლიჯეს, უთუოდ გაქრება, და თუ ვინმე თმას დააგლეჯს და შეინახავს, მაჯლაჯუნა (ალი) უხილავად ემსახურება სახლში. ამის გამო მაგლიჯეს თმა. ამ შემთხვევის მიზეზით ორი კვირა ვი-ყავი ავად. ჩემი მასპინძლები და ბაღდასარა თავის ცოლით მა-ლიან მივლიდნენ და მწამლობდნენ; დამწვარს ადგილებზედ მი-სვამდნენ კარაქსა და ბატის ქონსა. გალოენ ბაღდასარამ, რო-დესაც ნახა ჩემი უბედური მდგომარეობა და მარადის მწუხა-რება, ჩემი მორჩენის შემდეგ, დამიძახა და გამომკითხა დაწვრი-ლებით ჩემი ამბავი: საიდამა ვარ, ან როგორ შევხვდი ამ კა-ჭარსა. მე ვუამბე ყოველისფერი ჩემი თავგადასავალი. ჩემმა ამბავმა იქამდის აღძრა მისი ჩემდამი თანაგრძნობა, რომ მო-მეხვია და თვალცრემლიანმა მანუგეშა: ღმერთი იქნება შენი შემწე და მოწყალეო. როდესაც შეიტყო, რომ მე ვაჭრის მონა

არ ვიყავი, არამედ იმან იკისრა სამ თუმან ფულად ჩემი მიყვანა რუსეთში, ბაღდასარა დამპირდა გასტუმრებას ყიზლარში, როდესაც წავიდოდა იქ იმისი შვილი. შემდგომ წამოვიდა ჩვენს ბინაზედ ვაჭართან მოსალაპარაკებლად; აქ მან გამოუცხადა ვაჭარს, რომ ჩემს წაყვანას კისრულობს და სთხოვა, სამი თუმანი, რომელიც მიიღო ვაგარშაპეტში, ჩემთვის უკანვე დაებრუნებინა. უსინიდისო ვაჭარმა, რაკი ფული არა ჰქონდა, მამიგონა, რომ ვითომ პირობის ძალით მე უნდა წავეყვანე რუსეთში მაშინ, როდესაც თვითონ წავიდოდა და ამისთვის უნდა მამეცადნა იმ დრომდის. ბაღდასარამ გალანძღა ჩემის შეუბრალებლად მოპყრობისათვის და უწინასწარმეტყველა, რომ ამგვარი უსამართლობისათვის ღმერთი არას დროს ხელს არ მოუმართავდა და ყოველი ქონება ოხრად დაურჩებოდა. შემდგომ მან გამოართვა ვაჭარს ჩემი საეკლესიო წიგნები და სალაკის საწერელი და მარხია, დამენებებინა მისთვის თავი და ყოველისფერი ღმერთზედ მიმენდო.

ბაღდასარას ორი შვილი ჰყვანდა, უფროსს სტოვებდა სახლში და უნცროსს ყიზლარში ისტუმრებდა იმ განზრახვით, რომ მისულიყო რომელსამე შეძლებულ ვაჭართან და ევაჭრნა, რისთვისაც რუსეთში მცირედ ფულს ატანდა. უწინ ბაღდასარა ყოფილიყო მალიან მდიდარი, მაგრამ ეხლა მომატებული წილი თავის შეძლებისა აღარა ჰქონდა, რადგან მისთვის, როგორც მდიდარი კაცისთვის, საქართველოს ჩვეულებისამებრ, გამოერთმიათ ძრიელ დიდი ხარჯი. თავის უნცროს შვილს, რომელსაც მე უნდა წავყოლოდი, ატანდა ყიზლარში თავის მოყვარეს; უკანასკნელი ყიზლარიდგან მოსულიყო ნათესავთა ამბის შესატყობად, რომელნიც ყეენის დაცემის დროს სცხოვრებდნენ თიბილისში, მაგრამ ქალაქამდის ვერ ჩასულიყო და

დამდგარიყო ანანურში. ეს ყიზლარელი მოსესაც ჩვენთან იყო ჩოსაში. ბალდასარა მოელაპარაკა მოსესას ხარჯზედ, რომელიც მამინდებოდა ბელადების მისაცემად, რომელთაც ყოველთვის ქირაობდნენ ხოლმე სტეფან-წმინდიდგან დაწყობილი მოზდოკამდის, და სთხოვა გულ-მოდგინეთ ისეთი ყურადღება ჰქონოდათ ჩემზედ, როგორც იმის შვილზედ. იმავე საღამოს მამცა მე კეთილი დარიგება და რჩევა — ვყოფილიყავ პატიოსანი და კეთილი კაცი. როგორც ის ამბობდა, მე უფრო კარგად მივითვისებდი იმის რჩევას, ვიდრე იმისი შვილი და, ღვთის მადლით, ბოლოს მივაღწევდი ბედნიერებას. ამასთან ამიხსნა, რომ ჩემი სიკეთისთვის სცდილობს, როგორც ჩემი სიყვარულისათვის, ისე იმისთვის, რომ ღმერთმა შეიბრალოს იმისი შვილი.

ამ დროს მოსესა აგროვებდა ანანურში მიმავალ მგზავრებსა. მე გამოვეთხოვე ჩემს კეთილ მასპინძელს, გარდავუხადე მრავალი მადლობა მისთვის, რომ არ დამაგდეს უყურადღებოდ; მოვისადე ბოდიში, რომ ამისთანა შიშიანობის დროს არ შემეძლო იმათთან დავრჩენილიყავი, და რასაკვირველია, უთხარი, რომ მარადის გულში ჩანერგილი მექნებოდა იმათი კეთილმოქმედება.

ჩვენ გარდა კიდევ მოგროვდა ცხრა კაცი, საქართველოს სომხები, რომელნიც უნდა დაბრუნებულიყვნენ მოზდოკში და ყიზლარში. პირველს დეკემბერს დილით ადრე წავედით სტეფან-წმინდისაკენ. ბალდასარამ მომაგონა თავისი დარიგება და ისურვა ჩემი მშვიდობიანობა. ამ ქარავანში იყო სულ ათი ცხენოსანი კაცი; მე და ერთი კიდევ სხვა სომეხი ფეხით მივდიოდით. სტეფან-წმინდას, სადაც სცხოვრობენ საქართველოს ქვეშევრდომი ოსები და რამდენიმე კომლი ჩერქეზი, ჩვენ

მივედით მეორე დღეს შუადღისას. სტეფან-წმინდიდამ გამოსვლის შემდეგ, ხუთი დღის განმავალობაში, საშინელმა შიმშილმა შემაწუხა, პურის სასყიდი ფული არა მქონდა, ჩვენი ქარავანის თანამოგზაურეთ გული კი ვერასფერით ვერ მოვიგე, რომ მოეცათ ლუკმა, და თუ გადმომიგდებდნენ რასმეს, იმასაც საშინელის სამდურავით. ჩემი კეთილის მყოფის შვილი არ იყო ჩემი მოწყალე და ამ მხრივ თავის მამას არ წააგავდა. ჩემდა საბედნიეროდ, ვლადიკავკაზში რომ მივედით, იქ მომკვდარიყო ერთი ოსი; მიცვალებულის ნათესავებმა, თავის ჩვეულებისამებრ, მისცეს ჩვენს ქარავანს ბლომად პური, ხორცი და ბუზა (ოსური სასმელი); ჩემს წილად შემხვდა პურს გარდა რვა გირვანქამდის ხორცი, რისთვისაც შევსწირე ღმერთს მადლობა და შევევედრე წმინდის გულით, რომ მისცემოდა ამ მიცვალებულს საიქიოს ყოველი სიმხიარულე და შვება. ჩვენ აქ დავრჩით ორი დღე, სინამ დავიჭირავდით ერთს იქაურ კაცს, ბაშჩს (თავი) მისი მცირე გუნდი ჯარით; მას უნდა გაეცილებინა ჩვენი ქარავანი მოზდოკამდის. ამისთვის ისინი ჩვეულებისამებრ იღებენ ათიდამ თხუთმეტამდის ვერცხლის ფულს თითო კაცზედ. ერთმა ჩვენმა თანამგზავრმა სომეხმა, რომელსაც ნახა რომ იმ ზამთრის დროს ძალიან საწყლად ვიყავი ჩაცმული და ამას თან ჩემი ჩექმები თითქმის სრულებით უძირონი იყვნენ, შევებრალე და მოზდოკამდის ნაბადი მათხოვა. ვლადიკავკაზიდამ, ბაშჩის (ბელადის) განკარგულებით, სიფთხილის გამო უნდა წავსულიყავით უთუოდ საღამოთი, ღამე გვევლო ჩქარა და ჩუმად და დილით მივსულიყავით ჩერქეზის სოფელს ახელ-გაბახამში. რადგანაც ამ ადგილებში მრავალი ყაჩაღები იცოდა და ამისთვის მოგზაურობა საშიში იყო, ბაშჩმა ყოველი ხმაურობა აღგვიკრძალა. ამ გზაზედ ერთ ღამეს მე კინაღამ არ მოვკვდი.

ქარავანს რომ არ ჩამოვრჩენოდით, მე და ქვეითად მოსიარულე სომეხს უნდა ცხენოსნების წინ გვერბინა. მე მეშინოდა, რომ უცხო ადგილას მარტო დავრჩენილიყავი და თურქებს არ დავეჭირეთ, ან ნადირს არ შევეჭამე. თუმცა ეს შიში მიმატებდა ძალას და ღონეს, მაგრამ როდესაც ნაბადმა დამათბო, მოვსწყდი და მოვადუნე. ფიქრად მომდიოდა, შეთხოვნა პატრონისათვის, რომ აეღო თავისი ნაბადი, მაგრამ იმისაც მეშინოდა, როდესაც დამ-ჭირდებოდა, გაი თუ აღარ მოეცა. ამის გამო განვიზრახე სირბილი ვიდრე ჯანი მომყვებოდა. ცხენების ორთქლისგან ჭი-რხლი მოეკიდა ნაბადსა, როგორც ყინული, რომელმაც უფრო დაამძიმა და გამიხადა საზიდავად შუაღამისას იქამდისინ მოვ-სწყდი, რომ ხმა ამოუღებლად დავეცი ძირსა და აღარ შე-მეძლო ადგომა.

ამ ნაირად აქ დავიღუპებოდი, მაგრამ ერთმა ჩვენმა ბე-ლადთაგანმა შემასწრო თვალი, გამობრუნდა და მითხრა: მო-მეცი რამე და ცხენით წაგიყვან იმოდენა მანძილზედ, რომ დაისვენოვო. მე მივეცი ფაესი, ანუ არახჩინი, რომელიც ქუდ ქვეშ მეხურა. მაგრამ ერთი ვერსტის მეტი ვერ შევძელი ცხენით სიარული: სიცივემ ძრიელ შემაწუხა, ამისთვის ჩამოვედი და მივრბოდი ისევ ქვეითად. რომ გაჭირვება და სიარულის ხან-გრძლივობა არ მეგრძნო, ვამბობდი ლოცვას და ფსალმუნებს, ჩემი მდგომარეობის შესაფერს. მაგრამ ამითი გზა არ შემოკ-ლდა და მე კი გამომელია ძალა და ღონე. მინდოდა ქარავანს ჩამოვრჩენოდი, მაგრამ ზემოდ ნათქვამი შიში მაბრკოლებდა ეს ფიქრი აღმესრულებინა. ხელახლად შევიკრიბე უკანასკნელი ღონე, დავიწყე კიდევ სირბილი და ვფიქრობდი, იქმნება მალე გათავდეს ჩემი წამება მეთქი, მაგრამ დასასრული არსადა სჩან-და; ვსტიროდი ცხარის ცრემლითა. ბოლოს ვსთქვი იონას

ლოცვა, რომელსაც იგი ვეშაპის მუცელში გალობდა და წა-ვიქეცი კიდეცა სრულებით მოწყვეტილი. ამ დროს მე ვნატრულობდი სიკვდილსა. არც ერთმა ჩვენმა თანამოგზავრე ქრისტიანმა არ შემიბრალა და არ მიშველა მე უძლურსა, რომ არ მივსულიყავ სიკვდილის კარებამდის. არ ვიცი რამდენ ხანს ვეგდე იმ ადგილას. როდესაც გონს მოველ, დავინახე, რომ გაზახში ვიყავი. აქ მე მისვეს ტანზედ თოვლი და შემახვიეს ნაბადში, რადგანაც სრულებით გაყინული ვიყავი და ფეხის თითები ისე მქონდა გაშავებული, როგორც ნახშირი. [1]) მე გამეღვიძა მეორე დღეს შუადღისას და მაშინ შევიტყე, რაც დამმართოდა. სიკვდილისაგან მხოლოდ ოსებმა, დამიხსნენ რისთვისაც შევუთვალე წრფელის გულით ცხონება იმათს მიცვალებულსა. შემდგომ წამისვეს ფეხებზედ ბატის ქონი და ამით მომარჩინეს. მაჭმევდნენ მე აქა სქელს ფაფას, რომელსაც ჩერქეზულად ჰქვიან პასტა. [2]) ახალ-გაზახიდამ წავედით ცხრას დეკემბერს და ათს დავსდექით ტყეში, თერგის პირზედ, მოზდოკის პირ-და-პირ. აქ ბელადების ფულის მიცემის დროს ჩვენ მგზავრებს მოუვიდათ ლაპარაკი ბაშჩისთან (მეთაურთან) და მის მხლებლებთან. ბოლოს გადაიხადეს თავისი ვალი, მხოლოდ ოთხი აბაზი დააკლდათ; ეს ფული მათ უნდა გამოეგზავნათ მოზდოკიდგან ორს საათს შემდეგ; ოსები დაჰყაბულდნენ მოეცადათ მხოლოდ მაშინ, თუ გირაოდ ვისმეს დასტოვებდნენ. ჰყარეს წილი, და მე მერგო გირაოთ დადგომა. ორი საათის მაგივრად გავიდა ორი დღე, მაგრამ სომხებმა

[1]) როცა შემცივა, ეხლაცა ვგრძნობ ხოლმე ამ ფეხების ტკივილსა.

[2]) აკეთებენ ფეტვისგან, შეხედულობით ჰგავს იმერულ ღომსა.

ფული არ გამოგზავნეს. ჩვენმა ბელადებმა მოზდოკში ისაქმეს, თუ რამ საქმე ჰქონდათ და თორმეტს დეკემბერს დილით უნდოდათ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სახლებში. ისინი მხოლოდ მატანდნენ ძალას, მეშოვნა დარჩენილი ფული და, თუ ვინიცობაა, ვერ ვიშოვნიდი მაშინ მიპირებდნენ უკან წათრევას. ჩემს ბედზედ, ამ სასოწარკვეთილებაში მყოფმა დავინახე წყლის პირას მომავალი კაცი მწვანე მაზარა წამოსხმული; იმის საცმელზედ მივხვდი, რომ ის უნდა ყოფილიყო რუსეთში ნამყოფი ფრანციელი. მე მივაშურე იმისკენ, მოვეხვიე ფეხებზედ და ოსმალურს ენაზედ ვსთხოვე, მოელო ჩემზედ მოწყალება და შევესყიდნე ოსებისაგან. რადგანაც ოსები და ჩერქეზები ხშირად დაიარებიან მოზდოკში, ბევრმა მათგანმა იცის რუსული. ამისთვის ერთმა ჩვენმა ბელადთაგანმა, რომელმაც ცოტაოდენი ოსმალურიც იცოდა, გადუთარგმნა იმას რუსულად ჩემი თხოვნა, უამბო მგზავრობის დროს გამოვლილი ჩემი წვა და დაგვა, ისიც უთხრა, რომ გირაოდ ვიყავი დატოვებული და ამასთან დაუმატა, რომ ის საიამოვნებით დამანებებდა თავს, რომ ეს მხოლოდ იმაზედ იყვეს დამოკიდებული. რუსეთელმა დაანება თავის საქმეს თავი, გავიდა წყალში უკანვე და მოახსენა ჩემი ამბავი ციხის უფროსს (კამენდანტსა); ამან ბრძანა ყიზლარელის პოვნა და ძალ-დატანებით დაახსნევინა ჩემი თავი. ეს ამბავი არ გაგრძელებულა სულ ორი საათი.

ამ დროს, გავიგონე აქ ზარის ხმა, რისგამოც სულით და გულით ვისიამოვნე. ეხლა რომ ყიზლარელისა და მისი მხლებელ სომხების მიზეზით, რამე ახალი უბედურება შემმთხვეოდა, მე სიკვდილისათვის ვიყავი სრულებით მომზადებული. რუსების მოწყალებით, მე იმავე დღეს, ესე იგი თორმეტს

დეკემბერს ათას შვიდას ოთხმოც და თხუთმეტსა წელსა შევედი მოზდოკში. ახლა მე უნდა მეპოვნა მოსესა, რომლის წყალობით გინაღამ არ დავრჩი ოსების ხელში ტყვეთ ოთხი აბაზის გულისთვის. მოსესას მეტი ნაცნობი, რომელთანაც შემძლებოდა მიმემართა, არა ვინა მყავანდა. ვისაც კი სომეხს ვნახავდი, ყველასა ვკითხავდი, რა მიზეზი იყო იმოდენა ზარის რეკისა; მე ძლივს ძლიობით გამაგებინეს, რასაც ნიშნავდა სიტყვა: «პრაზდნიკი» ან რა პრაზდნიკი იყო იმ დღესა. აქაური სომხები არიან ქართველი სომხები და სრულებით არ იციან თავიანთი ენა. ბოლოს გავიგე, რომ ხელმწიფის შვილის დაბადების დღე ყოფილიყო. თუმცა გაჭირვებულს მდგომარეობაში ვიყავი, მაგრამ ძრიელ გამეხარდა აქ მოსვლა და დიდის გულსმოდგინებით შევსწირე ღმერთს მადლობა, რომ მამიყვანა საქრისტიანოში და ისიც იმ დღესა, როდესაც ხელმწიფის დღესასწაული იყო. მოსესა ბაღდასარას შვილი როგორც იყო ვიპოვნე; ის ჩამომხდარიყო ერთი იქაური ნაცნობი ვაჭრის სასტუმროში. მე მამცეს ნება დავმდგარვიყავი სამზარეულოში. სადამოზედ მაძღრისად მაჭამეს პური და დასაძინებლად დამაწვინეს ძირს ჭილობზედ. ეს სადგური უნდა დამეგდო მე საჩქაროდ: მეორე დღეს, დილით ადრე მასპინძელმა, რაღაცა მიზეზის გამო, სახლიდგან დამითხოვა, და მე არ ვიცოდი, სად წავსულიყავ. იქ ერთ პატარა ბიჭს შევაბრალე თავი და ვსთხოვე მიესწავლებინა სადმე თავის შესაფარებელი ადგილი. დიდი ყინვა იყო და მე კი მარტო ჩოხის მეტი ტანზე არა მეცვა რა; წაღები მქონდა ძირებ გამოგლეჯილი. ამ ბიჭმაც ბევრი იჩივლა თავის სახლის-პატრონზედ და გონივრულად მირჩია — მომეთმინა ჩემი უბედურება. ამასთან მან მიმასწავლა ერთის პურის მეიდველ ბებერ დედაკაცთან

და მოკლედ მიამბო, რომ ამ დედაკაცის შვილი გაჭყოლოდა ვიღაცა ვაჭარს თბილისში; რაკი უკანასკნელი აიკლეს, იმ დედაკაცს შვილი მკვდარი ეგონა და იყო დიდს მწუხარებაში. ვიპოვნე რა იმ დედაკაცის სახლი, ცრემლით გამოუცხადე, რომ მე ვიყავი სხვა ქვეყნიდგან მოსული და არა მქონდა ბინა; ვთხოვე, რომ მისი შვილის გულისათვის მოეღო ჩემზედ დედა-შვილური მოწყალება და მიეცა თავისშესაფარებელი ადგილი. ამ დედაკაცს გული აუდუღდა შვილის მოგონებაზედ, და, რაკი მნახა, რომ ყინვისაგან ვკანკალებდი, უბრძანა თავის მოახლეს, წაეყვანე იმ ოთახში, სადაც ის დედაკაცი პურს აცხობდა. ამ დედაკაცთან მე გავატარე ორი დღე სრულს მოსვენებაში. შემდეგ დედაკაცმა მითხრა, რომ მევლო მოზდოკში და გამეყიდნა გამომცხვარი პურები; ამაზედ მე გამოვაცხადე სრული თანხმობა, თუმცა თითქმის ფეხშიშველას უნდა მევლო იმ საშინელ ტეხვრაში. მაჩვენა მე ფული, რომელიც უნდა ამეღო თვითო პურში და დამასწავლა ქართულად ყვირილი: «ცხელ-ცხელი პური». ჩემმა ვაჭრობამ გასწია მხოლოდ ოთხი დღე:—ერთს ადგილას მე მივეცი ათი პური ნისიად, თითო პურსაც დღეში ვჭამდი და იქნება რამდენიმე პური გაყიდვის დროს მომპარა ვინმემ; ჩემმა მასპინძელმა დაინახა რა, რომ გასავალი და შემოსავალი ერმანეთის არა ჰფარავენ, გამომიცხადა, რომ ნისიად მიცემულის პურის ფასი, ოცი კაპეიკი, ამეღო და იმასთან აღარ გამევლო, ნამდვილი მიზეზი ჩემის დათხოვნისა კი არ მითხრა. მე მეორედ მივმართე იმ ვაჭრის ბიჭს, ვუამბე ჩემი უბედურების ამბავი და ვსთხოვე შემწეობა. იმ ბიჭის შემწეობით ვიპოვნე ბინა ერთის სასტუმროს ბუშაგთან. ამის შემწეობით მე მინდოდა გამეცნო ვაჭრები და მიმხვდარიყო იმათის სამსახურსა. მე და ბუშაგმა

დავდევით პირობა, რომ მე უნდა მემსახურნა გუშაგის სასარგებლოდ ჩემის ხარჯით. ჩემი სამსახური ის იყო, რომ უნდა დამეჭრა შეშა და მეზიდნა წყალი. საღამოთი ჩუმად მივდიოდი იმ ბიჭთან პურის საჭმელად; ღამით შემახვევდა ხოლმე დათვის ტყავებში და ისე ვიძინებდი. მე ვერ შევსძელ მთელ დღეს შეშას ჭრა: ხელის გულებზედ ამძვრა ტყავი და მდიოდა სისხლი ასე, რომ ხელების განძრევა აღარ შემეძლო. ჩემმა ერთგულმა ბიჭმა დამანებებინა თავი გუშაგის სამსახურს, მიშოვნა ძველი, მაგრამ კიდევ მაგარი, წაღები და მირჩია, როგორმე მეშოვნა ჩასაცმელი ტყავი. მე შემეძლო გამეყიდა ჩვენს ეკლესიაში წასაკითხი ჟამნი, დავითნი და ლოცვანი. თუმცა ეს დაბეჭდილი წიგნები, პირველ ტახტის უდაბნოშიაც იშვიათნი იყვნენ, მაგრამ მოზდოკში არავინ იყო ისეთი მწოგნობარი, რომ სცოდნოდა მათი სარგებლობა, მოუნდომებინა ეყიდვა და მოეცა ნამდვილი ფასი. აქ სომხის დიაკვნის მეტს ვერავის მივმართავდი. ჯერ შევაძლიე მარტო ჟამნი, მაგრამ უსინდისო დიაკვანმა დამტყუა დანარჩენი წიგნებიც, რომლებშიაც თვით უდაბნოში მიეცა სამ მანათამდის და მოზდოკში იმ დროს თხუთმეტ მანათზედ ნაკლებ არ მიიცემოდა. დიაკვანმა მამცა ამ წიგნებში თითქმის დაგლეჯილი ჩასაცმელი ცხვრის ტყავი, რომელიც მანათზედ მეტად არა ღირდა. თუმცა სამწუხარო იყო ჩემთვის ამ წმინდა თანამგზავრების განშორება, მაგრამ მეტი ღონე არ იყო. პატარა ბიჭი ამ ხანებში შეუწყვეტელად მაძლევდა საჭმელს, და ღამით დიდის ერთგულებით შემახვევდა ხოლმე ბეწვეულში და განსვენებით მაძინებდა. რამდენიმე დღის შემდეგ იმან მაცნობა, რომ ყიზლარელი შინ მიდისო და მირჩია, წავყოლოდი ყიზლარში, სადაც შემეძლო ადვილად მეშოვნა საზრდო-საცხოვრებელი. მე გავბედე მისვლა

სასტუმროში (ქარვასლაში) და შევეხვეწე მოსესას, მოეღო ჩვემზედ უკანასკნელი სიკეთე; მან ჯერეთ უარი მითხრა და გამლანძღა: მითხრა, რომ ზინის პატრონი ჩემზედ ჩივის და შენი იქ მისვლის უარს ამბობსო. ბოლოს, როგორც იყო, დავარწმუნე ჩემი გულითადი თხოვნით და უმეტესად იმით, რომ პირობას დავუდე, არ შემეწუხებინა გზაში. მე ვპირებდი ქვეითად სიარულს და იმისათვის სულ ერთი იყო,—ვიქმნებოდი იქა, თუ არა. ჩემი მკითხველნი, რასაკვირველია, შენიშნავდნენ, რამოდენად შეუბრალებელნი არიან ზოგიერთნი! ჩემის აზრით,—ყოველ სახლში მოიპოვებიან იმისთანანი, რომელთაც სრულებით გული გრილად შეუძლიანთ უარი უყონ გაჭირვებაში მყოფს უბედურსა, მაშინაც კი, როდესაც დახმარებისთვის იმათ არც ჯაფა მოსდით, არც ზრუნვა სჭირდებათ და არც რომელიმე ხარჯი.

---

ამ შრომას პატივის ცემით უძღვნის მთარგმნელი მეძეგვლი პროსუტსტვიის გამგებელს, სტატსკი სოვეტნიკს მიხეილ ზაალის ძეს ყიფიანს.

ზ. არჯავანიძე.

# სახალხო ლექსები.

(შეკრებილი ზემო ქართლში ა. ნათაძისაგან).

ბებერო, დაჭბერებულხარ, არ უგბენია ჭიასა,
საცა შენ დაიმარხები, ნეტა იმ ეკლესიასა.

—

სატივე ქარმა აჭყარა, ახალ-სოფელი წყალმაო,
ქუთაისშა მიმიწვია გასათხოვარმა ქალმაო.

—

ქარი ჰქრის, ქარი ღუღუნებს, მაღლა ჩარდახსა ჰბერავსო,
შიგა ზის ქალი ლამაზი, ატლასის ფერანგს ჰკერავსო.

—

ნეტავ მანატრა, მანატრა: კოშკი ამაშენებინა,
შიგ ლამაზი გოგო მომცა, თეთრად გამათენებინა.

—

გოგო ასე ეშმაკია, მხარზედ გადიყრის თმასაო,
ბიჭი რომ მოეწონება, შორიდგან უზამს თვალსაო.

—

წმინდა გიორგის კარზედა დავალილინე სტვირია,
ქალი ბევრი ვათამაშე—მარიამი და თინია.

—

მინდორ მინდორ დავდიოდი, ალაგ-ალაგ ჭოჭი იყო,
მე საწყალმა, რა ვიცოდი, თუ ის გოგო კოჭლი იყო.

—

ალალის შიშით ვერ წავა—ნიბლია ჯვარობასაო,
წავა და გაიპარება, არ იტყვის გალობასაო.

—

შავარდენი გადმოფრინდა აბრაშუმის ბუდიდგანა,
გოგომ ვაშლი შემომრტყოცნა—ამოიღო უბიდგანა:
ჩემეულად შემინახე, არ გადმიგდო გულიდგანა.

—

კამბეჩი მოკვდა ბეჩია—აუშვერია ფეხია:
წადი ჩემს პატრონს უთხარით—წაიღოს ჩემი ლეშია;
მე მაშინ მოვაგონდები, როცა რომ წავა ტყეშია,
შაებას წვრილი მოზვრები, იგრიხებოდნენ წელშია.

—

ქალო, ეგ შენი ბარათი ვერ ვნახე ამის მეტათა:
წავიკითხე და დამადგა გულზედ ნათელი სვეტათა.

—

უნდა წავიდე ჯავახეთს, შენ მენანები, ვენახო.
ყველამ გ ჩა დამილოცევით, ვისაც რომ თვალით ვენახო.

# თეატრის მსახური.

## გოპპეს მოთხრობა

(ფრანცუზულიდამ)

ის იყო წარმოდგენა უნდა დაწყებულიყო, პალტო გავიხადე და ვაპირებდი დარბაზში შესვლას, როდესაც თვალი მოვკარ ტალანის ბოლოს მოხუცს მქანდაკებულის ლუყი სენე-შალის თეთრ წვერს. იმ წამსვე შევდგე, მინდოდა გამოვხმაუ-რებოდი და ვუცდიდი, რომ ქურქი გაეხადნა.

ძალიან მიყვარს და დიდ პატივსა ვსცემ სენეშალს, რად-გან დიდი ნიჭის გარდა, ჩინებული ხასიათის კაცია. ნამდვი-ლად ვიცი, რომ წრფელი და წმინდა გულის პატრონია, თუმ-ცა უკამური შეხედულობისაა. ამ მოხუცს არტისტს გარე-ცნობდა წმინდა იაკოფის უბნის მდაბიო ხალხი, რადგან თა-ვის ძველ გლეხურ ჩვეულებას არ იშლიდა და ყოველ ცისმარე დღეს გამოდიოდა პირის დასაბანად შადრევანთან Yil de Geâcé-ის ქუჩაში. ერთხელ, მუშაობის დროს, თავის «ვილ-დე გრასისა» სახელოსნოში თან თიხას ზელავდა და თან მიამ-ბობდა, რა სიღარიბე და აუტანელი შრომა გამოუვლია. ეხლა, როდესაც თავი იჩინა, აკადემიაშიც წევრათ მიიღეს და ყოველ მხრივ დააჯილდოვეს, ნამდვილად ვიცი, რომ თავის შეძლებას,

რომელიც განთქმულ სახელს თან მოჰყვა, მთლად სამაღლო და კეთილ საქმეებს ახმარებს. ფარულად და ხან აშკარადაც შეელის საწყლებს და აკადემიიდამ აღებულს ჯამაგირს მთლად ამლევს ერთ ურიის ქვრივ-ოხერს, რომელსაც დიდი სახლობა ჰყავს შესანახავი. ეს ის ქვრივია, რომელსაც მიამსგავსა გემშ-ბას ანდრიანტი ამ ოც და ხუთი წლის წინეთ. და ლუდო სენე-შალის სახელის დიდებაც ხომ ამ დროიდამ იწყობა.

მე საშინლად მინდოდა იმისი ნახვა. მეტადრე იმიტომ, რომ გამომეკითხნა რამე იმის მეგობარ პოეტზე, ოქტავ ფეირმეზზე, რომელიც ამ ათის წლის წინეთ გარდაიცვალა და რომლის თხზულებას, სანამ ცოცხალი იყო, ყური არავინ არ ათხოვა.

მას უკან თან და თან დააფასეს იმის თხზულებანი და აი ამაღამ პირველად დანიშნეს წარმოსადგენად იმისი დრამა: «რაინდების მოგზაურობა» ოდეონის თეატრში. დიდ-მაღალი დიდ-კაცობა და განათლებული არტისტები დაესწრნენ ამ წარმოდგენას.

— თქვენ, ჩვეულებრივ, 63 ნომრის სავარძელი გიჭირავთ? მკითხა ლუდო სენეშალმა სჯლის ჩამორთმევის დროს.

— დიაღ, თქვენაც ხომ 67 ნომერი იქნება?

— სწორედ. მაშ ლაპარაკის დრო ბლომად გვექნება. ერთი-კი დამაცადეთ მოვიშორო ეს «ტუაპუჭი» დაუმატა იმან. აქამდის ვერ გადაჩვეულიყო მდაბიურ ლაპარაკს და ზოგჯერ განგებ დაიწყობდა ხოლმე ამ კილოთი ლაპარაკს თავის მოძმე აკადემიის წევრთა გამოსაჯავრებლად.

ამ დროს ჩვენს ახლო მოისმა დედა-კაცის ხმა.

— მიბოძეთ თქვენი პალტო, ბატონო სენეშალ, უთხრა თეატრის მსახურმა დედა-კაცმა.

მივიხედე და საოცარი სანახავი წარმომიდგა თვალ-წინ. წარმოდგენისთვის მორთულს, წითელი ლენტით შემკულს მქანდაკებელს გვერდით უდგა ტან-დაბალი მოხუცი დედა-კაცი დაღმეჭილი პირის-სახისა, გლახა, შავი კაბით და პირის-ფერი, ლენტებიანი თავზე მოსახვევით, ამათ ერთმანეთს შეხედეს, ხელი ჩამოართვეს და თვალები ცრემლებით აევსოთ. მერე სენეშალმა არაფრად ჩააგდო, რომ დიდ-ძალი მორთული ხალხი ამათ შესცქეროდა და დედა-კაცს გადუკოცნა ორივე ლოყები.

— ურჩალად იყავ, ბედკრულო კლემანსია! უთხრა აღელვებულმა სენეშალმა—გახსოვდეს, რომ ის საქმე გავლილი საქმეა! წარმოდგენის შემდეგ გაგაცილებ. ჩვენ ერთად, ხელი-ხელ გაყრილი წავიდეთ და გზა და გზა სულ იმაზედ ვილაპარაკოთ.... დაიცა, რაღაც უნდა მეთქვა კიდევ. ნახვით ხომ მაინც ნახავ სცენაზე იმის დაწერილს, რადგან ამაღამ არდგენენ.

— დიაღ. უპასუხა მოხუცმა, — კარებთან დამითმეს ერთი ადგილი, ძალიან მადლობელი ვარ... უკაცრავად, ბატონო სენეშალ, სამსახური მაიძულებს, ჩქარა მოგშორდეთ. როდესაც მოხუცმა დედა-კაცმა დაუწყო ხალხს პალტოების და ქოლგების ჩამორთმევა, მქანდაკებელმა მწარე ღიმილით შემომხედა, მტაცა ხელი, თითქმის ძალით შემიყვანა და დამსვა ჩემ ალაგას.

— დასხდეთ, სთქვა იმან აღელვებით:—რაც ემ საათში ნახეთ, უნდა აგიხსნათ. . დიაღ, სამწუხარო ამბავია! მაგრამ თანაც სანუგეშოა, რადგან ეს ამბავი გვარწმუნებს, რომ ქვეყანაზე მოიპოვებიან უანგარო ადამიანები... ეხლა დრო არ არის, დავჩუმდეთ, წარმოდგენა იწყობა.

დღესაც კი გვახსოვს, ოდეონის თეატრში, რა დიდ-ძალი ხალხი მიიზიდა დრამამ: «რაინდების მოგზაურობა». ასჯერ მეტად წარმოადგინეს ეს დრამა და ყოველთვის თეატრი ხალხით

ავსებოდა. როგორც დრამატიულის შინაარსით, ისე ძლიერი ლექსით ამ დრამას მხოლოდ ვიკტორ ჰიუგოს დრამა სჯობდა. ტაშის კვრას და მაყურებლების აღტაცებას ბოლო არა ჰქონდა. დამსწრეთ შორის ერთიც არ მოიპოვებოდა, რომ დამწერი სძაგებოდა და ან რამ შური ჰქონოდა გულში. განა ათი წელიწადი არ იყო, რაც ის მოკვდა და, აბა, რაღა მტერი ეყოლებოდა! პირველი მოქმედება გათავდა თუ არა, ხალხი აღელდა, განუსაზღვრელმა აღტაცებამ გაიტაცა.

— აგრე, აგრე, ჩემო მეგობრებო! ტაში დაუკარით, იყვირეთ! სთქვა დაცინვით სენეშალმა, როდესაც მოთამაშენი რამდენჯერმე გამოწვეულნი მაყურებლებისგან მადლობით და კმაყოფილი ღიმილით თავს უკრავდნენ და ფარდა ისე ნელ-ნელა დაუშვეს. — ვისი ბრალია, რომ ფირმეზი ათი წელიწადი შიმშილით კვდებოდა და არც ერთმა თეატრმა არ იკისრა იმის სიცოცხლის დროს მაგის წარმოდგენა. ეხლა კი, რაც ძალა გაქვთ, ტაში დაუკარით, ძმებო! ის მკვდარია, გზაზე არ გადაგეღობებათ! მეორე დრამას ველარ დასწერს!

— ნუ თუ ფირმეზი აგრე უბედური იყო? ვკითხე მე და ამით მინდოდა გამეხსენებინა იმის დაპირება.

— ძალიან, მეტადრე ახალ გაზრდობაში, მიპასუხა სენეშალმა, — ამიტომაც აგრე ცოტა დასწერა; ეგ საყვარელი პოეტი, იმის მაგივრად, რომ თავი მიეცა პოეტურ ოცნებათათვის, ნებივრად და ფუფუნებაში ყოფილიყო იძულებული შეიქნა ლუკმაპურის მოსაპოვებლად ხელი მოეკიდნა სრულიად შეუსაბამო საქმეებისათვის: ხან და ხან შველოდა იმათ, ვინც ლექსიკონებს ადგენდნენ და სტრიქონზე ორ კაპეიკს აძლევდნენ. — ბოლოს გამდიდრდა, დიდი შეძლება დარჩა დედ-მამისა... აი, ხალხი გაიკრიფა. ეტყობა, მეორე მოქმედება ჯერ ისე მალე არ დაი-

წყობა. მაშ დამიგდეთ ყური. არც აგრე დიდ ხანს გაგრძელდება ჩემი მოთხრობა.

— როდესაც პირველად გავიცანი ფერმერი, ისიც ჩემსავით ოც და ხუთი წლისა იქნებოდა. სწორედ იმ დროს თავი დაანება კანონების შესწავლას და ლიტერატურამ გაიტაცა სრულიად. ახა, რასაკვირველია, მაშინვე ერთი ჩხუბი და აყალ-მაყალი ატყდა იმის ოჯახში. მისი მამა—ერთის პატარა ქალაქის ნოტარიუსი,—მრისხანე ხასიათისა, ძველი აზრების მიმყოლი კაცი იყო და მაშინვე შვილს საზრდო მოუჭრა, აღარას უგზავნიდა, მაგრამ ახალგაზრდობაში ხშირად სიღარიბითაც თავი მოგვაქვს. ყველამ იცოდა, რომ ოგიუსტს შეძლებული დედ-მამა ჰყავდა და არავინ უშურდა ფულეს, ყოველთვის ცოტ-ცოტაობით ხელს უმართავდნენ. მაინც და მაინც, თუ არ ვცდებოდი, ჩვენზე ნაკლებ არა სცხოვრობდა. იმე რომ, ხანდისხან, ჩვენ, ღარიბნი ამხანაგნი დავცინოდით, რადგან იმას საშინლად უყვარდა ფერადი ყელსახვევის და ხავერდის ჟილეტის ხმარება. იმ ხანობაში ოგიუსტი იყო კოხტა, შავგვრემანი ყმაწვილი კაცი: გრძელი ხუჭუჭი თმა, მშვენიერი წვერი და მიმზიდველი თვალები საოცრად ამშვენებდნენ. კიდეც მაგ თვალების გამო მოხდა ბევრი დავიდარაბა სხვა და სხვა ქალთა შორის ლათინის უბანში, და კლემანსაც სწორედ მაშინ გაიცნო ოგიუსტმა.

— როგორ! შევყვირე და სიტყვა გავაწყვეტინე,—ის ბებერი დედა-კაცი? აი ეხლა რომ აქ იდგა?

— სწორედ ეგა. მართალი უნდა ვთქვა, რომ საბრალო კლემანსა არც მაშინ იყო ლამაზი და კოხტა ქალი. ასე, ოცი წლისა იქნებოდა, სხვით არა უჭირდა-რა, მარილიანი იყო. ალვის ხესავით წვრილი ტანი ჰქონდა და ინგლისელ ქალს მიემგვანებოდა. ამასთანავე გასაოცარი ხშირი წაბლის ფერი თმები ჰქონ-

და. მაგრამ... რა გაეწყობა! ობოლი იყო, ქუჩაში მოწანწალე, უპატრონო, რომელსაც სწყუროდა დროს გატარება და ურცხვის ხელობის მეტი არა დარჩენოდა-რა. სხვა რა მეთქმის! ჩვენ ყველანი ვიცნობდით მაგას კარგად... ოკტავი დაუახლოვდა, მერე რაღაზედაც წაიჩხუბნენ, ისევ შერიგდნენ და ერთ საღამოს, როცა მე და ოკტავი შევედით ამორჩეულ ყავახანაში, კლემანსა იქ დაგვიხდა. იმას წინ ერთი მათლაბა წვენი ხელ-უხლებლად ედგა და საცოდავად ცახცახებდა. დავუწყეთ გამოკითხვა: იქვე შეგვესწრო ერთი სტუდენტი—ექიმი, ვაჩვენეთ იმას ეს საბრალო და ექიმმა ფილტვების ანთება აღმოაჩინა და თანაც გაძნელებული. რას ვუზამდით?! საწყალს სახლი არ უვარგოდა, გროშიც არ ებადა. ექიმმა გვირჩია საავად-მყოფოში წაგვეყვანა, ამაზე კლემანსმა თავი მოიკლა, ტიროდა, ოკტავმა შეიბრალა, კეთილი გული ჰქონდა და თავისთან წაიყვანა. უმაწვილო კაცი წამლობას და მოვლას არ აკლებდა და, როდესაც კლემანსა სრულებით კარგა შეიქნა, რასაკვირველია, სახლიდამ აღარ დაითხოვა, დარჩა და დარჩა, ასე რომ ოცი წელიწადი ერთად გაატარეს.

— როგორ! მერე ფერმეზი, მაგისთანა პოეტი და მაგ გომბიოსთან სცხოვრობდა?!

— ეგ გომბიო, ჩემო კარგო, ქუჩაში ნაგდები ობოლი იყო, და, როგორც ფრინველი ალალ-მართალი, კეთილი გულისა და რიგიანი. ამასთანავე კლემანსა ისე დავალებული იყო ოკტავის მოვლით, რომ სამუდამოთ გახდა იმისი ერთგული და ნამდვილი მეგობარი. ოკტავს სწორედ იმ დროს დაუდგა ცუდი დღეები, მოვალეებმა გაუგეს, რომ დედ-მამასთან მწყრალად იყო და აღარას აძლევდნენ; მეტი ღონე არ იყო: თავის თავი თითონვე უნდა ერჩინა. უბედური ჩვენი პოეტი! იმის სიცოც-

ხლე ათის წლის განმავლობაში სწორედ მოწანწალე ძაღლის სიცოცხლეს ემსგავსებოდა. კლემანსა და პოკეტი შევიწროებულნი სცხოვრებდნენ ორ პაწაწა ოთახში, ქალაქის განაპირას დიდი სახლის ზემო სართულში. იქიდამ ოკტავი ყოველ ცისმარე დღეს გამოდიოდა რიშელიეს ქუჩაში, იქ ბიბლიოთეკაში წიგნებიდამ ამოსწერდა, რაც მინდობილი საქმისთვის საჭირო იქნებოდა და თითქმის ღამე მოუხდებოდა ხოლმე შინ დაბრუნება. სახლში კლემანსა დაახვედრებდა თავის ხელით მომზადებულს მცირე სადილს, სუფრა ორისთვის იქნებოდა გაშლილი, პაწაწა ლამპა ანათებდა ამათ გასეხილ თითბრის კოვზებს და ჭუჭყიანს სალფეთქებს. მინდითა და ყველით დაბოლოვდებოდა ხოლმე იმათი სადილი. მერე კარგა შუაღამემდის, ორ-სამ საათამდის, ოკტავი უნდებოდა ქაღალდების გადაწერას. მიუჯდებოდა უგულოდ იმავე კლეონკით გადაფარებულს სასადილო სტოლს და გაჩქარებული დაიწყებდა გადაწერას. იქვე ბუხარში ყავადანი თბებოდა ხოლმე. ისე მცირე ფულს აძლევდნენ თითოთაბახზე გადაწერისთვის, რომ სახსენებელი არც კია. პოკეტი, უშჭველია, ვერ შესძლებდა ამ ნაირ სიცოცხლეს, მარტო რომ ყოფილიყო, მაგრამ იმას გვერდით ჰყავდა სიღარიბის შვილი. კლემანსას მოაგონდა თავისი ადრინდელი ხელობა — ყვავილების კეთება და იმითი ცოტათი მაინც ხელს უწყობდა თავის მეგობარს. ეს გამრჯე და ჩუმი ქმნილება მუშაობდა, როგორც ნამდვილი გლეხი დედაკაცი და ამასთანავე სინარნარით არ ჩამორჩებოდა დიდ-კაცის ქალებს. ოკტავს მხარში უდგა ყოჩაღი და მხნე დედა-კაცი და ათი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ გაუგია იმისაგან ქალების ჩვეულებრივი ჩივილი: არა მაქვს-რა, რა ჩავიცვა. როგორც ნამდვილი მეგობარი არ ამჩნევინებდა გაჭირებას. ხშირად, მუშაობის დროს, მაუახლოვდებოდა, გა-

დუწევდა შუბლიდამ ოფლში გაწურულ თმებს და გადასჭკოცნიდა; ოგუსტავიც, ჩაიგდებდა თუ არა დროს, მხურვალედ ჩაიკრავდა გულში თავის სარწმუნო მეგობარს. აბა, ყმაწვილებო, ამას იქითაც იტყვით, გომბიოსთან როგორ სცხოვრებდაო?!

— საკვირველია, რატომ ჯვარი არ დაიწერა, თუ კი მაგოდენი ხანი ერთად იცხოვრეს და მაგდენი ვაი-ვაგლახი გამოიარეს?

— ნუ ჩქარობთ, დამაცადეთ! საქმეც ეგ არის... კლემანსას უყვარდა ოგუსტავი. თაყვანს სცემდა, ოგუსტავი კი უფრო იმისთვის სცხოვრობდა ამ დედა-კაცთან, რომ ჩვეულებათ გადაექცა მასთან ყოფნა. ერთ დღეს, გენახოთ, მაგის მამა უეცრად გადაბრუნდა და მოკვდა. ოგუსტავს წელიწადში ორი ათასი ფრანკი გაუჩნდა. ოჰ! ნუ კი გგონიათ, რომ იმას უმადურობა გამოეჩინა! ეხლა კლემანსას ყურში ჰქონდა გაყრილი ძვირფასი საყურეები და მორთული მშვენიერი კაბით, ლაზათიანად მოწყობილ სახლში სცხოვრობდა. მაგრამ, რა გასაკვირველია, პოეტი ამას არ დასჯერდა, უნდოდა ადამიანებში გარეულიყო, ხალხი ენახა. როდესაც დაბეჭდა თავისი პირველი ლექსები, თუმცა ხალხმა მასხარად აიგდო, იმ ხალხმა, რომელიც ამაღამ მაგისავე თხზულებას აღტაცებაში მოჰყავს, მაინც ზოგი მცოდნე კაცების და პოეტების ყურადღება მიიზიდა. პოეტს ყველგან ჰპატიჟობდნენ, ყველგან სიამოვნებით დაუხვდებოდნენ ხოლმე; გამოუჩნდნენ ამხანაგები და მხიარულ ცხოვრებამ სრულიად გაიტაცა. თუმცა გამოვლილს სიღარიბეს თავისი ბეჭედი დაესვა, მაინც ის კიდევ ლამაზი იყო, ქალებს მოსწონდათ და, რადგან თითონაც მოსიყვარულე გულისა იყო, ყველგან და ყოველთვის გამარჯვება ამას რჩებოდა. საბრალო კლემანსა, რამდენჯერ მწარედ მოსტყუვდა იმისაგან! უეჭველია ყველა ეცო-

დინებოდა, შეტყობილი და გაგონილი ექნებოდა, მაგრამ ვინ მიხვდებოდა იმის ტანჯვას. თავს ისე იჭერდა, თითქო არავითარს ტანჯვას არა გრძნობსო. სარკე არ ატყუებდა კლემანსას და ცხადად ხედავდა, რომ ხანგრძლივმა, გაჭირებულმა ცხოვრებამ სახიდამ შეშალა, სილამაზე წაართვა და ამასთანავე იმის დიდის ხნის სიყვარული დედობრიულ სიყვარულად შეიცვალა და ეხ-ლა თავის მეირთვას ოკტავს ღიმილით ბევრს რასმე აპატიებდა ხოლმე.

„ასე გარბოდა დრო. ფერმეზი, თუმცა ორმოც და ხუ-თი წლისა იქნებოდა, ჯერ ჭაღარა თითქმის არ შერეოდა და, რაც შეეძლო, ქეიფსა სწევდა, და რადგან ლიტერატურაში ბე-დი არა ჰქონდა, ამის ჯავრს ღვინით იკლავდა. მაშინ კლე-მანსაც იქნებოდა ორმოც წლამდის მიხწეული, მაგრამ მართა-ლი კი უნდა ვთქვათ, ოკტავთან ის სრულიად ბებერი სჩანდა. ერთ ზამთრულის საღამოს ჩვენ ორიოდ მეგობრებმა მოვიყა-რეთ თავი ფერმეზთან, ფუნჯს ვსვამდით და ჩიბუხს ვწევდით. უეცრად ოკტავი, რომელიც ბოლოს დროს გულის ფრიალს უჩივოდა, დაეცა გულ შემოყრილი. მართალია, მალე მოვაბრუ-ნეთ, მაგრამ კლემანსას თავს ზარი დაეცა. ჩვენ მაშინვე რჩევა ვკითხეთ ერთ მეგობარ ექიმს, იმან თავი მოარიდა და მაგვი-თითა სხვა გამოჩენილ ექიმზე. იმ ექიმმაც ოკტავი დაარწმუნა, რომ ეგ ავად-მყოფობა უბრალო საქმეაო. და ჩვენ კი გამო-გვიცხადა, რომ პოლეტს გულის ავად-მყოფობა აქვსო, რომე-ლიც წარმოსდგებაო მხიარულად და ურიგოდ გატარებულის ცხოვრებისაგანაო და კაცს სასიკვდილოდ გაიწირავსო.

„თავდაპირველად ავად-მყოფობა არ გამლიერდა, თითქო ჭიდეც იყო, რადგან ფერმეზი უქეიფობის გამო გაფრთხი-ლებული იყო და კლემანსაც საოცრად უვლიდა თავის მეულ

მეგობარს. ოქტავი აღტაცებაში მოდიოდა იმისი თავ-განწირულობით და გულ-კეთილობით, ისე რომ, ერთხელ სადილზე, რომელსაც სამნი ერთად ვისხედით, ფირმეზა მომიბრუნდა და მითხრა;

— იცი რა გადავწყვიტეთ მე და კლემანსამ? აბა, ოცი წელიწადია, რაც ერთად ვცხოვრობთ და ჯვარ დაწერილნი კი არა ვართ. ეს ხომ ტუტუცობაა! ამ დღეებში, მოდი როდისმე დილით და თან ერთი სამიოდ მეგობარი მოიყვანე, ჯვარს გადავიწერ და მერე ჩვენსა ვისაუზმოთ.

«— ბარაქალა, დავიყვირე მე და კლემანსას გადავხედე. თვალები ცრემლებით სავსე ჰქონდა.

— ოჰ რა კეთილია ჩემი ოქტავი! სთქვა იმან,— მაგრამ იცი რა გითხრათ, ბატონო სენეშალ, მე მხოლოდ მაშინ დავიწერ ჯვარს, როდესაც ეგ სრულებით კარგა გასძლება, გაყოჩაღდება. მაშ ასე. მე არ მინდა, რომ ჩემი საქმრო ავად-მყოფს ჰგავანდეს, როდესაც ჯვრის დასაწერად წავალთ!

«დახე უბედურებას! ორის კვირის შემდეგ ოქტავი ქვეშაგებათ ჩავარდა და წამოდგომა ველარ მოახერხა. დაჟინებულმა შრომამ, უკანასკნელ თხზულების წერის დროს და ზედ დართულმა უსიამოვნებამ პიესების დაწუნების გამო საბრალოს ბოლო მოუღეს. ექიმები წამ და უწუმ ურჩევდნენ დამშვიდებას. მეგობრებმა წინადვე გამოიტირეს. ამ ნაღვლის გარდა მე მაწუხებდა საწყალი და კეთილი კლემანსას მდგომარეობაც, რომელსაც თავისი ახალგაზრდობა ემსხვერპლა პოეტისათვის. ფირმეზი დაუდევნელი და უთაური იყო, ანდერძზედ არ ფიქრობდა და, თუ სიკვდილის წინედ ჯვარს არ გადიწერდა, რა ეშველებოდა უბედურს?! მე გადავწყვიტე მომელაპარაკნა საწყალ

დედა-კაცთან, მაგრამ დავიწყე თუ არა, ქვითინით მომეხვია და მითხრა:

«— არა, არას დროს, სენემალ, ჩემ დღეში ვერ გავბედავ და ვერას ვიტყვი... უნდა დავპირდე მოვიგონო? ეს ხომ იმას ეჩვენება, რომ გავაგებინო, «შენი საქმე ცუდად არის მეთქი»! საწყალს კი აზრადაც არ მოსდის სიკვდილი; დარწმუნებულია, რომ განავესულზე სრულებით კარგა გახდება და ათასნაირად ფიქრობს მომავლისათვის. ექიმიც ამბობს, რომ ბოლომდის მაგ გუნებაზე იქნება, უეცრად, უფიქრელად და დამშვიდებული გადაიცვლებაო. მაგრამ ქორწილზედ რომ დაუწყო ლაპარაკი, ხომ მოუჩქარებ სიკვდილს, ჩემი ხელით მოვკლავ! არა, არას დროს, გეხვეწებით არას დროს! მე კარგა ვიცი, რაც მომელის... მემკვიდრეები გამაგდებენ სახლიდამ, გავღატაკდები.... რა უყოთ! როდესაც, ოქტავი არ მეყოლება, რა თავში სახლებად მინდა ცხოვრება! თქვენ იტყვით, «ეგ უგუნურობაა, ტუტუცობაა»! განა ის კი გონიერად მოიქცა, როდესაც ღარიბ სტუდენტობაში წამიყვანა მე, მომაკვდავი, გზა-დაფანტული, დამაწვინა თავის პატარა ოთახში და ისე მივლიდა, როგორც წმინდას. მე თავი მომაქვს იმითი, სენამალ, რომ ჩემ სიცოცხლეში არც ერთხელ არა მიწყენინებია-რა, და არც არაფრით შემიწუხებია... და თუ საბრალოს აღარა ეშველება-რა, ჩემი უკანასკნელი ვედრება მოწყალე ღმერთთან ის იქნება, რომ მე ოქტავს ყოველთვის გვერდით ვეყავ და თავის დიდი ხნის მეგობრის კლავზედ განასვენებულმა უშფოთრად და დამშვიდებით განუტევოს სული.

— სწორედ ასეც მოკვდა, უმანწვილო, სთქვა აღელვებულმა მოხუცმა და განგაშით ხელი მხარზედ გადამხვია. ერთხელაც ვერ მოვახერხე ავადმყოფთან მარტო დავრჩომილიყავ, კლე-

მანსა განუშორებლად იმასთან იყო და თვალებით მეჰბდრებოდა, არა წამომცდენოდა რა. ოკტავმა თავის თავი თითონ მოჰკლა, თავს არ ზოგავდა, ღალატობდა კლემანსოს. ამან კი თავისი მომავალი ხვედრი ანაცვალა თავის სატრფოს უგანასკნელის წამების მშვიდად გატარებას. გადიცვალა თუ არა ოკტავი, მეორე დღესვე სხვა ქალაქებიდამ ჩამოვიდნენ მორეული სასტიკნი ნათესავნი, უგულო მემკვიდრენი!.. ოჰ, ის ბოროტნი! დაიყვირა სენემალმა და თან მუშტი მოიღერა.— ფირმეზის მემკვიდრენი უწყალო და შეუბრალებელი ხალხი გამოდგა, ქორივით დაათვრინდნენ სარჩოს, ყოველისფერი ხელში ჩაიგდეს. კლემანსა თავიდან მოიშორეს, გამოაპანღურეს, გამოგვალ სახლის ნაგავს გაატანეს! არც უმისოა ქვეყანა, იმისთანებიც გამოჩნდნენ, რომ იზრუნეს მაგისათვის. ერთმა დრამის დამწერმა უშოვა ეს ადგილი თეატრში, თუმცა ეს ჯამაგირი საცხოვრებლად საკმარისი არ არის, მაგრამ ყველას ხომ გული გაქვავებული არა აქვს. ერთი სიტყვით, ილოად მიდის.

— მესმის, მესმის ყველაფერი, წამოვიძახე და მოხუცს მაგრა ხელი მოუჭირე.

— რა აზრი არ მოუვა კაცს თავში, განაგრძელა ლუი სენემალმა და მუბლში ხელი შემოიკრა.—მაგ ქალიდ დედაკაცს რომ მაგისთანა ლომობიერი გული არ ჰქონოდა, ესდა ხომ ხალხი ფირმეზის ცოლათ მიიღებდა, იმ დიდ საპატიო ლოჟაში იჯდებოდა გამოჭიმული; ირგვლივ შემოეხვევოდნენ მდიდრულად გამოპრანჭული კაცები, დაუწყებდნენ პირის ქებას და მალოცვას. ესლა კი ტალახში სდგას და ჩვენ პალტოებს და ჯოხებს ინახავს, მაინც და მაინც ის ამაღამ ბედნიერია... იმას ესმის, როგორც უკრავენ ტაშს იმის ოკტავის დაწერილს, ესმის მშვენიერი, თუმცა იმისთვის გაუგებარი ლექსები და აღ-

ტაცებაში მოდის... დედა-კაცი ყოველ კვირაობით სადილათ ჩემთან მოდის და სადილს განგებ ხუთ საათზედ ვჭამთ ხოლმე, რომ სამსახურს არ მოსცდეს. დღეს კი უნდა ქეიფი გავწიოთ. ამაღამ ვახშმათ წავიყვან ისე, როგორც ხანდისხან ოქტავი წაიყვანდა წარმოდგენის შემდეგ და დილის ორ საათამდის უნდა სულ იმაზედ ვილაპარაკოთ! ეხლა კი დროა გავჩუმდეთ, ამ წამს დაიწყობენ მეორე მოქმედებას.

---

იმავე ღამეს პირველის ნახევარზედ ვიჯექ ერთ სასტუმროს დარბაზში, სადაც მოგროვილიყვენ აკადემიაში მოსწავლე ყმაწვილნი კაცნი და მეცინებოდა იმათ გაკვირვებულ ცქერაზედ, როდესაც თავიანთმა გამოჩენილმა პროფესორმა, ლუი სენეშალმა, აკადემიის საპატიო წევრმა და სხვა და სხვა ხარისხების პატრონმა, შემოატარა დარბაზში ხელი-ხელ გაყრილი ბებერი დედა-კაცი და იქიდამ გაიყვანა ვახშმის საჭმელად მეორე ოთახში. ყველამ იცნო, რომ ეს ბებერი დედა-კაცი ოდეონის თეატრის მსახური იყო.

ან. თუმანიშვილისა.

*
* *

დაე, ზეცამ დაჰკრას ზარი
ჩემი ბედის აღსასრულზედ
და ხმელეთმა დაუნდობლად
მთები მტყორცოს ისრად გულზედ;

ბედის ვარსკვლავს უკრთეს ფერი
და მშფოთარმა სულმა ჰკვნესოს,
და ნაღველი მომშხამელი
მკერდს სამუდმოდ დაღად მესოს.

დაე, ჩემი სასიცოცხლო
გულის ძგერა იქცეს შხამად,
ჰკრას მახვილი გულის ფიცარს
და გამიპოს იგი სამად;

ყბები გახსნას დედა-მიწამ
და შიგ შთანთქმა დამიპაროს,
და ამ ქვეყნად მეგობარმა
ცოცხალივე დამიტიროს,

დაე, რისხვა ჩემ სამუსრად
შეიკრიბოს ყოველ მხრიდამ...
მაგრამ მე კი არას-ოდეს
არ გარდავუხვევ წმინდა გზიდამ.

მინამდე ვარ — სწორის გზებით
ვივლი მე თავ-განწირულად,
მტერს ვუმტრობ და მეგობარს კი
გადავჰკოცნი მეგობრულად.

თავს არ შევჰყოფ ფარისევლის
მატყუარა სამოსელში;
რაც გულში მაქვს, — იარაღად
მასვე ვიგდებ ცხადად ხელში.

მე აწ მუდამ ვინუგეშებ
იმ საამო იმედებით,
რომ რაცა მაქვს, ის ვიშოვნე
წმინდის გზით და მოქმედებით:

რომ, ვის სიტყვით მეგობრობას
ვჰფიცავდი და ვაფიცებდი,
მას ამ ციურ კავშირ-ძმობას
გულითაც კი ვუმტკიცებდი...

რომ პირადი საქმისათვის
ფლიდობა არ მიხმარია,

ეს მამხნევებს ბედით დევნულს,
ეს მხოლოდ-და მახარია.

დაე, რისხვა ჩემ სამუსრად
შეიკრიბოს ყოველ მხრიდამ...
ბედის წყრომა ვერ გამდენის
მე სიმართლის ზღუდე-წრიდამ.

Ცახელი.

# წინასიტყვაობა. *)

«ქართლის ცხოვრების» მეორე ტომისა (გამოცემა სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთის ენათა დამსახურებულის პროფესორის დავით იესეს ძე ჩუბინაშვილისა).

## ცნობანი

### ქართულს ენაზე დაწერილ ისტორიულს თხზულებათა შესახებ.

ისტორიულნი თხზულებანი შესახებ საქართველოისა ქართულს ენაზე არიან: ა) ძველნი მატიანენი, შემადგენელნი სტატიათა კრებულისა, ბ) თხზულებანი, რომელნიც შეიცავენ მოთხრობებს ქართველთ ერის დასაწყისიდამ მე-**XVIII** საუკუნეს ნახევრამდის, გ) თანამედროვეთა თხრობანი, რომელნიც შეიცავენ აღმწერთა დროის ამბებს, დ) ცალკ-ცალკე აღწერილობანი ცხოვრებათა მეფეთა და შესანიშნავთა მოღვაწეთა, რომელთაც განითქვეს თვისნი სახელნი ან სამხედრო სამსახურითა, ან

---

*) ეჭვი არ არის, რომელიმე მეცნიერების რიგიანად შესწავლის დროს, შემსწავლელს ან შესწავლის მსურველს დიდ სამსახურს გაუწევს ხოლმე იმისთანა კატალოგი, რომელშიაც ჩამოთვლილნი და ან დასახელებულნი არიან ყველა ის მასალანი ან შრომანი, რომელნიც ისე

წმიდა ცხოვრებითა და ან სხვა გვარ სამსახურითა სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის და ე) ქრონოლოგიურნი მაჩვენებელნი შესანიშნავთა შემთხვევათა შესახებ.

პირველი. ძველ მატიანეთ ქართულს ენაზე ითვლება «ქართლის ცხოვრება», რომელიც შეიცავს მოთხრობებს საქართველოს ერის დასაწყისიდამ, ვიდრე ვახტანგ მეფე III 1307 წ. და შემდეგ დროებამდისაც (ხელთ ნაწერი ქრონიკა, რომელიც ეკუთვნის მეცნიერებათა აკადემიას და ნაწერია ხუცურად, საგონებელ არს, რომ ეკუთვნის უძველეს ხელთ ნაწერთ; ესეც და რუმიანცოვის მუზეის ხელთნაწერიც სრულდება 1307 წ. ხელთ-ნაწერი კი, რომელიც აკადემიისათვის გადმოიწერა თავადის ფალავანდისშვილის ხელთნაწერიდამ სრულდება მე-XVII საუკუნის ნახევარს), არის კრებული მეტად ძველ მატიანეთა, რომელნიც ცნობილნი იყვნენ ვახტანგ VI-ის დრომდისაც; იგინი სხვა და სხვა პირთაგან არის დაწერილი სხვა და სხვა დროს. ეს სჩანს პირველად ქრონიკისავე წინასიტყვაობიდამ, რომელიც იწყობა ამ სიტყვებით: «პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთავითარებისაგან «ქართლის ცხოვრება»

---

თუ ასე შეადგენენ სახსარს შესწავლისას იმ თუ ამ მეცნიერებისას. ესვე ითქმის საქართველოს ისტორიის შესახებ. იქნება მოიპოვებოდენ საქართველოში იმისთანა მსურველნი, რომელთაც სწყურიანთ შეისწავლონ ქართული ისტორია, მაგრამ არ იციან, რა გზით და რა წყაროებით. მრავალს კიდე არ ექნება (სხვა და სხვა მიზეზებისგამო) შეძენილი «ქართლის ცხოვრება», მეტადრე მისი მეორე ტომი, რომელშიაც აღბეჭდილია ეს «წინასიტყვაობა» და ამ წინასიტყვაობაში კი დასახელებულია ყოველგვარნი წყარონი შესახებ საქართველოს ისტორიისა, ხშირად ჩვენებით მათი არსებობის ადგილისა. ამიტომ იგი რუსულად დაწერილი წინასიტყვაობა ვსთარგმნეთ ქართულად.

გარყვნილიყო, რომელიმე მწერალთა მიერ, და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან, არღარა წერებულიყო; ხოლო მეხუთემან ვახტანგ (ესე იგი ვახტანგ VI), ძემან ლეონისამან და ძმისწულმან სახელოვანის გიორგისამან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა სადა რამ ქართლის ცხოვრებანი ეპოვნა და კვალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი და შეამოწმეს და რომელი გარყვნილიყო განმართეს და სხვათა წერილნი მოიხვნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამახვნეს და ესრეთ აღაწერინეს;» მეორედ, ზოგიერთგან მატიანებში მოხსენებულნია არიან თვით მემატიანენი, და მატიანენი, რომელნიც შავიდნენ «ქართლის ცხოვრებაში»; სახელდობრ: ა) მეფის არჩილ მეორის (668—718) ცხოვრების აღწერაში ვპოვებთ: «წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა, ვიდრე ვახტანგისამდე, აღიწერებოდა ჟამითი ჟამად. ვიდრე ვახტანგისითგან აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმის წულის ქმარმან წმიდისა არჩილისამან, ნათესავმან რევისამან, მირიანის ძისამან». მაშასადამე ეს მემატიანე ყოფილა თანამედროვე მეფის არჩილ II-ისა; ბ) დავით აღმაშენებლის ისტორიაში მოხსენებულია „ქართლის მატიანე"; გ) სულთნის ჯელალ-ედ-დინის ლაშქრობათა შესახებ მოთხრობებში სწერია, რომ ყველა ეს ამბავნი შეადგინა ჯელალის თანამედროვე მღვიმეს ბერმა (სახელწოდება მისი არ დაშთენილა); ამას გარდა საქართველოს განათვლა ნათლითა ქრისტესითა, წმინდა ნინოს ცხოვრება, მეფის მირიანისა და სხ. უცვლელად გადმოწერილნი არიან წმიდათა მამათა ცხოვრებიდამ, რომელნიც შედგენილია მე-X საუკუნეში კათალიკოზის არსენისაგან.

ყველა ზემორე თქმულიდამ სჩანს, რომ ქართლის

ცხოვრება არსებობდა უწინარეს ვახტანგისაც (მე VI-ისა). ამის დასამტკიცებელ საბუთად ითვლება აგრეთვე სომხის მწერალი მე-XIII საუკუნისა სტეფანე ორბელიანი, რომელიც თავის «ორბელიანთ გვარის» ისტორიაში იხსენიებს ქართლის ცხოვრებასაც; ამას გარდა ბროსემ, ეჩმიაწინში მყოფობის დროს, იპოვა ხელნაწერი თარგმანი ქრონიკისა (ქართლის ცხოვრებისა) სომხურს ენაზე, მიყვანილი 1125 წლამდის; ეს ხელნაწერი, ბროსეს მოწმობით, დაწერილა ვახტანგ მეექვსის დროამდის, სახელდობრ 1279 და 1311 წელთ შუა.

ქრონიკა, რომელიც შეიცავს თხრობათა სხვა და სხვა მატიანეთაგან, ზოგიერთგან დაწერილია სამღთო წერილის ენით, ზოგან სამღთო წერილისა და სალაპარაკო ენის საშუალო კილოთი; ამის მიუხედავად იგი მარტივის და სუფთა ენით არის დაწერილი, თუმცა ადგილ-ადგილ აღმოსავლეთ მწერალთა მედიდური და მეტაფორული ენაც გვხვდება. საკმაო ნაკლი ქრონიკისა მდგომარეობს იმაში, რომ იშვიათად ნაჩვენებია წელნი, თუ როდის მოხდა აღწერილი ამბავი ანუ შემთხვევა. მაგრამ ეს ნაკლიც შეივსება მით, რომ ზოგიერთ მატიანეთა სათაურში მოყვანილია სია ქართველთ მეფეთა, ჩვენებით მათ ტახტზე ასვლის, სიკვდილის, ან ტახტიდამ გადაყენების ჟამისა.

1849 წელს მთელი ქრონიკა სამ ნაწილად გამოიცა ბროსესაგან. პირველი შეიცავს თვით ქრონიკას, მეორე მის ფრანციულ თარგმანს, და მესამე დამატებათა და განმარტებათა ქართულის ისტორიისას. საზოგადოდ სამივე ნაწილი წარმოგვიდგენს საფუძვლიანს და ჭეშმარიტ ცნობებს ქართველთ, სომეხთ, აღმოსავლეთის და ევროპის მწერალთა და იგინი

ძვირფას მასალას მისცემენ მომავალს ისტორიკოსს საქართველოისას.

მეორე. ამ რიგს ისტორიულ თხზულებათა საქართველოზე, ეკუთვნიან.

ა) ისტორია მეფის ძის ვახუშტისა, ძისა ვახტანგ VI-ისა. 1724 წლამდის იგი იღებდა მონაწილეობას ომებში და ამ წელს კი მამასთან ერთად წავიდა რუსეთს. მრავალი და ძვირფასი მასალებით, რომელნიც შეაგროვა მისმა მამამ საქართველოში, იხელმძღვანელა მან და შეადგინა ისტორია საქართველოისა; აგრეთვე 1744 წ. მონაწილეობას იღებდა ქართულის ბიბლიის გამოცემაში მოსკოვს. ამას გარდა შეადგინა პირველი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომლის ეგზემპლიარი აქვს აკადემიის ბიბლიოთეკას აზიურ ხელნაწერთა განყოფილებაში და გადმოსთარგმა გეოგრაფია ევროპიის სახელმწიფოთა.

ვახუშტის საქართველოს ისტორია იწყობა ქართველთა ერის დასაწყისიდამ და განგრძელდება მე-XVIII საუკ. ნახევარამდის. ამის შინაარს შეადგენს: 1) საზოგადო შესავალი, 2) წერილი ქართველთა ზნე ჩვეულებაზე, 3) ისტორია საქართველოისა მის განაწილებამდე 1464 წელს სამ სამეფოდ: ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა და აგრეთვე ხუთ სამთავროდ: საათაბეგოსი, გურიისა, სამეგრელოისა, სვანეთისა და აფხაზეთისა, 4) მიზეზნი განრღვევისა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ; 5) გეოგრაფიული აღწერა და ისტორია ქართლისა 1469 წ. 1745 წლამდე; 6) გეოგრაფიული აღწერა და ისტორია კახეთისა 687 წ. 1744 წლამდე; 7) გეოგრაფიული აღწერა და ისტორია იმერეთისა 686 წლის 1744 წლამდე, 8) გეოგრაფიული აღწერა და ისტორია სამცხე-საათაბეგოსი

508 წ. 1744 წლამდე და 9) გეოგრაფიული აღწერა ოსეთისა და სხვა კავკასიის ქვეყანათა.

ბოლოს დამატებაში ჩართულია:

ა) ქრონოლოგიური მაჩვენებელი შესანიშნავ შემთხვევათა თამარ მეფის სიკვდილიდამ (1212 წ.) 1755 წლამდე.

ბ) ქრონოლოგიური ტაბლიცა, მაჩვენებელი ქართველთა მეფეთ და კატოლიკოზთ თანამედროვე ხელმწიფეთა ევროპიისა და აზიისა. ეს ტაბლიცა იწყობა პირველის ქართველთა მეფე ფარნაოზიდამ (237 წელს ქრის. წინად) და თავდება 1755 წლით.

გ) სია სოფელთა და ქალაქთა, მდებარეთა ქართლ-კახეთში.

ამას გარდა ისტორიის დამატებაში მოქცეულია: ქართველთა მეფეთ შთამომავლობის ხე და გეოგრაფიულ აღწერილობათათვის დაურთავს გეოგრაფიულნი რუკანი, რიცხვით 20. ეს რუკანი, ეჭვს გარეშე, იყვნენ სახელმძღვანელონი ფრანციულის იოსებ დელილისთვის, რომელმაც 1766 წელს გამოსცა ფრანციულს ენაზე საქართველოს რუკანი. ვახუშტის რუკანი მისთვის გარდაეცა ბაქარსა (ვახტანგის ძე), ვახუშტის ძმას.

ვახუშტის ისტორია დაწერილია საზოგადო სახმარებელ ენაზე და განირჩევა ქრონიკისაგან მიუდგომლობით, წელთა ჩვენებით ანუ იმის აღნუსხვით, თუ როდის რა მოხდა, აგრეთვე იმ ამბავთა ჩართვით, რომელნიც მან გადმოიღო სპარსთა მწერალთაგან, უმეტესად წიგნიდამ «შაჰ ნამე» (ცხოვრება მეფეთა), ეს წიგნი შეთხზულია და ლექსად დაწერილი პოეტის ფირდოუსისაგან. ერთის სიტყვით, ეს ისტორია არის შრომა მსწავლულის კაცისა, რომელიც კრიტიკულად ეპყრობა მოთხრობათა.

ამ ღირსებათა გარეშე, ვახუშტის ისტორია ბევრით ჩამოუვარდება თვით ქრონიკას, იმიტომ უფრო რომ ქრონიკა შეიცავს ძველთა ორიგინალურთა მატიანეთა და უფრო ვრცელია ვახუშტის ისტორიაზე.

ქრონიკის გარდა, ვახუშტს, თავის ისტორიის შედგენის დროს, ჰქონია შემდეგი მასალანი, რომელთაც თვითონვე იხსენიებს შესანიშნავ შემთხვევათა ქრონოლოგიურ ტაბლიცის დასაწყისში,—ესენი არიან:

ა) ძველი სამართლის წიგნი იმერეთისა.

ბ) დავითნი მესხეთიდამ. ეს წიგნი შეიცავს აგრეთვე ქრონოლოგიურს ცნობებსა შესანიშნავ შემთხვევათა.

გ) ირმოსი იმერეთისა. ესეც შეიცავს იმნაირსავე ცნობებს, როგორისაც სამესხეთოს დავითნი.

დ) ქრონოლოგიური მაჩვენებელი შესანიშნავ შემთხვევათა, შედგენილი ტლაშაძისაგან.

ე) გუჯარნი და სიგელნი, ბოძებულნი თავად ბარათაშვილებისა და თუმანიშვილებისათვის.

და ვ) მრავალნი ძველნი მატიანენი საქართველოისანი.

გეოგრაფიული აღწერა საქართველოისა რუკებით და წერილი ქართველთ ზნე-ჩვეულებაზე 1843 წ. ფრანცუზულის თარგმანით დაუბეჭდია აკადემიკოს ბროსეს.

6) საქართველოს ისტორია მეფის გიორგის მე-XIII ძის იოანესი. ეს შრომა შეიცავს ისტორიას ქართველთ მოჰქცევიდამ, ვიდრე მე-XVIII საუკუნის დამლევამდის. ეს ისტორია მოთაწერილია თხზულებაში: «მოგზაურობა საქართველოში ქართველი ბერის იოანესი». თხზულება გაყოფილია სამ ნაწილად და ღირს შესანიშნავია არა თუ საქართველოს ისტორიის, არამედ გეოგრაფიის, ხალხის ზნისა და ლიტერატურის შესასწავლე-

ლადაც და სხ. ამ ვრცელი თხზულების ხელთნაწერი ეკუთვნის მეფისძის იოანეს მოადგილეს ივანე გრიგოლის ძეს გრუზინსკის.

b) ძველი ისტორია საქართველოისა, ქმნული მეფის გიორგის ძის თეიმურაზისაგან. იგი იწყობა ქართველთ დასაწყისიდამ და თავდება ქართველთ მოქცევით, ქ. ი. 317 წ. (დაბეჭდილია ჩუბინოვისაგან 1850 წ.) მისი მოთხრობანი მარტივია და ენაც მჭევრ-მეტყველური, თხზულებას უფრო ლიტერატურული ღირსებანი აქვს, მინამ ისტორიულნი.

g) მოკლე ისტორია საქართველოისა კათოლიკოზის ანტონი I-ისა, დაწერილი მისგან ერეკლე II-ის დროს დაარსებულ სასულიერო სასწავლებლებში სახმარებლად.

c) ქართველთა მეფეთა შთამომავლობის ტაბლიცა მოკლე ისტორიითა ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა და საათაბაგოსი, შედგენილი დავით თუმანოვისაგან.

მესამე. თანამედროვეთა მოთხრობებს ეკუთვნიან:

ა) ისტორიულნი წერილნი კათოლიკოზის ზაქარიასი, რომელიც სცხოვრებდა მე-XVII საუკ. დასაწყისს.

ბ) ისტორია ქრისტიანობისა ქობულეთში, დაწერილი იოანე ჩხატაურელისაგან 1698 წელს.

გ) მატიანე საქართველოსი სეხნია ჩხეიძისა. იგი შეიცავს ამბებს 1653 წ. 1737 წლამდე. სეხნია ჩხეიძე იყო თანამედროვე ქართლის მეფის გიორგი XI-ისა (1676—1709) და იმასთან ერთად იღებდა მონაწილეობას ლაშქრობაში წინააღმდეგ ავღანთა და ყანდაარის მმართველის მირვეისისა. ამისგამო ჩხეიძეს ისტორიას მნიშვნელობა აქვს სპარსეთის ისტორიისათვისაც. სპარსეთში მომხდარნი ამბავნი ჩხეიძეს აღუწერია ვრცლად და ფაქიზად.

დ) მატიანე პაპუნა ორბელიანისა. შეიცავს ისტორიას 1717 წ. 1757 წლამდის. პაპუნა იყო თანამედროვე მეფეთა: ვახტანგ VI-ისა და ერეკლე II-ისა. მიუღია მონაწილეობა მრავალს ომებში, რამდენმეჯერ ყოფილა სპარსეთში და აღუწერია ყოველნი ამბავნი ამა დროისა, მომხდარნი საქართველოსა და სპარსეთში. პაპუნას მატიანე არის გაგრძელება ჩხეიძის მატიანისა.

ე) საქართველოს მატიანე გორის მცხოვრების ფარსადან გორგიჯანიძისა იწყობა ქართველთ და სომეხთ მოქმედებით და თავდება გიორგი XI მეფობით (1703 წ.); მოთხრობანი როსტომ მეფის მეფობამდე შეუდგენია ზეპირ გარდმოცემით და დროც არ უჩვენებია. მაგიერ ამისა, რადგან იყო თანამედროვე როსტომისა, ვახტანგ V-ისა და გიორგისა, აღწერს მათ ცხოვრებას დაწვრილებით და ქორონიკის ჩვენებით. ფარსადან გორგიჯანიძეს დაუწერია კიდევ სხვა თხზულებაც, სახელდობრ: მაჰმადიანთა კანონნი (ჯამა აბბასი), რომლის დედანი (ავტორის ხელით დაწერილი) იპოება მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკაში.

ვ) ქრონიკის გაგრძელება, უცნობის ავტორისა, შეიცავს ქრონოლოგიურად აღწერილ ამბებსა, მომხდართა საქართველოში 1476 წ. 1620 წლამდის. როგორც სჩანს თხზულებიდამ, დაწერილია თანამედროვესაგან.

ზ) საქართველოს ისტორია 1744 წ. 1835 წლამდის ქართველთ მეფის ძეთა: დავითის და ბაგრატის ქმნული. არის გაგრძელება ვახუშტის კახეთის ისტორიისა.

თ) ისტორია თბილისის გაოხრებისა აღა მაჰმად ხანისაგან 1795 წ. იწყობა 1789 წლიდამ და ვრცელდება 1861 წლამდის. დაწერილია მეფის ძის თეიმურაზისაგან. იგი ლო-

ტოგრაფიით გადაღებულია აკადემიკოსის ბროსესაგან 1834 წ. პარიჟში — ტექსტიცა და მისი თარგმანიც (ფრანცუზულად).

თ) ისტორია ახალციხის მხრის დაპყრობისა ოსმალთა-გან 1625 წ. უცნობი ავტორისა.

ი) ისტორია ლაშქრობისა იმერეთის მეფის სოლომონი-სა აფხაზეთში და რუსის ბრძოლა, ლექსად დაწერილი ბესა-რიონ გაბაშვილისა და გეგეჭკორისაგან.

და კ) ისტორიულნი წერილნი კათოლიკოზის დომენტი-სა (1703 წ.)

მეოთხე. ცალკე ცხოვრებათ აღწერათა ეკუთვნიან:

I ცხოვრება მეფის დავით აღმაშენებლისა და წმ. ნინოსი. დაწერილია 1116 წ. ბერის ეფრემ მცირისაგან, თანამედროვი-საგან მეფის აღმაშენებლის დავითისა (1089—1195 წ.)

II ცხოვრება ქართველთა წმიდათა. იწყობა წმიდა ნინოს ცხოვრებიდამ—ქართველთ მოქცევიდამ და გრძელდება კეთილ-მსახურ მამათა და დედათა ცხოვრების მოთხრობებით, ვიდრე დედოფალ ქეთევანამდე, 1624 წ. შაჰაბაზისაგან წამებულ იქმნა. წმიდათა ცხოვრება დაწერილია თანამედროვეთაგან სუფთა და გასაგებ ენით და სინამდვილით. ეს მოთხრობანი დიდი ფასი-სანი არიან მომავალი დროის ისტორიკოსისათვის, რადგან შეიცავენ მოთხრობებს მეფეებზე, დედოფლებზე, თავადებზე და ყველაზე, რომელთაც მიიღეს რაიმე მონაწილეობა ბრძო-ლაში წინააღმდეგ ბარბაროსთა დასაცველად სარწმუნოებისა და მამულისა. წმ. მამათა ცხოვრება შეკრებილია ერთ წიგნად (მა-მათ-ცხოვრება) კათალიკოზის ბესარიონისაგან, რომელიც ცხოვ-რობდა 1724 წელს. წიგნში მოქცეულია.

ა) წმიდა ნინოს ცხოვრება, ქართველთა და მირიანის მოქცევა.

ბ) ცხოვრება იოანე ზედაზნელისა, რომელიც მე-VI საუკ. ნახევარს თორმეტის მოწაფით მოვიდა სირიიდამ საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად.

გ) ცხოვრება წმ. დავით გარესჯელისა, იოანეს მოწაფისა.

დ) ცხოვრება წმ. შიო მღვიმელისა, იოანეს მოწაფისა.

ე) ცხოვრება წმ. ნეკრესელისა, იმისავე მოწაფე.

ვ) ცხოვრება წმ. ძმათა დავით და კოსტანტინესი, არგვეთის მთავართა, რომელნიც აწამნეს (730 წ.) მურვან ყრუსაგან. ამათი ცხოვრება გადათარგმნილია სლავიანურს ენაზედ აშტარხანის არხიეპისკოპოსის გაიოზისაგან.

ყველა ზემორე ხსენებული მამათ ცხოვრებანი შეუდგენია კათოლიკოზს არსენის, რომელიც, ზედაზნელის მოსვლის 404 წლის შემდეგ, სცხოვრობდა მე-X საუკ. ყველა ძველი ეგზემცლიარი „მამათ ცხოვრების" ხელთნაწერისა ეტრატზე იპოვება აკადემიის ბიბლიოთეკის აღმოსავლეთის ხელთ-ნაწერთა განყოფილებაში.

ზ) ცხოვრება წმ. ილარიონისა, აღსრულებულისა 885 წ. ქრისტეს შემდეგ, აღწერილია საბერძნეთის იმპერატორის ვასილი მაკედონელისაგან; ქართულად უთარგმნია ბერს თეოფილეს, რომელიც სცხოვრობდა მეფობასა შინა დავით აღმაშენებელისა მე-XI საუკუნეში.

თ) ცხოვრება წმ. იოანესი და ძისა მისისა ევთიმესი, მე-X საუკ., რომელსაც ბერძნულიდამ გადმოიღეს წმიდა სახარება და საღმრთო შინაარსის წიგნები, რიცხვით 45. მათი ცხოვრება დაწერილია წმიდა გიორგი მთაწმიდელისაგან. იოანემ და ევთიმემ თორნიკეთურთ დასდვეს საფუძველი ივერიის მონასტრისა ათონის მთაზედ. ამ მონასტერს აქვს სა-

კუთარი ბიბლიოთეკა, რომელიც შეიცავს 300 ხელთნაწერსა. კატალოგი მისი ბევრსა აქვს.

თ) ცხოვრება წმ. გიორგი მთაწმინდელისა, ივერიის მონასტრის წინამძღვრისა, რომელიც სცხოვრებდა მე-XI საუკ. ნახევარს და ბერძნულიდამ ქართულს ენაზე თარგმნა ბიბლია და სხვა საღმრთო წიგნები და წმიდა მამათა ქმნულებანი. დაწერილია წმიდანის მოძღვრის გიორგი ოლთისელისაგან.

ი) ცხოვრება წმ. გობრონისა, 133 მხედართა თანა წამებულისა მე-IX საუკ. დასასრულს აბულ ჴასიმისაგან (მურვანყრუ). დაწერილია მტბევარის ეპისკოპოზის სტეფანესაგან ბრძანებითა ერისთავის აშოთისა მე-X საუკ.

კ) ცხოვრება წმ. კონსტანტინესი, წინამძღოლისა ქართველთ მხედრობისა წინააღმდეგ არაბთა 885 წელს. დაწერილია უცნობი პირისაგან.

ლ) ცხოვრება წმ. ევსტატესი, წამებულისა სპარსთაგან სტეფანე გურამის ძის დროს (639—663) — დაწერილია უცნობი პირისაგან.

მ) ცხოვრება წმ. შუშანიკისა, 458 წ. წამებულისა თვისის ქმრისაგან სარწმუნოებისათვის. დაწერილია უცნობი პირისაგან.

ნ) ცხოვრება წმ. ქეთევანისა, წამებულისა სპარსეთის შაის აბაზისაგან 1624 წელს. დაწერილია კათოლიკოზის ბესარიონისაგან.

ო) ცხოვრება წმ. მეფის ლუარსაბისა, წამებულისა შაის აბაზისაგან 1622 წელს სარწმუნოებისათვის. დაწერილია კათოლიკოზის ბესარიონისაგან.

პ) ცხოვრება წმ. მეფის არჩილ II-სა, წამებულისა სარაცინთაგან 718 წელს.

პ) ცხოვრება წმ. პეტრე ქართველისა, ვარაზ ბაკურას ძისა, მცხოვრებისა ბერძენთ იმპერატორის თეოდოსი მცირის ჟამს. დაწერილია ასირიულს ენაზე მისი მოწაფის ზაქარიასაგან და ქართულად თარგმნილი მღვდლის მაკარისაგან.

ჟ) ცხოვრება წმ. ისე წილკნელისა, მოწაფისა იოანე ზედაზნელისა, რომელიც სცხოვრებდა მე-VI საუკ.

რ) ცხოვრება წმ. იოსებ ალავერდელისა, წმ. იოანე ზედაზნელის მოწაფისა.

ს) ცხოვრება წმიდა აბასი, წამებულისა სარაცინთაგან 791 წელს ქალაქ ტფილისში. დაწერილია თანამედროვის იოანე საბანისძისაგან, კათოლიკოზ სამუელის ბრძანებით.

ტ) ცხოვრება წმ. რაჟდენისა, სარაცინთაგან წამებულისა ვახტანგ გორგასლანის მეფობაში (446—499).

უ) ცხოვრება წმ. მოწამეთა: ბიძინა ჩოლოყაშვილისა და ძმათა შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავთა, მცხოვრებთა კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის მეფობასა შინა და წამებულთა სპარსთაგან 1660 წ.

კათოლიკოზ ბესარიონის გარდა სხვათაც შეუდგენიათ წმიდათა ცხოვრებანი.

1) ცხოვრება წმ. არჩილისა შეუდგენია მის ნათესავს ჯუანშერ ჯუანშერიანს.

2) ცხოვრება ქეთევანისა აღწერილია: ლექსად: ა) მის ძის თეიმურაზ I-გან და ბ) თ. დიმიტრი ბაგრატიონისაგან (ეს უკანასკნელი დაბეჭდილია პეტერბურგში 1819 წელს). პროზად: ა) გარესჯის ბერის გიორგისაგან (სცხოვრებდა 1737 წ.), ბ) სომხის ისტორიკოსის არაქელისაგან (1601—1662). დედოფლის ცხოვრება აღწერილია ევროპიულს ენებზედაც. ამას გარდა ქეთევანის ცხოვრებას აღწერს უცნობის ავტორისა და-

ბეჭდილია ბროსეს ისტორიულს წერილებში, 1834 წ. პა-რიჟში.

3) ცხოვრება მეფის ლუარსაბისა, დაწერილია თბილისს მთავარეპისკოპოსის იოსებისაგან. მასივე ცხოვრება აღუწერიათ მრავალთა სხვათა მწერალთაცა.

ამას გარდა ათონის ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკა-ში მოიპოვებიან ცხოვრებანი შემდეგთა წმიდათა, რომელთ ცხოვრება საქართველოში არ მოიპოვება:

ა) წამება წმიდა ბასსი.

ბ) წამება წმ. იულიანე გრძნეულისა.

გ) წამება 9 ძმათა კოლაელთა.

დ) საქმენი და წამებანი საკვირველი ანტონი რავასისა.

ე) წამება წმ. დავით დვინელისა.

ვ) წამება ბერის მიხეილისა.

ზ) წამება წმ. ჯარლანისა.

ჱ) წამება წმ. ხობისა.

თ) წამება წმ. მესხეთელთა და სიგელნი მეფის კოსტან-ტინესი.

ი) ცხოვრება ისააკი პერტუელისა.

კ) ცხოვრება იზიდი და ბოზიდისა.

ლ) წამება წმ. სომეხთა მღვდელ-მთავართა: არისტაკე-რისა, იორდანესისა, ისააკისა, გრიგოლისა და დანიელისა.

მ) წამება დედოფლის სუნდუხტისა.

ნ) ცხოვრება წმ. დავითისა და დარჩიანისა.

ჲ) წამება წმ. გულანდუხტისა.

ო) ცხოვრება წმ. სიმეონ მანდრელისა.

პ) წამება წმიდა კონონისა.

ჟ) ცხოვრება წმ. სომხის ეპისკოპოზის გრიგოლისა.

რ) ცხოვრება წმ. ვარლაამისა.

III. წმიდათა ცხოვრება კათოლიკოზის ვასილისა. წმ. ნეოფიტეს ცხოვრებაში ამას ჰმოწმობს ანტონი I-ი.

IV. შეკრებილება საქართველოს წმიდათა და ღვაწლ-შემოსილთა და წამებულთა, სახელწოდებით მარტირიკა, დაწერილი ანტონი I-ისაგან, რომელიც კათოლიკოზის ნიკოლოზ ხერხეულიძის მოკვლის შემდეგ აღვიდა საკათალიკოზო ტახტისა ზედა (1744 წ.). იგი იყო ძე მეფის იესესი და თეიმურაზ მეორის დის წული. კათოლიკოზ ანტონის უყვარდა მეცნიერებანი და სამშობლო მეტყველება. მეცნიერებაში უკეთ განვითარებისათვის მან დაიახლოვა კათოლიკეთ მისიონერნი, რომელნიც იყვნენ საქართველოში. მათთან დაახლოვებამ საქართველოს სასულიერო წოდება შეიყვანა ეჭვში კათოლიკოზის მართლ-მადიდებლობაზე და 1755 წელს განდევნილი საქართველოდგან, მივიდა რუსეთს. აქ მან მოითხოვა ადგილი უწმიდესი სინოდისაგან და წარუდგინა მას თვისი სარწმუნოების აღსარება, რომელიც სცნეს სრულიად თანახმად მართლ-მადიდებლობის საბერძნეთის სარწმუნოებისა. ამის გამო ნეტარ ხსენებულის ხელმწიფა ელიზავეტა პეტრეს ასულის ბრძანებით (1757 წ.) ებოძა მას არხიეპისკოპოსობა ვლადიმირისა. ამ სამწყსოს მართვიდა იგი 1763 წლამდე. აქ მან უკეთ შეისწავლა ლათინური ენა და, ქართული მოკლე გრამატიკის მაგიერ, შეადგინა ვრცელი გრამატიკა, შეადგინა კატეხიზმო, გადმოსთარგმნა ქართულად ფილოსოფია ბაუმეისტრისა და ფიზიკა ვოლფისა. 1763 წელს, თხოვნისამებრ საქართველოს მეფის ერეკლე II-სა, წარვიდა საქართველოში ისევ ქათალიკოსად. ყველა ზემოხსენებულნი წიგნნი წამოიღო სამშობლოში და უბრძანა, რომ იგინი ესწავლებინათ თვისგანვე გახსნილ სკოლებში და კატე-

ხაზმა ამის'გარდა ხალხისათვის აეხსნათ ეკლესიებში. ამას გარდა სამღვდელოებისათვის შეადგინა ვრცელი ღვთის-მეტყვე-ლება და „მზა-მეტყველება", ესე იგი, პასუხნი წინააღმდეგ შეცდომათა კათოლიკეთა, სომხეთა, ლიუტერანთა და სხ. ანტონი გარდაიცვალა 1788 წ. 1 მაისს. იმის ადგილი დაი-ჭირა ანტონი II, ერეკლე II ის ძემ.

მარტირიკა შეიცავს ღვაწლთა და წამებათა წმიდანთასა ამ რიგად: 1) წამება წმ. ქეთევანისა, 2) წმ. მეფის ლუარსაბისა, 3) არჩილისა, 4) დედოფლის შუშანიკისა; 5) წმ. აბიბოსი; 6) ურბნისის ეპისკოპოზის ნეოფიტესი, წამებულისა სპარს-თაგან 799 წელს; 7) წმ. რაჟდენისა; 8) დავით და კონსტან-ტინესი; 9) ბიძინასი, ელიზბარისა და შალვასი; 10) წმ. გა-რესჯას წამებულთა; 11) ევსტატესი; 12) წმ. აბოსი; 13) წმ. თბილისის წამებულთა, რომელნიც იწამნენ სულთანის ჯელალ-ედინისაგან, ოდესაც ამან დაანგრია და გააოხრა თბილისი (1224 წ.). 14) წმ. თავადის კონსტანტინესი, წამებულისა ბაღ-დადის ხალიფას აბულ-ჯაფარ მოთაზემისაგან მე-IX საუკ. ნა-ხევარს. 15) წმ. გობრონისა; 16) წმ. შალვასი, წამებულისა ჯელალ-ედ-დინისაგან. 17) წმ. მოწამეთა კავთისხევისა, რო-მელნიც იწამნენ თემურლენგისაგან; 18) წმ. მოწამეთა სუხიისა-თა, წამებულთა ალბანიის მეფისაგან; 19) ისააკისა და იოსე-ბისა, ღვაწლ-შემოსილთა მე-IX საუკ. 20) სომხეთის განმანა-თლებელის გრიგორისა.

საზოგადოდ მარტირიკა მოგვითხრობს ღვაწლთა და წა-მებათა სარწმუნოებისა და მამულისათვის მეფეთა, დედოფალ-თა, თავადთა და ყოველთა, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ბრძოლასა შინა წინააღმდეგ ცეცხლ-თაყვანის მცემელთა და შემდეგში მაჰმადიანეთა და სცდილობდენ ქრისტიანობის

მკვიდრად დასამყარებლად სამშობლოში. იგი დაწერილია საქმის ცოდნით, ჩვენებით წელიწადთა და წყაროებისა, შეუდარებელის მჭევრ-მეტყველობით. ეს უკეთესი ქმნილებაა ანტონი I-ისა.

V. ცხოვრება დიდისა მოურავისა გიორგი სააკაძისა არის ლექსად აღწერილი მის შვილის-შვილის თბილისის მიტროპოლიტის იოსებისაგან. ეს იბეჭდება დაწერილის მიდგომილებით. დაბეჭდილია თბილისში 1851 წელს.

VI. ისტორია დიდის მოურავის გიორგის აღსასრულისა, ლიტოგრაფიით გადაღებული ბროსესაგან პარიჟში 1834 წელს.

VII ცხოვრება კახეთის მეფის თეიმურაზ I-სა (1605—1663), გალექსილი მეფის არჩილისაგან. დაბეჭდა თბილისს 1853 წელს.

VIII ცხოვრება მეფის ვახტანგ VI-სა, სჯულ-მდებელისა, რუსეთში გადასახლებიდამ მის სიკვდილამდე (1725—1737 წ.) გალექსილია დავით გურამიშვილისაგან.

IX ცხოვრება მეფის ერეკლე II-სა, დაწერილია მისივე მდივნის ომანისაგან.

ამ წყობას ეკუთვნიან აგრეთვე:

ა) ისტორია თავად ორბელიანთა, გადმოთარგმნილი სომხურიდამ.

ბ) ისტორია ქართველ თავადთა და აზნაურთა, უცნობის ავტორისა.

გ) ისტორია ივერიის მონასტრისა ათონის მთაზედ და ყოველთა სხვათაცა, რომელნიც აღწერილნი არიან ტიმოთეს მოგზაურობაში (სცხოვრებდა ტიმოთე ერეკლე II მეფობაში).

მეხუთე ქრონოლოგიურ მაჩვენებელთა ეკუთვნიან:

ა) ქრონოლოგიური მაჩვენებელი შესანიშნავ მოვლენათა 1373 წლიდამ 1703 წლამდე, უცნობის ავტორისა, გამოცე. პარიჟში ფრანციულის თარგმანით ბროსესაგან 1830 წელსა.

ბ) ქრონოლოგიური მაჩვენებელი შესანიშნავ მოვლენათა დედოფლის თამარის გარდაცვალებიდამ, ესე იგი 1212 წ. 1755 წ., შედგენილი ძველი წყაროებიდამ გახუშტისაგან.

გ) ქრონოლოგიური მაჩვენებელი შესანიშნავ მოვლენათა, შეკრებილი ერთს ხელთ-ნაწერში ეტრატზე, რომელიც ინახება მცხეთის სობოროში. იგი ძლიერ ძველია.

4. ქრონოლოგიური მაჩვენებელი ტლაშაძისა.

ყველა ამათის გარდა, საქართველოს ისტორიის შესასწავლად ძლიერ საჭირონი არიან: ა) ბუჯარნი მეფეთა, განჩინებანი და გარდაწყვეტილებანი, რომელნიც მოიპოვებიან სხვა და სხვა პირთ ხელში, ანუ ინახებიან არხივებში და მონასტრებისა და ეკლესიების საცავებში; ბ) დედანნი მეფეთა და მთავართა წერილთა, რომელნიც აქვთ სხვა და სხვა პირებს და აგრეთვე აზიის საიმპერატორო აკადემიის მუზეუმში; გ) მიწერ-მოწერა ქართველთ მეფეთა სხვა ხელმწიფეებთან და განსაკუთრებით რუსეთის მეფეებთან; დ) წარწერანი ეკლესიებზედ, მონასტრებზე და სხვა ნაშთებზე; ე) საქართველოში მოჭრილნი ფულნი; ვ) თხზულებანი, რომელნიც იძლევიან ხალხის შინაურ ცხოვრებასა: 1) მეფე ვახტანგ VI კანონნი. ეს შეიცავს საკუთრად ვახტანგისაგან შედგენილ კანონებს და აგრეთვე ა) მეფის გიორგი V ბრწყინვალისას (1318—1346 წ.), რომელმაც იგინი შეადგინა მთელ ხალხთათვის, ბ) ახალციხელის ათაბაგის ბექასსა (1361—1391) და გ) ათაბაგის აღბუღასი (1444—1451); დ) საკრებულო გარდაწყვეტილებანი კათალიკოსთა: მალაქიასი და ევდემონისა 1605 წელს შესახებ მონათ გასყიდვისა, ამ

კანონებს ვახტანგმა მიუმატა: კანონნი ბერძენთა, სომეხთა და მოსესი. 2) წესნი იმერეთის სამეფოისანი, უცნობის პირისაგან შედგენილნი; 3) წესნი მეფის სასახლის მმართველისა, შედგენილი მეფის ვახტანგ VI-საგან, სახელწოდებით: «დასტულამა». 4) წესნი, დადგენილნი კათალიკოზის მიხეილისაგან (არჩილ მეფის დროს) შესახებ მეფეთ კურთხევისა; 5) მრავალნი სიგელნი გელათის, მცხეთის და სხვ. ტაძართა და 6) ხალხის აღწერანი, მოხდენილნი მეფეთ ბრძანებით.

მომავალ ისტორიკოსისათვის საჭირონი არიან აგრეთვე შემდეგნი თხზულებანი, რომლებშიაც აღწერილია ჩვეულებანი და ზნენი ქართველთა. შრომანი მეფეთა: თეიმურაზ II ისა, არჩილისა და ვახუშტი'სა. პირველმა დასწერა «სარკე თქმულთა» ლექსად, რომელიც შეიცავს მოთხრობასა ქართველთ ზნე-ჩვეულებაზე, მეორე წიგნი «არჩილიანი» მოგვითხრობს აგრეთვე ზნე-ჩვეულებაზე; მესამე კი თვის ისტორიის დასწყისში ნაურთო წერილი, რომელიც შეიცავს საქართველოს სამეფოს შინაურ ცხოვრების გამოკვლევას. ამასვე უნდა დავუმატოთ დაწვრილებითი ტოპოგრაფიული აღწერა საქართველოისა, შედგენილი ვახტანგ მე-VI-მდე,

---

შემდეგ ამისა «წინასიტყვაობაში» ჩამოთვლილია ის ისტორიული მოთხრობანი, რომელნიც შეადგენენ «ქართლის-ცხოვრების» მეორე ტომის შინაარსსა. მათი აქ დასახელება ჩვენ საგნად არა გვქონია და ამიტომ არც ვსთარგმნეთ.

მოსე ჯანაშვილი.

---

# სიტყვა

## თქმული აკაკისაგან სამეგრელოს სათავად-აზნაურო სკოლის სახლის კურთხევის დროს.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა მმართველობამ ვალად დამდო, რომ აქ გეახლებოდით, დავსწრებოდი ამ სასწავლებლის კურთხევას და ერთად თქვენს სურვილთან ჩემი სურვილიც შემეერთებია მის კეთილ წარმატების შესახებ. ყოველივემ, რაც დღეს მე აქ მოვისმინე და ან რაც ვნახე, იმოდენათ ამიტაცა, რომ სურვილი ამეძრა რამოდენიმე სიტყვის თქმისა, თუ თქვენი ნებაც იქნება.—ბატონებო! მხოლოდ ერთი უგუნურება სჯერდება აწმყოს და მარტო მით კმაყოფილდება. გონიერება კი მეტს მოითხოვს, გადადის წარსულში და იქიდან გამონაკვლევ ჭეშმარიტებას ფონად, გზად და ხიდად უდებს ის ერი, რომელსაც წარსული არა ჰქონია ემსგავსება ახალ-დაბადებულ უსუსურ ყრმას, ჩვენ არ ვეკუთვნით, ღვთის მადლით, იმ ერთაგანს: დედამიწის ზურგზე არ გვეგულება მისთანა პატარა ერი, რომელსაც თავის ჭირნახულობით და ისტორიულის თავ გადასავლიანობით, ჩვენს ერზედ უფრო დიდებული და ღირს-შესანიშნავი წარსული ჰქონდეს.—გასაოცარის გმირობით, საკვირველის მხნეობით,

ჩვენი წინაპრები გაუმკლავდნენ მტრებს და დაიცვეს ის, რაც შეადგენს ყოველი ერის სიქადულსა და სულის დგმას; ე. ი. საკუთარი ფერი, ქრისტეს სჯული და ამ სარწმუნოების საფუძველი ქვა-კუთხედი, ქართული დედა-ენა. ესენი ყველა გად-მოგვცეს შეუბღალავად და ჩვენც მადლობით მიმღები ამ საუ-კუნო განძისა, ვალდებულნი ვართ შევისწავლოთ ჩვენი წარსული, გავიცნოთ ჩვენი მამა-პაპანი და მათი ღვაწლი, არავითარი გონიერება ამას წინ არ აღუდგება!.. ის, ვინც თავის ვინაობა არ იცის და თავის თავს ვერ იცნობს, სხვას როგორ-ღა შეისწავლის? ვინც, რო-მელსაც თავის თავი სძულს, ბუნების წინააღმდეგ, სისხლ-ხორცსა სტყუის, ივიწყებს მშობლებს და ეზიზღება თან-შო-ბილები, განა სხვისი შეყვარება შეუძლია? ამისთანა ადა-მიანს ჩვენში საზოგადოდ თავ-სულ ადებულებს ეძახიან და ერიდებიან? ის, ვინც ამ გვარებს ურჩევს სხვას ან ბოროტ-განზრახვით ხელ-მძღვანელობს, ან უგუნურობით მოქმედობს; ორივე შემთხვევაში შემცდარია და შეცდომას კი გასწორება ეწირება.—ვგონებ თქვენც კარგად ჰხედავთ, რომ ჩვენ ამისთანა არა გვემართება-რა, მაგრამ მაინც საჭიროა, რომ მართლა აწმყოზე არ შევჩერდეთ. ეს აგვამაღლებს ჩვენ ზნეობრივად, აგვავსებს გული სიმართლითა და სიყვარულით... მაშინ შეგვეძლება, ის სიყვარული სხვასაც გავუზიაროთ: ვინც გვეძმობს—ვეძმოთ.

სად უნდა შევიძინოთ ესენი ყველა? იმ ახალ ტაძარში, რომელსაც ჩვენ სასწავლებლებს ვეძახით და ერთი რომელთა-განიც დღეს აქ ვაკურთხეთ. დიახ, აქ უნდა შეისწავლონ ჩვენმა შვილებმა თავის თავი და მიხვდნენ, რომ საქართველოს სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი, ძმები ვართ; სამის ძლიე-რის, უხრწნელის კავშირით საუკუნოდ შეხორცებული: საერთო ისტორიით, ქრისტეს სარწმუნოებით და ერთის დედა-

ქართული ენით. ერთის ბუდიდან ვართ გადმოსხმული ვიმეორებ აქ, ამ სკოლაში მახვდება იმერელი, რომ ის კერძოდ, თუმცა იმერელია, მაგრამ საზოგადოდ კი იგივე ქართველია; აქ გაიგებს მეგრელი, რომ კერძოთ ის მეგრელია, თავის საკუთარი ფერის მქონი, მაგრამ საზოგადოდ კი, ძირეულად იგივე ქართველია. და თვისის კერძო მეგრელობით მხოლოდ აფერადებს, ქართველობას. გვარისავე... პატივის-ცემით ახსენონ როგორათაც ახსენებდენ მველად თვით მტრებიც კი. მაშ ღმერთმა ხელი მოუმართოს საზოგადოდ ჩვენ სასწავლებლებს, კერძოდ დღეს აქ ნაკურთხს და გაუმარჯოს ყოველ მათ თანა-მგრძნობსა და დამხმარეს!

# განცხადებანი.


въ городѣ карсѣ.

## ВЪ КАНЦЕЛЯРІИ ВОЕННАГО ГУБЕРНАТОРА

Карсской Области

## ОТКРЫТА ПОДПИСКА

## НА ГАЗЕТУ

# „КАРСЪ"

на будущій 1886 годъ

газета «КАРСЪ» въ 1886 году будетъ издаваться на тѣхъ-же осгованяхъ, какъ и въ текущемъ году. по тойже программѣ и подъ тою же редакціею.

условія подписки

*съ доставкою и пересылкою въ годъ три рубля, въ четыре мѣсяца одинъ рубль.*

**Подписка** принимается въ Канцеляріи Военнаго Губернатора, куда адресуютъ свои требованія и иногородные.

---

Газета «КАРСЪ» имѣетъ ближайшею цѣлью всестороннее изученіе Карсской Области и распространеніе въ обществѣ вѣрныхъ и точныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея состояніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направленныхъ къ ея благоустройству. Цѣль эта можетъ быть достигнута въ той мѣрѣ, въ какой лица, имѣющія, по своему положенію, возможность собирать свѣдѣнія по тѣмъ или другимъ вопросамъ, касающимся Области, ея населенія и расположенныхъ въ ея предѣлахъ частей войскъ, выразятъ свое сочувствіе газетѣ и пожелаютъ оказать ея редакціи просвѣщенное свое содѣйствіе сообщеніемъ имѣющихся въ рукахъ свѣдѣній и матеріаловъ, а потому редакція убѣдительно проситъ этихъ лицъ не отказать ей въ своемъ участіи.

# „ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(годъ шестой)

журналъ какъ и прежде, будетъ выходить въ 1886 г. по четвергамъ, въ размѣрѣ отъ 1 до 2 печатныхъ листовъ, по прежней программѣ.

Успѣхъ изданія и сочувствіе къ нему нашихъ юристовъ даютъ возможность редакціи «Юридич. Обозр.» указать,—кромѣ Кавказскихъ дѣятелей: С. М. Арцруни, Ф. К. Бакало, Д. З. Бакрадзе, Ѳ. А. Гребенщикова, К. В. Долгова, И. Я. Долголенко, Д. И. Кипіани, Д. В. Квиркеліа, П. М. Лебединскаго, А. А. Павловскаго, Я. И. Рашета, М. А. Селитренникова, Н. П. Смитена, В. А. Хлебникова, Н. А. Шаврова и др.,—еще и на слѣдующихъ лицъ, обѣщавшихъ свои статьи журналу въ 1886 году: К. Д. Анциферова, Л. С. Бѣлогрицъ—Котляревскаго (профессора), В. М. Володимірова (профес. и ред. «Жур. Гражд. и Угол. Права»), А. К. Вульферта, В. А. Гольцева, Я. И. Гурлянда, Д. А. Дриля, Г. А. Джаніева, М. В. Духовскаго (доцента универ.), К. А. Неклюдова (оберъ-прокурора сената), А. Е. Носа, К. И. Поскочина, Н. Д. Сергѣевскаго (профес.), В. Д. Спасовича, Н. С. Таганцева (профес.), А. Т. Тимановскаго, А. Я. Фонъ-Ашеберга, и мн. др.

—

Новые годовые подписчики на 1886 г. получатъ безплатно предпринятое въ 1885 г. ред. «Юрид. Обозр.» изданіе «Законы царя Вахтанга».

—

Пріемъ подписки и объявленій: Тифлисъ, Сололаки, Нагорная улица, д. Мерабова.

ꞏ39600

Подписная цѣна на журналъ, съ доставкою и пересылкою: на годъ—10 р.; на 6 мѣс.—6 р.; на 3 мѣс.—3 р. 20 к.

Для годовыхъ подписчиковъ разсрочка: при подпискѣ 4 р., въ апрѣлѣ и августѣ по 3 р.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе года, уплачиваютъ: за 1881 г.—6 р. и за всѣ послѣдующіе по 8 р.

Отдѣльные №№ «Юрид. Обозр.» продаются, по 25 коп., въ Тифлисѣ, въ центральной книжной торговлѣ.

---

Иногор. подписчики «Юрид. Об.» имѣютъ право на полученіе, чрезъ редакцію, свѣдѣній и положеніи ихъ дѣлъ въ Тиф. судеб. учрежд.—въ текстѣ журнала безвозмездно, а письменныя и телеграфныя—по соглашенію съ ред. журнала.

Редакторъ-издатель *А. С. Френкель.*

# განცხადება.

ამა 1885 წელს ჟურნალს «ივერიაზედ» ხელის მოწე-რა მიიღება მხოლოდ მთელის წლით.

ფასი მთელის წლისა შვიდი მანეთი.

ხელის-მოწერა მიიღება «ივერიის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება სოლოლაკში, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, თვით რედაქტორის სადგომში, სახლი ი. ი. ზუბალოვისა, (მისავალი, როგორც ახალ-ბებუთოვის, ისე ლაბარატორის ქუჩიდამ).

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში.

ბათუმში, წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის მასწავლებელ მ. ნათაძესთან.

თელავში ვანო როსტომაშვილთან.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

*Въ Тифлисъ*

*Въ Редакцію журнала «ИВЕРІЯ»*

---

რედაქტორი ილ. ჭავჭავაძე.